

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



**ნანა ხიდეშელი**

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

**ფინანსური ანალიზი და კომპანიის განვითარების სტრატეგია**

**შპს „ჯი არ სის“ მაგალითზე**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : მერაბ ჯიქია  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

## ანოტაცია

თემა შედგება შესავალის, ორი თავის, შვიდი პარაგრაფის, დასკვნის, ლიტერატურის სიისა და დანართებისაგან. შრომა მოიცავს 110 კომპიუტერულ გვერდს.

შესავალში განხილულია თემის აქტუალობა, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მიზნები, მეთოლოგია. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იძლევა ღირებულ ინფორმაციას კომპანიით დაინტერესებულ პირთათვის ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების დროს. მიზანს წარმოადგენს, ფინანსური ანგარიშგების ანალიზური ღირებულების ჩვენება ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ჩატარების შედეგად. საკვლევ ობიექტს წარმოადგენს ერთ-ერთი დიდი, სამშენებლო სფეროში მოღვაწე კომპანია შპს „ჯი არ სი“ (GRC). შესავალი არის ერთგვარი ბაზა, რომელშიც მოკლედ მიმოხილულია თემის მნიშვნელოვანი საკითხები.

პირველ თავში „ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში“ განხილულია ფინანსური ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობის თეორიულ საკითხები, კერძოდ, ფინანსური ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდიკა, გადმოცემულია ფინანსური ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა, ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები, კომპონენტები და მათი ანალიზური დატვირთვა.

მეორე თავში შპს „ჯი არ სი“ (GRC)-ს ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ძირითადი საკითხები, ჩატარებულია მისი ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, რის შედეგადაც შეფასებულია კომპანიის ქონებრივი მდგომარეობა ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზის საფუძველზე, გაანალიზებულია საწარმოს ლიკვიდურობა და ფინანსური მდგრადობა სხვადასხვა კოეფიციენტების საშუალებით. მოგება/ზარალის ანგარიშგების დახმარებით გაანალიზებულია საწარმოს მომგებიანობა. ასევე, ჩატარებულია საქმიანობის სფეროების მიხედვით ფულადი ნაკადების ანალიზი. ამასთანავე, კოეფიციენტების საშუალებით შესწავლილ იქნა საწარმოს გადახდისუნარიანობა და რენტაბელობა.

დასკვნა წარმოადგენს განხილული საკითხების ერთგვარ შეჯამებას და საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მთლიანი სურათი, რამდენად სტაბილური და გადახდისუნარიანია კომპანია, როგორია მომავლის გეგმები.

ლიტერატურის ჩამონათვალი შედგება 25 ერთეულისგან, მათ შორის 6 ინტერნეტრესურსია.

ნაშრომი აგრეთვე მოიცავს ცხრილებს, დიაგრამებსა და გრაფიკებს, რომლებშიც წარმოდგენილია შპს „ჯი არ სი“(GRC)-ს ბუღალტრული ბალანსი, მოგება/ზარალისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

## Annotation

The theme includes an introduction, two chapters, seven paragraphs, conclusions, literature list, and annexes. The scholarly work comprises 110 computer pages.

In the introduction, there are discussed the matter of theme, subject of research and object, investigation goals and methodology. Providing and analyzing financial statements is important as long as it provides valuable information at the time of economic decision making for interested persons. The goal is to show the analytical value of financial statements. The research object is one of the largest companies in the construction industry LLC, GRC". An introduction is a kind of base, which briefly reviews important topic issues. The importance of financial statements about the situation of the company's financial evaluation.

In the first chapter called "the importance of finance statement about company's financial situation evaluating" theoretical issues of analytical importance of financial statements are discussed, namely the purpose, tasks and methods of financial analysis, the idea and meaning of financial statements, the qualitative characteristics of financial statements, the components, and their analytical load.

In the second chapter, the main issues of analysis of the financial statements of LLC GRCs were analyzed in its financial statements, which resulted in assessing the company's property status based on the horizontal and vertical analysis of the accounting balance, analyzing the liquidity of the enterprise and financial stability through different coefficients. Profit/loss reporting is analyzed by enterprise profitability. Also, analysis of cash flows according to the areas of activity. Besides, through the coefficients, the solvency and profitability of the enterprise were studied.

The conclusion is to summarize the issues discussed and allow us to see the overall picture of how stable and solvable are the company's future plans.

The list of literature consists of 25 units, including 6 Internet.

The paper also includes tables, diagrams, and diagrams in which the accounting balance sheet of LLC GCC (GRC) is represented, reporting of profit/loss and cash flow.

## სარჩევი

შესავალი.....	5
<b>I თავი- ფინანსური ანალიზი, როგორც ფინანსური სტრატეგიის ინსტრუმენტი.....</b>	<b>7</b>
1 .ფინანსური ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია .....	7
2. მიმდინარე გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის ანალიზი .....	26
3. მიმდინარე აქტივების ბრუნვალობის ანალიზი .....	53
<b>II თავი- კომპანიის განვითარების სტრატეგიის ანალიზი.....</b>	<b>61</b>
1. შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტის ანალიზი.....	61
2. ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი.....	75
3. საინვესტიციო გადაწყვეტილებების ანალიზი.....	88
დასკვნა .....	107
გამოყენებული ლიტერატურა:.....	111

## შესავალი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ფინანსური ანალიზი, რომელიც საწარმოს ეკონომიკური ანალიზის შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკური ანალიზის მიზანია საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური შედეგების ანუ ეფექტიანობის ზრდის ფარული შესაძლებლობების ანუ რეზერვების გამოვლენა. ფინანსური ანალიზი კი საწარმოს საქმიანობის (ბიზნესის) ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მიმართულებაა. იგი ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებასა და პროგნოზირებას გულისხმობს. საწარმოს ფინანსური ანალიზი წამოადგენს ფინანსური სტრატეგიის ინსტრუმენტს, ვინაიდან, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს საწარმოთა მენეჯმენტში, ბიზნესის აქტივობის, ფინანსური სტაბილურობის და რისკების ადეკვატური მართვის მიმართულებით. საწარმოს განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების საფუძველს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი წარმოადგენს. თანამედროვე კონკურენტულ გარემოში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საწარმოს უნარი დაფაროს მისი ვადებულებები ადვილად რეალიზებადი სახსრებით და იყოს მომგებიანი. ასევე, კომპანიის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა, რომელიც მომარაგების, წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების უწყვეტად განხორციელებას გულისხმობს.

წინამდებარე ნაშრომი ეხება საწარმოს ფინანსურ ანალიზს, როგორც ფინანსური სტრატეგიის ინსტრუმენტს და კომპანიის განვითარების სტრატეგიის ანალიზს. მასში აქცენტი გაკეთებულია შემდეგ საკითხებზე:

- ფინანსური ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია;
- მიმდინარე გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის ანალიზი;
- მიმდინარე აქტივების ბრუნვალობის ანალიზი;
- შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტის ანალიზი;
- ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი;
- საინვესტიციო გადაწყვეტილებების ანალიზი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზის თეორიული, მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლა და მათი გამოყენების შესაძლებლობის გამოვლენა კომპანია „ჯი არ სის“ მაგალითზე, ასევე, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისიების შემუშავება. ნაშრომში, თავდაპირველად, განხილულია ფინანსური ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდიკა, ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა სახის მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით, მნიშვნელოვან მაჩვენებლებს წარმოადგენს ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა, აღწერილია მათი ანალიზის საფეხურები. ფირმის საქმიან აქტიურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბრუნავი კაპიტალის ანუ მიმდინარე აქტივების ბრუნვადობის მაჩვენებლები: ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის საერთო მაჩვენებლები, ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები, ფულის ბრუნვის მაჩვენებლები, რომლთა შესწავლა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. შემდგომ, განხილულია კომპანიის განვითარების სტრატეგიის ანალიზი, რომლებიც შემოიფარგლება შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტის, ფულადი საშუალებების მოძრაობის და საინვესტიციო გადაწყვეტილებების ანალიზით. მნიშვნელოვანია კომპანიის მოგების გაზომვა, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მის მთლიან შემოსავლსა და მთლიან ხარჯს შორის. ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზის ძირითად მიზანს კი წარმოადგენს, როგორც უკმარისობის (სიჭარბის) მიზეზების, ისე მათი შემოძინების წყაროებისა და გამოყენების მიმართულებების დადგენა. ასევე, მნიშვნელოვანია ინვესტიციების ეფექტი, რომელიც დამოკიდებულია საინვესტიციო ინსტრუმენტების სწორად შერჩევაზე. მსგავსი ტიპის ფინანსური ანალიზის ჩატარება, სხვადასხვა აბსოლიტური და შეფარდებითი მაჩვენებლების ანგარიში მნიშვნელოვანია, იმისთვის, რომ სწორად შეფასდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და შემუშავდეს სამომავლო სტრატეგიები.

# I თავი- ფინანსური ანალიზი, როგორც ფინანსური სტრატეგიის ინსტრუმენტი

## 1. ფინანსური ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია

ანალიზი კვლევითი აზროვნების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს. ანალიზი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და დაშლა-დანაწევრებას ნიშნავს. ანალიზი, როგორც კვლევის მეთოდი, მრავალ დარგში გამოიყენება და სხვადასხვა ხასიათისაა. გამოიყოფა მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური ანალიზი. მაკროეკონომიკური ანალიზი შეისწავლის ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს სახელმწიფოს და მსოფლიოს მასშტაბით, მიკროეკონომიკური ანალიზი კი ცალკეული საწარმოების, საწარმოთა გაერთიანებების და ეკონომიკის ცალკეული დარგის ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს. საწარმოთა ეკონომიკური ანალიზი და ფინანსური ანალიზი, მიკროეკონომიკური ანალიზის სფეროს მიეკუთვნება.

ეკონომიკური ანალიზის მიზანია საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური შედეგების ანუ ეფექტიანობის ზრდის ფარული შესაძლებლობების ანუ რეზერვების გამოვლენა. გამოყოფენ ეკონომიკური ანალიზის სამ მიმართულებას: ტექნიკურ-ეკონომიკური, ფინანსურ-ეკონომიკური და ფუნქციონალურ-ღირებულებითი.

ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის მიზანია საწარმოში გამოყენებული ტექნიკის, ნედლეულის გადამუშავებისა და პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა.

ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზის მიზანია შეისწავლოს და შეაფასოს საწარმოს საქმიანობა საბოლოო ფინანსური შედეგის – მოგების, მომგებიანობის და ფინანსური სტაბილურობის თვალსაზრისით.

ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზის მიზანია შეაფასოს ალტერნატიული პროექტები გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვის წინ.

ისინი საწარმოს ეკონომიკური ანალიზის შემადგენელი ნაწილებია, თუმცა შეიძლება დამოუკიდებლადაც იქნან განხილული. ფინანსური ანალიზი საწარმოს ეკონომიკური ანალიზის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ შეიძლება მისი ცალკე განხილვა. ფინანსური ანალიზი საწარმოს საქმიანობის (ბიზნესის) ეკონომიკური



ანალიზის ერთ-ერთი მიმართულებაა. იგი ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებასა და პროგნოზირებას გულისხმობს. ზოგიერთი მეცნიერ-ეკონომისტი ფინანსურ ანალიზის ცნების ქვეშ საწარმოს მთელ ეკონომიკურ ანალიზს იაზრებს. ზოგიერთი კი, ფინანსური ანგარიშგების ანალიზთან აიგივებს.

ეკონომიკური ანალიზი უფრო ფართოა, ვიდრე ფინანსური ანალიზი. ეკონომიკური ანალიზი გარდა მომგებიანობისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საკითხებისა, მოიცავს წარმოების დანახარჯების, ტექნიკის, ტექნოლოგიების, შრომის და ინტელექტუალური რესურსების გამოყენების ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს, რაც მრავალმხრივი შიდა ინფორმაციის დამუშავებას მოითხოვს. ხოლო, ფინანსური ანალიზის მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მომგებიანობის შეფასება, ინვესტიციების ალტერნატიული პროექტების შეფასება და პროგნოზირება. მეოცე საუკუნის დასაწყისამდე მისი სისტემური ანალიზის მეთოდოლოგია არ არსებობდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა აღრიცხვის ახალი მიმართულება – ბალანსმცოდნეობა. რომელიც სამი მიმართულებით განვითარდა: ბალანსის ეკონომიკური ანალიზი (ი.შერი, პ.გერსტნერი, ფ.ლაიტნერი, ჰ.კონრადი და სხვ.); ბალანსის იურიდიული ანალიზი (რ.ბაიგელი, ე.რამელი, კ.პორციგი) და ბალანსის შესახებ ცოდნის პოპულარიზაცია (გუბერომი, ბროზიუ სომი, შენგადტომი და სხვები).

საწარმოთა ფინანსური ანალიზის მიზანია ბიზნესის საქმიანობის შედეგები განზოგადებულად, ფულად ფორმაში დაახასიათოს. საწარმოს განკარგულებაში არსებულ დანადგარებსა, მასალის მარაგსა და ფულად თანხებს შორის ისაა საერთო, რომ ყველა მათგანი იმავდროულად, მათში დაბანდებულ ანუ ავანსირებულ ღირებულებას ანუ გაღებულ ფულს წარმოადგენს. ამიტომ, ხელმძღვანელობის ინტერესის სფეროს წარმოადგენს არა მხოლოდ ის, თუ როგორი გამოსავლიანობით დაიხარჯა, არამედ ისიც, რამდენად ეფექტიანადაა გამოყენებული მასალის მარაგებში დაბანდებული ფულადი სახსრები. ასევე, აუცილებელია იმისი კონტროლიც, საიდან იყო წარმოშობილი ის ფულადი სახსრები: საკუთარი წყაროების თუ ვალდებულებების ხარჯზე. კვლევის

ასეთი მიდგომა კი ბიზნესის ფინანსური მხარის ანუ ღირებულების მოძრაობის ანალიზს წარმოადგენს.

ფინანსები შეიძლება გავიაზროთ, როგორც ფინანსური რესურსების ერთობლიობა და ფულადი ურთიერთობების ერთობლიობა. ფინანსური რესურსები არის საწარმოს საქონლურ-ფულადი ურთიერთობების განხორციელების საშუალებაც და მიზანიც.

ფინანსურ რესურსებს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ფინანსურ ინსტრუმენტებს უწოდებს. ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება გრძლევადიანი და მოკლევადიანი ინვესტიციების სხვადასხვა ფორმები, რომლებითაც ვაჭრობა ხორციელდება ფინანსურ ბაზარზე. მათ მიეკუთვნება: ფულადი საშუალებები, ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, აქციები, სადეპოზიტო სერთიფიკატები, თამასუქები), ოფციონები, ფორვარდული კონტრაქტები, ფიუჩერსები, სვოპები და სპოტები.

გამოიყოფა ძირითადი (ანუ პირველადი) და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. პირველადი ფინანსური ინსტრუმენტებია ფინანსური აქტივები, ფინანსური ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

ფინანსურ აქტივებს მიეკუთვნება შემდეგი ფინანსური რესურსები: ფულადი სახსრები, ფულადი თანხების ეკვივალენტები, გაცემული სესხები, ნაყიდი ფასიანი ქაღალდები, მიღებული თამასუქები, მისაღები პროცენტები, მისაღები დაზღვევა და სხვა მოთხოვნები.

ფინანსურ ვალდებულებებს მიეკუთვნება აღებული სესხები, გამოშვებული ობლიგაციები, გაცემული თამასუქები, გადასახდელი პროცენტები.

წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: ოფციონი, ფორვარდული კონტრაქტები, ფიუჩერსები, სვოპი და სპოტები.

ფინანსებს ორი ფუნქცია აკისრია: კვლავწარმოების და კონტროლის ფუნქცია. ფინანსური კონტროლი ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს გამოავლინოს მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების დაფინანსების რეზერვები. ამასთან,

გამონახოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები და აღმოფხვრას მოსალოდნელი არამწარმოებლური დანაკარგები, შეამციროს ფინანსური რისკები.

საწარმოს ფულადი ურთიერთობების მეშვეობით ხდება მისი ფინანსური რესურსების ფორმირება (შექმნა) და გადანაწილება. საწარმოებმა ფინანსური რესურსები შეიძლება შექმნას და შეიძინოს. სამეურნეო სუბიექტის დაფინანსება შეიძლება სამი ფორმით: თვითდაფინანსება, დაკრედიტება და სახელმწიფო დაფინანსება (გრანტები).

საწარმოს წინაშე სამი საკითხია გადასაწყვეტი:

1. დაფინანსების რა წყაროებით შეიძლება ქონების შეძენა და როგორი უნდა იყოს მათი სტრუქტურა;
2. რა რაოდენობის და როგორი შემადგენლობის აქტივებია საჭირო, რათა მიღწეული იქნეს მიზანი;
3. როგორ იქნეს უზრუნველყოფილი საწარმოს გადახდისუნარიანობა და მყარი ფინანსური მდგომარეობა.

საწარმოს ფინანსური ხასიათის საკითხებზე პასუხისმგებელია ფინანსური მენეჯერი. მისი მთავარი მოვალეობაა აკონტროლოს ფულადი ნაკადები, ორგანიზაცია გაუკეთოს საერთო საფინანსო ანალიზს და დაგეგმოს საქმიანობა, გააკონტროლოს საწარმოს დაფინანსების წყაროები, ფინანსური რესურსების განაწილება და საინვესტიციო პოლიტიკა.

ზოგი ეკონომისტი საწარმოთა ფინანსურ მიზნებს შემდეგნაირად აჯგუფებს:

1. მაქსიმიზაციისა და დაკმაყოფილების კონცეფცია
2. სხვადასხვა დაინტერესებულ გარემოში პირთა პრობლემა

მაქსიმიზაცია გულისხმობს სწრაფვას საუკეთესო შესაძლო შედეგისაკენ. დაკმაყოფილება კი ერთადერთი მისაღები შედეგის პოვნას.

საწარმოთა ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის მიზანია სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები და მიზნები დააბალანსოს. კომპანიებს გააჩნიათ არაფინანსური მიზნებიც, რომელთა განხორციელება აუცილებელია თვით ფინანსური მიზნების მისაღწევად. მიუხედავად ინტერესთა კონფლიქტისა, მესაკუთრეებიც და მმართველებიც დაინტერესებულნი არიან კომპანიის ეფექტიანობის ამაღლებით.

ფინანსური ანალიზის მიზანია არა მხოლოდ ფინანსური სტაბილურობის შეფასება, არამედ გამოავლინოს მისი გაუმჯობესების გზები და მომგებიანობის ამადლების შესაძლებლობები, თანხობრივად.

ფინანსური ანალიზის მიზნები ორი მიმართულებად ჩამოყალიბდა:

1. ინფორმაციის გარე მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე – შეაფასოს საწარმოს გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა;
2. ინფორმაციის შიდა მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე – არა მხოლოდ შეაფასოს, არამდე გამოავლინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები და რეზერვები.

საწარმოს შეუფერხებელი და წარმატებული ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია მეწარმემ იცოდეს არა მხოლოდ საკუთარი კომპანიის, არამედ მისი პარტნიორების ფინანსური მდგომარეობა.

ფინანსურ ანალიზს სამი ძირითადი მოთხოვნა წაეყენება:

1. უზრუნველყოს დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება ფირმის საინვესტიციო პოლიტიკის დარგში;
2. საწარმოს მოგებისა და რენტაბელობის დინამიკისა და პერსპექტიული ცვლილებების შეფასება;
3. საწარმოს დაფინანსების წყაროების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება.

ამრიგად ფინანსური ანალიზის თემატური მიზნებია:

1. საწარმოს დაფინანსების წყაროების სტრუქტურული შესწავლა;
2. საწარმოს აქტივების შემადგენლობის ანალიზური შესწავლა;
3. ფინანსური ინვესტიციების ანალიზი;
4. საწარმოს მომგებიანობის ანალიზი;
5. საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შესწავლა;
6. ავანსირებული ღირებულების ბრწვადობის დახასიათება;
7. ფულადი ნაკადების ანალიზი.

ფინანსური ანალიზი შეიძლება იყოს შიდასაწარმოო ან საწარმოთაშორისო. შიდასაწარმოო ანალიზი მხოლოდ ერთი რომელიმე მოცემული საწარმოს ფინანსური

მდგომარეობის ანალიზს ატარებს. საწარმოთაშორისო ანალიზი კი ახდეს მსგავსი საწარმოების მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარებას, რაც დაინტერესებულ პირებს ეხმარება აირჩიონ უფრო მისაღები პარტნიორი ან გაითვალისწინონ არსებული მოწინავე გამოცდილებები. ფინანსურ ანალიზს, ისევე როგორც, მთლიანად ეკონომიკურ ანალიზს, კავშირი აქვს მრავალ სხვა დისციპლინასთან, როგორცაა: მათემატიკა, მაკრო და მიკროეკონომიკა, მენჯემენტი, მარკეტინგი, სტატისტიკა, ბუღალტრული აღრიცხვა.

მნიშვნელოვანია საწარმომ გარკვეული სახის ამოცანები გადაწყვიტოს. აღნიშნული ამოცანები შეიძლება იყოს: საწარმოო, კომერციული და ფინანსური საქმიანობის ამსახველ ცალკეულ მაჩვენებლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლის საფუძველზე საწარმოს ფინანსური რესურსების მიღებისა და გამოყენების გეგმების შესრულების შეფასება ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. სამეურნეო საქმიანობის რეალური პირობებიდან გამომდინარე, სახეზე არსებული საკუთარი და ნასესხები სახსრებით, ფინანსური შედეგების და ეკონომიკური რენტაბელურობის პროგნოზირება. კონკრეტული ღონისძიებების დამუშავება, რომლებიც მიმართული იქნება ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებასა და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებაზე.

ფინანსური მენჯემენტის წინაშე გარკვეული სახის ამოცანები წამოიჭრება:

1. ფირმა უვნებლად გაატაროს კონკურენტულ ბრძოლაში;
2. აიცილოს გაბანკროტება და ფინანსური წარუმატებლობა;
3. ფირმის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა;
4. წარმოებისა და რეალიზაციის ზრდა;
5. მოგების მაქსიმიზაცია;
6. ხარჯების მინიმიზაცია;
7. სოციალურ პროგრამებში ფირმის აქტიური მონაწილეობა.

თანამედროვე ეპოქაში, წინ წამოიწია ქვეყნის სოციალურ პროგრამებში კომპანიების მონაწილეობის გააქტიურების ამოცანამ. ასევე, „მოგების მაქსიმიზაციის“ ცნება შეიცვალა ახალი ცნებით „ნორმალური მოგებით“.

ფინანსურ ანალიზის ამოცანებია:

1. ფინანსური ანგარიშგების პოზიციების შეფასება;
2. უზრუნველყოს დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება ფირმის საინვესტიციო პოლიტიკის დარგში;
3. საწარმოს გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის დინამიკისა და პერსპექტიული ცვლილებების შეფასება;
4. საწარმოს დაფინანსების წყაროების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება.

ფინანსური ანალიზი ყოველთვის იყენებს აზროვნების ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებს. მის გარეშე შეუძლებელია ფაქტორული ანალიზი ჩატარება და ამა თუ იმ ფაქტორის გავლენის გაზომვა ეკონომიკურ შედეგებზე. ფინანსური ანალიზი იყენებს იგივე მეთოდებსა და ხერხებს, რასაც საწარმოს ეკონომიკური ანალიზი:

1. ანალიზის ტრადიციული ხერხები: საბალანსო ხერხი, შედარება და არითმეტიკული გადახრები, ელიმინირების ხერხები, მარტივი და რთული პროცენტები, დისკონტირება;
2. ტრადიციული სტატისტიკური მეთოდები: დაჯგუფება, საშუალო სიდიდეები, ინდექსები, დინამიკური მწკრივები, გრაფიკები;
3. მათემატიკური მეთოდები, რომლებიც ამა თუ იმ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის კავშირების გამოვლენის მიზნით გამოიყენება. ესენია: კორელაციური, დისპერსიული და ფაქტორული ანალიზი, ალბათობის მეთოდები, როგორცაა, თამაშთა თეორია, გადაწყვეტილებათა ხე და ა. შ. წრფივი და არაწრფივი პროგრამირება და სხვა.

საბალანსო მეთოდი გამოიყენება საწარმოს ეკონომიკაში არსებული შიდა წონასწორობის კანონზომიერებების აღრიცხვა-ანგარიშგებაში სწორად ასახვის შემოწმებისათვის. არსებობს თუ არა შემდეგი ტოლობები:

- ✓ აქტივი = ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი;
- ✓ მოგება = შემოსავლები – ხარჯები;
- ✓ შემოსავალი = ხარჯები + მოგება;

- ✓ რეალიზაცია = მზა პროდუქციის საწყისი ნაშთი + პროდუქციის გამოშვება - მზა პროდუქციის საბოლოო ნაშთი;
- ✓ მოთხოვნები ბალანსით = მოთხოვნის საწყისი ნაშთი + რეალიზაციის მოცულობა
- ✓ (მოგება/ზარალის ანგარიშებიდან) - მყიდველებიდან მიღებული თანხები (ფულადი ნაკადების ანგარიშებიდან) და ა.შ.

შემოწმების შედეგად თუ აღმოჩნდა რომ აუცილებელი ტოლობები დარღვეულია, უნდა გასწორდეს.

შედარება არის ტრადიციულ ანალიზურ ხერხი, ის წარმოადგენს მაჩვენებლების დაპირისპირებას მათი ცვლილებებისა და შედარებითი დახასიათების მიზნით. აუცილებელია დაცული იყოს მაჩვენებელთა შესადარისობა შინაარსობრივი თვალსაზრისით და ფასების მიხედვით. შედარების ბაზა შეიძლება იყოს გეგმური მაჩვენებელი, წინა წლების ფაქტიური მაჩვენებლები, საშუალო დარგობრივი ან წარმატებული საწარმოს მაჩვენებლები. ამა თუ იმ მაჩვენებელში წარმოშობილი გადახრა შეიძლება იყოს სასურველი, რომელიც ხელს უწყობს პოტენციური მოგების ზრდას, ან არასასურველი, რომელიც მოსალოდნელი მოგების შემცირებას იწვევს.

მაჩვენებელთა შედარების შედეგად გადახრების გამოვლენის შემდეგ ხდება ამ გადახრებზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გაზომვა ანუ ფაქტორული ანალიზი. გადახრებზე მოქმედი ფაქტორების გაზომვის მიზნით გამოიყენება ელიმინირების მეთოდი, რომელსაც ორი სახესხვაობა გააჩნია: აბსოლუტური სხვაობისა და ჯაჭვური ჩასმის ხერხები. აბსოლუტური სხვაობის ხერხის არსი შემდეგში მდგომარეობს: მოცემული ფაქტორის გავლენა უდრის, ამ ფაქტორის გადახრა გამრავლებული მის წინ მდგომი ფაქტორის ფაქტიურ და შემდგომი ფაქტორის გეგმურ მნიშვნელობებზე. ჯაჭვური ჩასმის ხერხით თითოეული ფაქტორის გავლენა შემდეგნაირად გამოითვლება: დასაწყისში, ფაქტორული სისტემის მოდელში ანუ ფაქტორთა დაკავშირების მწკრივში, ყველა ფაქტორი აიღება გეგმურ (საბაზისო) დონეზე. შემდეგ, თანდათან შეიცვლება გეგმური ფაქტორები ფაქტიური მნიშვნელობებით და ყოველი მომდევნო გაანგარიშების შედეგს აკლდება წინა გაანგარიშების შედეგი. მიღებული სხვაობა წარმოადგენს მოცემული ფაქტორის გავლენას.

ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები შეიძლება იყოს პირდაპირპროპორციული ან უკუპროპორციული. პირდაპირპროპორციული კავშირის დროს ფაქტორ მაჩვენებლის ზრდა შედეგობრივი მაჩვენებლის ზრდას იწვევს. უკუპროპორციული კავშირის დროს, ფაქტორის ზრდა შედეგის შემცირებას იწვევს.

ფაქტორული ანალიზის დროს შედეგობრივი და ფაქტორმაჩვენებლების დაკავშირების მოდელი აიგება, რომელიც ფაქტორულ სისტემის სახელით არის ცნობილი. იგი არის მათემატიკური ფორმულა, რომელიც საანალიზო მაჩვენებელსა და ფაქტორ-მაჩვენებლებს შორის არსებულ კავშირებს უჩვენებს. ეს კავშირი შეიძლება იყოს ორი სახე: ფუნქციური და სტოხასტიკური.

ფუნქციური კავშირი მკაცრად დეტერმინირებული, იდენტიფიცირებული ანუ განსაზღვრადი კავშირია, რომელშიც მოქმედი ფაქტორის ყოველ მნიშვნელობას სავსებით განსაზღვრული, არაშემთხვევითი მნიშვნელობა შეესაბამება. იგი შემდეგნაირად გადმოიცემა:  $Y = f ( X_1 \dots X_2 \dots X_3 \dots X_n )$

Y - არის შედეგობრივი საკვლევი მაჩვენებელი;

Xn - არის ფაქტორ-მაჩვენებლები.

საწარმოს ფინანსური ანალიზის დროს მნიშვნელოვნად გვეხმარება სხვადასხვა ხერხი, როგორცაა ფარდობითი სხვაობის, ინტეგრალური, ლოგარითმული და სხვა ხერხები.

ფარდობითი სხვაობის ხერხი გამოიყენება მულტიპლიკატიურ მოდელში საშედეგო მაჩვენებელზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენის გასაზომად. შესაძლებელია ფაქტორთა შეფარდებითი ზრდის მაჩვენებლის დადგენა გამოსახული პროცენტის ან კოეფიციენტის სახით. განვიხილოთ შემდეგი სახის მულტიპლიკატიური მოდელი:

$$Y = \alpha * b * c$$

საშედეგო მაჩვენებელზე ცალკეული ფაქტორის გავლენა შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$\Delta Y \alpha = Y_0 * \frac{\Delta \alpha}{\alpha} ; \quad \Delta Y b = (Y_0 + \Delta Y \alpha) * \frac{\Delta b}{b} ; \quad \Delta Y c = (Y_0 + \Delta Y \alpha + \Delta Y b) + \frac{\Delta c}{c}$$

პირველი ფაქტორის გავლენის გასაანგარიშებლად აუცილებელია საშედეგო მაჩვენებლების გეგმური (საბაზისო) სიდიდე გავამრავლოთ პირველი ფაქტორის



შეფარდებითი ზრდის მაჩვენებლებზე, ამავე წესით გამოიანგარიშება დანარჩენი ფაქტორები.

პროპორციული გაყოფის ხერხის დროს გამოიანგარიშება საშედეგო მაჩვენებელზე ცალკეული ფაქტორის გავლენის სიდიდე. იგი გამოიყენება ადიტიურ მოდელებთან:

$Y = \sum X$  და ჯერად ადიტიური ტიპის მოდელებთან:

$$Y = \frac{K}{a+b+c+\dots+n}; \quad Y = \frac{a+b+c+\dots+n}{K}$$

როცა გვაქვს  $Y = a+b+c$  ტიპის მოდელი, ფაქტორთა სიდიდე შემდეგნაირად გამოიანგარიშება:

$$\Delta Y a = \frac{\Delta Y \text{ მთლიანი}}{\Delta a + \Delta b + \Delta c} * \Delta a; \quad \Delta Y b = \frac{\Delta Y \text{ მთლიანი}}{\Delta a + \Delta b + \Delta c} * \Delta b; \quad \Delta Y c = \frac{\Delta Y \text{ მთლიანი}}{\Delta a + \Delta b + \Delta c} * \Delta c$$

წილობრივი მონაწილეობის ხერხი გამოიყენება საშედეგო მაჩვენებლებზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენის სიდიდის გასაზომად. ამ შემთხვევაში, გამოითვლება ყოველი ცალკეული ფაქტორის ცვლილების ხვედრითი წონა მთლიანი ცვლილების ჯამთან, რომელიც შემდგომ მრავლება საშედეგო მაჩვენებლის მთლიანი ცვლილების სიდიდეზე:

$$\Delta Y a = \frac{\Delta a}{\Delta a + \Delta b + \Delta c} * \Delta Y \text{ მთლიანი}; \quad \Delta Y b = \frac{\Delta b}{\Delta a + \Delta b + \Delta c} * \Delta Y \text{ მთლიანი};$$

$$\Delta Y c = \frac{\Delta c}{\Delta a + \Delta b + \Delta c} * \Delta Y \text{ მთლიანი}.$$

ინტეგრალური მოდელი გამოიყენება მულტიპლიკატიურ, ჯერად და ჯერად-ადიტიურ მოდელებში. იგი ზომავს ფაქტორთა გავლენას და იძლევა უფრო ზუსტ შედეგებს, ვიდრე ამას გვაძლევს ჯაჭვური ჩასმის ან აბსოლუტური სხვაობის ხერხები. ფაქტორთა ურთიერთქმედების დროს მიღებული შედეგის დამატებითი ცვლილება უერთდება არა ბოლო ფაქტორს, არამედ თანაბრად ნაწილდება მათ შორის.

ლოგარითმული მოდელიც ზომავს ცალკეული ფაქტორის გავლენის სიდიდეს და იგი გამოიყენება მულტიპლიკატიურ მოდელებში. ინტეგრალურთან შედარებით, აღნიშნული ხერხი უფრო ზუსტ შედეგს იძლევა. მისი დადებითობა იმაში ვლინდება, რომ ფაქტორთა ერთობლივი შედეგი საშედეგო მაჩვენებლების დონეზე ნაწილდება ყოველი ცალკეული ფაქტორის იზოლირებული გავლენის ხვედრითი წონის

პროპორციულად. მისი ნაკლოვანება კი იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოყენების სფერო შეზღუდულია. ლოგარითმული ხერხის დროს გამოიყენება მაჩვენებელთა ზრდის იდექსები. მოცემულია საშედეგო მაჩვენებელი სამი ფაქტორის ნამრავლის სახით:  $f = X * Y * Z$

ცალკეული ფაქტორის გავლენა შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$\Delta f_x = \Delta f_{\text{მთლიანი}} * \frac{\log(\frac{X_1}{X_0})}{\log(\frac{f_1}{f_0})}; \quad \Delta f_y = \Delta f_{\text{მთლიანი}} * \frac{\log(\frac{Y_1}{Y_0})}{\log(\frac{f_1}{f_0})}; \quad \Delta f_z = \Delta f_{\text{მთლიანი}} * \frac{\log(\frac{Z_1}{Z_0})}{\log(\frac{f_1}{f_0})}$$

თამაშთა თეორია არის თამაშებში ოპტიმალური სტრატეგიის შესწავლის მათემატიკური მეთოდი. თამაშის ქვეშ იგულისხმება პროცესი, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი მხარე, რომლებიც იბრძვიან საკუთარი ინტერესების რეალიზაციისთვის. თითოეულ მხარეს აქვს თავისი მიზანი და იყენებს გარკვეულ სტრატეგიას, რომელიც, სხვა მოთამაშეთა ქმედებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მისთვის მოგებიანი ან წაგებიანი იყოს. თამაშთა თეორია გვებმარება საუკეთესო სტრატეგიის არჩევაში სხვა მონაწილეების, მათი რესურსებისა და შესაძლო ქმედებების გათვალისწინებით. ჯონ ფორბს ნემის თამაშის თეორიამ სამუდამოდ შეცვალა საბაზრო ეკონომიკა.

მატრიცული მოდელი ეფუძნება ხაზოვან და ვექტორულ მატრიცულ ალგებრას და შეისწავლის რთულ სტრუქტურებს დარგობრივ, საწარმოთა და მათ გაერთიანებათა დონეზე.

ეკონომიკური ხასიათის მოვლენების მოხდენის სიხშირის, ხარისხის და ტენდენციების დახასიათებისათვის, ეკონომიკური ანალიზი იყენებს საშუალო სიდიდეებს და სხვადასხვა ინდექსებს. საშუალო მაჩვენებლებს შორის ყველაზე გავრცელებულია საშუალო არითმეტიკული. განასხვავებენ მარტივ საშუალო არითმეტიკულს, სიმრავლეში არსებული წევრთა ჯამის ფარდობა სიმრავლის წევრთა რიცხვზე და შეწონილ საშუალოს, რომლის გამოსათვლელად დამატებით გამოიყენება სიმრავლეში ხდომილობათა წონები (ანუ სიხშირე).

ეკონომიკური ანალიზი ასევე იყენებს სხვადასხვა ინდექსებს. ინდექსი გვიჩვენებს დროის ერთი განსაზღვრული მომენტიდან მეორე მომენტამდე ცვლადის ცვლილების დონეს. ინდექსი მიიღება შესადარისი მაჩვენებლების შეფარდებით. ინდექსი 100-ზე

გამრავლებით პროცენტებში გადაიყვანება. ინდექსები შეიძლება იყოს გეგმის შესრულების, დინამიკის, სტრუქტურის, ფასების და სხვა. დინამიკური ინდექსები გამოიყენება რამდენიმე წლიან პერიოდში ამა თუ იმ ეკონომიკური მაჩვენებლის ცვლილებების ტენდენციის დახასიათებისათვის. აღნიშნული ინდექსი არსებობს საბაზისო, რომელიც გამოითვლება ერთი რომელიმე წლის მიმართ, ან ჯაჭვური, რომელიც გამოითვლება ყოველი წლის წინა წლის მიმართ.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ფასების ინდექსი, რომელიც ოთხი სახის არსებობს:

1. მარტივი ინდექსები;
2. შეწონილი ინდექსები;
3. ლაპეიერის ინდექსი;
4. პააშეს ინდექსი.

მარტივი ინდექსები ორი სახის შეიძლება იყოს: ღირებულებითი, რომელიც გვიჩვენებს დროის განმავლობაში საგნის ერთეულის ფასის ცვლილებას და რაოდენობრივი, რომელიც ზომავს წარმოებული ან გაყიდული პროდუქციის მოცულობის ცვლილებებს.

ღირებულებითი (ანუ ფასის) ინდექს ინფლაციის კოეფიციენტსაც უწოდებენ და გამოიანგარიშება ამა თუ იმ სახის პროდუქტის ერთეულის მიმდინარე ფასის შეფარდებით საბაზისო წლის ფასთან, შემდეგი ფორმულით:

$$\text{ფასის მარტივი ინდექსი} = P_1 * 100\% / P_0$$

$P_0$  – არის საგნის ერთეულის ფასი საბაზისო პერიოდისათვის (რომელიმე წინა წლის);

$P_1$  - არის საგნის ერთეულის ფასი მიმდინარე პერიოდისათვის.

ინფლაციის შებრინებული მაჩვენებელია დეფლაციის კოეფიციენტი.

რაოდენობრივი (მოცულობის) მარტივი ინდექსი შემდეგი ფორმული გამოისახება:

$$\text{მოცულობის მარტივი ინდექსი} = q_1 * 100\% / q_0$$

$q_1$  - არის პროდუქციის მოცულობა დროის მოცემული მომენტისათვის;

$q_0$  - არის პროდუქციის მოცულობა საბაზისო პერიოდისათვის.

ამ ორი ინდექსის ნამრავლი გვაძლევს ფასების საერთო ინდექსს, რომელიც ცნობილია ლაპეირის და პააშეს ფასების ინდექსები. ამ ინდექსებში მოცემულია ყველა სახის პროდუქტების მიხედვით გაკეთებული გამოთვლების ჯამი.

$$\Sigma (p_1 * q_0)$$

ფასების ლაპეირის ინდექსი = -----;

$$\Sigma (p_0 * q_0)$$

საბაზისო წელს გამოშვებული პროდუქტი გადმოყვანილია მიმდინარე წლის ფასებში, და შეფარდებულია საბაზისო წლის პროდუქტთან საბაზისო ფასით.

$$\Sigma (p_1 * q_1)$$

ფასების პააშეს ინდექსი = ----- ;

$$\Sigma (p_0 * q_1)$$

მიმდინარე წლის პროდუქტი მიმდინარე წლის ფასებით, შეფარდებულია საბაზისო წლის ფასში გადაყვანილ მიმდინარე წლის პროდუქციასთან.

ეს ორი ინდექსები შეიძლება ერთმანეთს დაემთხვას, ან არ დაემთხვეს. ამის მიზეზია ის, რომ ფასების ზრდის დროს მომხმარებელი გადადის დაბალფასიანი საქონლის მოხმარებაზე, რაც მომხმარებელზე ინფლაციის გავლენას ამცირებს.

აგრეთვე გამოიყენება სტრუქტურის ინდექსები ანუ სტრუქტურული კოეფიციენტები, რომლებიც გამოიყენება მთელის შემადგენლობის დახასიათებისათვის. სტრუქტურული კოეფიციენტი გვიჩვენებს შემადგენელი ნაწილის ხვედრით წილს მთელის მიმართ. სტრუქტურული კოეფიციენტების ჯამი ყოველთვის ასის ტოლია.

მათემატიკური მეთოდები ეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება მაშინ, როდესაც ფაქტორ მაჩვენებელსა და შედეგობრივ მაჩვენებლებს შორის კავშირები დეტერმინირებული ხასიათის დაკავშირების მოდელის სახით ვერ განისაზღვრება, როცა, ყველა ფაქტორის ჩასმა ფორმულაში შეუძლებელია და ადგილი აქვს სტოხასტიკურ კავშირებს. სტოხასტიკური კავშირები ხდომილებითი კავშირებია, როცა ერთ ფაქტორულ სიდიდეს მრავალი შედეგობრივი მნიშვნელობა შეესაბამება. სტოხასტიკური კავშირების ანალიზის მიზნით გამოიყენება შემდეგი მათემატიკური

მეთოდები: კორელაციური ანალიზი, ვარიაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტები, ალბათობის მათემატიკური მეთოდები.

კორელაცია ზომავს ორ ცვლადს შორის კავშირის სიმკვრივეს. ურთიერთკავშირი ცვლადებს შორის შეიძლება იყოს სრულყოფილი ან ნაწილობრივი, დადებითი ან უარყოფითი. დადებითია კორელაცია, როცა ცვლადებს შორის კავშირი პირდაპირპროპორციულია. ხოლო, უარყოფითია კორელაცია, როცა ცვლადებს შორის კავშირი უკუპროპორციულია.

სრულყოფილი დადებითი კორელაცია ნიშნავს, რომ ერთი ცვლადის მაღალი მნიშვნელობები მეორე ცვლადის მაღალ მნიშვნელობებს იწვევს. ხოლო, ერთი ცვლადის მცირე მნიშვნელობები გამოწვეულია მეორე ცვლადის მცირე მნიშვნელობებით. სრულყოფილი უარყოფითი კორელაცია ნიშნავს, როცა ერთი ცვლადის მაღალ მნიშვნელობებს მეორე ცვლადის მცირე მნიშვნელობები შეესაბამება და პირიქით, კავშირი უკუპროპორციულია. ორ ცვლადს შორის კავშირის ხარისხის დასადგენად კორელაციის კოეფიციენტი ( $r$ ) გამოიყენება. კორელაციის კოეფიციენტს შეუძლია მნიშვნელობები მიიღოს მხოლოდ  $+1$ -სა და  $-1$ -ს შორის.

$r = +1$  გვიჩვენებს სრულყოფილ დადებით კორელაციას;

$r = 0$  გვიჩვენებს, რომ კორელაცია ანუ კავშირი არ არსებობს;

$r = -1$  გვიჩვენებს სრულყოფილ უარყოფით კორელაციას.

კორელაციის კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$n \cdot \sum xy - \sum x \cdot \sum y$$

$$r = \frac{\dots}{\dots}$$

$$[n \cdot \sum x^2 - (\sum x)^2] [n \cdot \sum y^2 - (\sum y)^2]$$

X – არის დამოუკიდებელი ცვლადი ანუ ფაქტორი;

Y – არის დამოკიდებული ცვლადი ანუ შედეგი;

n – არის წევრთა რიცხვი აღებულ სიმრავლეში.

დეტერმინაციის კოეფიციენტი ( $D$ ) გვიჩვენებს შედეგობრივი მაჩვენებლის ცვლილების რამდენი პროცენტია გამოწვეული ფაქტორ-მაჩვენებლის ანუ დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილებით:  $D = r^2$

თუ მოსალოდნელი შედეგები ბუნდოვანია, ამ დროს მამოიყენება მათემატიკური ლოდინი, რომელიც არის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი შედეგების საშუალო მნიშვნელობა. იგი უდრის შესაძლო შედეგების მათ ალბათობებზე ნამრავლის ჯამს: მათემატიკური ლოდინი =  $\sum P * X$

P – არის შედეგის ხდომილობის ალბათობა, რომელიც წარსული მონაცემების ანალიზით განისაზღვრება.

X – არის ესა თუ ის მოსალოდნელი კონკრეტული შედეგი;

$\Sigma$  - ნიშნავს „ჯამს“.

იგი არ ითვალისწინებს რისკებს და ფულის დროითი ღირებულების ცვლილებას. შესაძლო პროექტიდან ის პროექტია მისაღები, რომლის მათემატიკური ლოდინი დადებითია. ხოლო, დადებითი პროექტებიდან შეირჩევა ყველაზე მაღალი მათემატიკური ლოდინის მქონე პროექტი.

საშუალო კვადრატული გადახრა ახასიათებს სტაბილურობის ხარისხს. მაჩვენებელი რაც მეტია ნულზე, მით მეტია დისპერსია ანუ გაბნევის ხარისხი საშუალოდან და არასტაბილურობაც მაღალია. იგი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:  $\delta = \sqrt{\frac{\sum x^2}{n - \bar{x}^2}}$

სიხშირული განაწილების დროს გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$\delta = \frac{\sum f (x - \bar{x})^2}{\sum f}$$

ეს მაჩვენებელი რაც უფრო ახლოსაა ნულთან, ვითარება მით უფრო სტაბილურია.

სიმრავლის წევრთა გაბნევის ხარისხი იზომება გადახრით ანუ ვარიაციის კოეფიციენტით, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება:  $V = \frac{\delta * 100\%}{\bar{x}}$

აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს დაშორებას სიმრავლის წევრებს შორის. იგი რაც უფრო ახლოსაა 100%-თან, მით მაღალია საანალიზო მაჩვენებლის მერყეობა და არასტაბილურობის ხარისხი. ვარიაციის კოეფიციენტი 10%-ის ზემოთ, უკვე საყურადღებოა.

საწარმოს საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას მეცნიერ-ეკონომისტების გარკვეული ნაწილი შემდეგ სახით აჯგუფებს:

- საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლები;
- ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასების მაჩვენებლები;
- ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებლები;
- საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებლები;
- მომგებიანობისა და საინვესტიციო აქტივობის შეფასების მაჩვენებლები.

ფინანსური კოეფიციენტების მოცემულ ჯგუფებში ერთიანდება სხვადასხვა მაჩვენებლები. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საერთაშორისო თეორიასა და პრაქტიკაში არსებული მაჩვენებლები მოცემულია შემდეგი სახით:

I. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ზოგადი შეფასება:

ჰორიზონტალური ანალიზის დროს ხდება ფინანსური ანგარიშგების თითოეული მაჩვენებლის შედარება წინა პერიოდთან, ბალანსის ცალკეული მუხლების ან მათი ჯგუფების ცვლილების ტენდენციათა გამოვლენის მიზნით, ზრდის საბაზისო ტემპების დადგენა;

ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზის დროს ხდება საშუალო ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის განსაზღვრა.

ტრენდული ანალიზის დროს ხდება ფინანსური ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარება მთელ რიგ წინა პერიოდებთან.

შედარებითი ანალიზი დროს ხდება შიდა საწარმოო, ანუ საწარმოთა და მათი შვილობილისაწარმოების, ქვედანაყოფების, საამქროების ცალკეულ მაჩვენებელთა შედარება, ან საწარმოთაშორისი, როდესაც მოცემული საწარმოს მაჩვენებლების კონკურენტ საწარმოებთან შედარება, ან კიდევ მოცემული საწარმოს მაჩვენებლების საშუალო დარგობრივ მაჩვენებელთან შედარება.

II. ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტური ანალიზი.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლები:

- ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილი;
- ფონდუკუგების კოეფიციენტი;
- ფონდტევადობის კოეფიციენტი;
- ცვეთის კოეფიციენტი;

- განახლების კოეფიციენტი,
- გასვლის კოეფიციენტი.

ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასების მაჩვენებლები:

- ფუნქციონირებადი სამუშაო კაპიტალის მანევრირების მაჩვენებელი;
- მიმდინარე ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი;
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში;
- მარაგების დაფარვის კოეფიციენტი.

ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებლები:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი;
- სახსრების მანევრირების კოეფიციენტი;
- საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი;
- სახსრების მობილურობის კოეფიციენტი;
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი;
- გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი;
- ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი.

საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებლები:

- ფონდუკუგების კოეფიციენტი;
- საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
- მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
- დებიტორული დავალიანებების ამოღების კოეფიციენტი;
- კრედიტორული დავალიანებების დაფარვის კოეფიციენტი;
- საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის კოეფიციენტი;
- რესურსების უკუგების კოეფიციენტი;



- ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი.

მომგებიანობისა და საინვესტიციო აქტივობის შეფასების მაჩვენებლები:

- საერთო მოგების მარჟა;
- საოპერაციო მოგების მარჟა;
- წმინდა მოგების მარჟა;
- აქტივებზე შემოსავლის კოეფიციენტი;
- უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე (ROCE) ანუ გამოყენებული კაპიტალის რენტაბელობა;
- უკუგება ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა კაპიტალზე (ROE), ანუ საკუთარი

კაპიტალის რენტაბელობა;

- აქტივების რენტაბელობა (ROA);
- ინვესტიციების რენტაბელობა (ROI).

მაჩვენებლების ასეთი დაჯგუფება, ანალიზის ჩატარება წარმოდგენილი მეთოდით, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სრული და ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა. თუმცა, გარკვეული ნაკლოვანებანი გააჩნია, რადგან ამ კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია დარგების მიხედვით განსხვავებული არ არის, თუმცა ამ კოეფიციენტების მნიშვნელობა დარგების მიხედვით განსხვავდება.

თეორიის საფუძველზე განვიხილავთ კომპანია „ჯი არ სი“-ს და გავაანალიზებთ მის ფინანსურ მონაცემებს. “შპს ჯი არ სი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ( ს/ნ 205017578 ), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ფეიქართა ქუჩა N 14. კომპანიის მფლობელები არიან : გიორგი აღდგომელაშვილი - 40%, დავითი ნიქაბაძე - 30%, მერაბი ნიქაბაძე - 30%. შპს „ჯი არ სი“ არის სამშენებლო მასალების მწარმოებელი, იმპორტიორი და უკვე 15 წელია რაც ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელი კომპანიაა საქართველოს სამშენებლო ბიზნეს სექტორში. დაარსებიდან დღემდე კომპანიის პირველი პრიორიტეტი ბაზარზე მაღალი სტანდარტების დაწესება,

ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბება და ერთგული მომხმარებლების ჯგუფის შექმნა, რაც განაპირობებს კომპანიის წარმატებას. გუნდი, რომელიც საფუძვლად უდევს კომპანიის წინსვლას, შედგება კვალიფიციური და ერთგული თანამშრომლებისგან. სამშენებლო სფეროში, კომპანია ჯი არ სი, არის გარანტი იმისა რომ შესაძლებელია ყველა ტიპის სამშენებლო გადაწყვეტილების შესრულება.

კომპანიის ძირითადი მიმართულებები: გადახურვის მასალები, ენერგოეფექტული სამშენებლო მასალები, ხანძარმედეგი ქვაბამბის სენდვიჩპანელი, ერთადერთი პროდუქტი რომელსაც აქვს კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისობის სერთიფიკატი მთელს რეგიონში, დამატბუნებელი და ჰიდროსაიზოლაციო მასალები, სტრუქტურული რკინა, სამშენებლო ქიმია, თაბაშირმუყაო, აქსესუარები.

მიუხედავად პროდუქციის კატეგორიების მრავალფეროვნებისა, კომპანია ყოველწლიურად სთავაზობს სიახლეს ქართულ ბაზარს და ხელს უწყობს დარგის განვითარებას.

GRC LLC – საერთაშორისო ბრენდების წარმომადგენელი

კომპანია “ჯი არ სი” არის ისეთი საერთაშორისო კომპანიების ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში როგორცაა BASF, Firestone, Ursa, Technonicol, Arcelormittal, SSAB, DONGBU და სხვა.

მნიშვნელოვანი მოვლენები:

- 2003 წელს კომპანიამ სხვადასხვა ტიპის სახურავების, დამატბუნებელი და ჰიდროსაიზოლაციო მასალების რეალიზაციით დაიმკვიდრა ბაზარზე ადგილი;
- 2009 წელს ჯი არ სი – მ შეიძინა ფინური მეტალოკრამიტის დანადგარი და დაიწყო სახურავის ხაზის წარმოება;
- 2010 წელს ჯი არ სი – მ გააფართოვა საწარმო ხაზი და შეიძინა პროფილირებული ფენილის დანადგარი;
- 2010 წელს ჯი არ სი – მ დაიწყო გოფირებული თუნუქის წარმოება;
- 2011 წელს ჯი არ სი – მ განავითარა და გააფართოვა მეტალოკრამიტის წარმოება და მომხმარებელს შესთავაზა უნიკალური გადადების და ორმაგი საკეტის მქონე სახურავი (Twin Lock);

- 2011 წელს კომპანიამ დაამატა ახალი პროფილირების დანადგარი და გააფართოვა პროფილირებული სახურავის ასორტიმენტი;
- 2012 წელს გაიხსნა კომპანიის ფილიალი აჭარის რეგიონში, ბათუმში;
- 2013 წელს ჯი არ სი-მ გახსნა ახალი სახურავის ქარხანა ფეიქართა ქუჩაზე;
- 2014 წელს ჯი არ სი-მ დაიწყო თაბაშირმუყაოს UD, CD, UW, CW პროფილების წარმოება;
- 2015 წელს ჯი არ სი-მ სახელმწიფო პროგრამა აწარმოე საქართველოს ფარგლებში ააშენა სენდვიჩპანელების და დამათბუნებელი მასალების მწარმოებელი ქარხანა რუსთავში;
- 2017 წელს კომპანია სახელმწიფო პროგრამა აწარმოე საქართველოს ბენეფიციარი გახდა და არაძვირფასი ლითონების მწარმოებელ საწარმოს ასაშენებლად, ქუთაისში მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები გადაეცა.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენის საფუძვლია კომპანიის ფინანსური ანალიზი, კომპანიის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელება.

## 2. მიმდინარე გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მნიშვნელოვან მაჩვენებლებს წარმოადგენს ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა. საწარმო ფინანსურად სტაბილურია თუ მას შეუძლია დაფაროს მისი ვალდებულებები ადვილად რეალიზებადი სახსრებით და იყოს მომგებიანი. ტერმინი „ლიკვიდურობა“ ლათინური სიტყვიდან „Liquidus“ წარმოდგება და „თხევადს“, „მიმდინარეს“ ნიშნავს. ლიკვიდურობა ნიშნავს საწარმოს უნარს დაფაროს საკუთარი ვალდებულებები აქტივებით, რომელთა ფულად ფორმაში გადაქცევის ვადები შეესაბამება ვალდებულებების დაფარვის ვადებს. საწარმო მაშინ არის ლიკვიდური თუ მისი მიმდინარე აქტივები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს, თუ მიმდინარე აქტივები ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებებზე, ადგილი აქვს კაპიტალის დეფიციტს.

საწარმოს გადახდისუნარიანობაში იგულისხმება საწარმოს უნარი დროულად დაფაროს წარსული სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები. საწარმოს დავალიანების ვადაგადაცილებით დაფარვის შემთხვევაში უწევს დამატებითი ჯარიმების გადახდა, ამიტომ ის მუდამ აკონტროებს საკუთარ გადახდისუნარიანობას. საწარმოს გადახდისუნარიანობის დონით დაინტერესებულია არამარტო საწარმოს მესაკუთრეები, არამედ პარტნიორები ინვესტორებს, საკრედიტო დაწესებულებებს.

საწარმოს ფინანსური ანალიზის დროს პირველ რიგში ფასება საწარმოს გადახდისუნარიანობა, რომელიც განისაზღვრება აქტივების ლიკვიდურობის მაჩვენებლით. ლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნება მიმდინარე აქტივები: ფულადი თანხები და მათი ეკვივალენტები, მატერიალური მარაგები, მოკლევადიანი მოთხოვნები და ფასიანი ქაღალდები. მათ საბრუნავ საშუალებებსაც უწოდებენ, ვინაიდან მათში ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერმე შემობრუნდება.

მიმდინარე აქტივები სწრაფად ბრუნვადი აქტივებია, ვინაიდან, ფიზიკურად ერთი და იგივე ნიმუშის აქტივის ბრუნვა კი არ ხდება, არამედ მათი ღირებულების მოძრაობა. გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ეს ორი ტერმინი: მიმდინარე აქტივი – გულისხმობს მათ ფიზიკურ სახეს, სახმარ ღირებულებას. საბრუნავი საშუალებები (ან საბრუნავი სახსრები) კი გულისხმობს მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას. რაც უფრო ჩქარა მოხდება ავანსირებული ღირებულების ბრუნვა, მით უფრო დროულად შეძლებს საწარმო დაფაროს თავისი ვალდებულებები და აიმაღლოს მისი გადახდისუნარიანობა, მაშასადამე, ლიკვიდურობა. ამდენად, საწარმოს ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. თუმცა, ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა არ არის ერთიანი იგივე ცნებები. ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით შეიძლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დადებითად ხასიათდებოდეს, თუმცა ეს შეფასება შეიძლება მცდარი იყოს, თუ საბრუნავი აქტივებში სჭარბობს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები და ისეთი აქტივები, რომელთა რეალიზება ბაზარზე შეუძლებელია არსებითი ფინანსური დანაკარგების გარეშე.

ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა შეიძლება შეფასდეს რიგი აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით. ძირითად აბსოლუტურ მაჩვენებელს წარმოადგენს საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ოდენობა.

საწარმოს გადახდისუნარიანობა ხასიათდება: გადახდისუნარიანობის ბალანსით, ლიკვიდურობის კოეფიციენტებითა და მარაგების დაფარვის მაჩვენებლებით.

საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ანალიზის საფუძვრებია:

1. გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენა;
2. ლიკვიდურობის კოეფიციენტების დინამიკის (ტრენდების) შესწავლა;
3. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი
4. დასკვნების გაკეთება და საჭირო ღონისძიებების შემუშავება.

საწარმოს ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზის დროს კლებადი ლიკვიდურობის მიხედვით დაჯგუფებული საშუალებები ბალანსის აქტივით უდარდება დაფარვის ვადების მიხედვით დაჯგუფებულ ვალდებულებებს ბალანსის პასივში. გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის ანალიზი წარმოადგენს საწარმოს ბალანსის ანალიზს და მდგომარეობს აქტივში ასახული საშუალებების შედარებაში პასივში მოცემულ ვალდებულებებთან.

გადახდისუნარიანობის ბალანსი გვიჩვენებს მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურას და განსაზღვრავს, მიმდინარე აქტივები არის თუ არა საკმარისი მიმდინარე ვალდებულებებს დასაფარად. მნიშვნელოვანია, მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს აჭარბებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება საბრუნავი საშუალებების დეფიციტს. გადახდისუნარიანობის ბალანსი დგება ბუღალტრული ბალანსის საფუძველზე.

ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით, საწარმოს აქტივები ჯგუფდება:

A<sub>1</sub> – მაღალლიკვიდური აქტივები – საწარმოს ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები (ფასიანი ქაღალდები);

A<sub>2</sub> – სწრაფად რეალიზებადი აქტივები – დებიტორული დავალიანებანი, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეს არ აღემატება;

A<sub>3</sub> – ნელა რეალიზებადი აქტივები – მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვეს აღემატება;

A<sub>4</sub> – ძნელად რეალიზებადი აქტივები – გრძელვადიანი აქტივები: ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობანი.

საწარმოს ვალდებულებები დაფარვის ვადებიდან გამომდინარე ჯგუფდება:

L<sub>1</sub> – სასწრაფო ვალდებულებები – კრედიტორული დავალიანებები და ბანკის მოკლევადიანი კრედიტები, რომელთა გადახდის ვადა დამდგარია;

L<sub>2</sub> – მოკლევადიანი ვალდებულებები – ეს არის მოკლევადიანი სესხები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები;

L<sub>3</sub> – გრძელვადიანი ვალდებულებები – ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან, გრძელვადიანი თამასუქები, გასანაღდებელი ობლიგაციები;

L<sub>4</sub> – მუდმივი პასივები – საკუთარი კაპიტალი, რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია.

საწარმოს ბალანსი ითვლება აბსოლუტურად ლიკვიდურად, თუ ადგილი აქვს შემდეგ ტოლობებს:  $A_1 \geq L_1$ ,  $A_2 \geq L_2$ ,  $A_3 \geq L_3$ ,  $A_4 \leq L_4$ .

პირველი სამი უტოლობის დროს სრულდება მეოთხეც, ამიტომ მნიშვნელოვანია პირველი სამი ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების ჯამების შეფარდება. მეოთხე აბალანსებს მათ და ასევე, გააჩნია ღრმა ეკონომიკური შინაარსი. მისი შესრულება მიუთითებს ფინანსური მდგრადობის მინიმალური პირობების დაცვაზე, რაც საწარმოში საკუთარ საბრუნავ საშუალებათა არსებობაში მდგომარეობს. თუ ამ თანაფარდობებიდან რომელიმე არ შეუსრულდა საწარმოს ლიკვიდურობა არ არის აბსოლუტური, ამავე დროს ამა თუ იმ ჯგუფის აქტივების ნაკლებობა არ კომპენსირდება მათი ზედმეტობით მეორე ჯგუფში, ვინაიდან კომპენსაცია ხდება მხოლოდ ღირებულებითი ფორმით.

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია „ჯი არ სი“ შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები. კომპანია ბოლო სამი წელია მოგებაზეა და მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2016-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ათასი ლარი) ცხრილი N1:

	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13 695	15 117	18 133
არამატერიალური აქტივები	35	40	70
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>13 730</b>	<b>15 157</b>	<b>18 203</b>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8 576	17 738	25 977
გადახდილი ავანსები	5 411	8 740	8 715
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	800	1 404	2 756
დეპოზიტები	5 489	4 680	12 112
ფული და ფულის ექვივალენტები	5 333	245	6 193
სულ მიმდინარე აქტივები	25 609	32 807	55 753
<b>სულ აქტივები</b>	<b>39 339</b>	<b>47 964</b>	<b>73 956</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება	3 071	41 700	48 688
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>30 712</b>	<b>41 702</b>	<b>48 690</b>
<b>ვალდებულებები</b>			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 263	2 959	7 437
სესხები	6 266	2 816	17 408
მიღებული ავანსები	257	416	417
მიმდინარე მოგების გადასახადი	841	71	4
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>8 627</b>	<b>6 262</b>	<b>25 266</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>8 627</b>	<b>6 262</b>	<b>25 266</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>39 339</b>	<b>47 964</b>	<b>73 956</b>

საწარმოს ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზის დროს კლებადი ლიკვიდურობის მიხედვით დაჯგუფებული საშუალებები ბალანსის აქტივით უდარდება დაფარვის ვადების მიხედვით დაჯგუფებულ ვალდებულებებს ბალანსის პასივში.

საწარმოს ბალანსი ითვლება აბსოლუტურად ლიკვიდურად, თუ ადგილი აქვს შემდეგ ტოლობებს:  $A1 \geq L1$ ,  $A2 \geq L2$ ,  $A3 \geq L3$ ,  $A4 \leq L4$ .

2016 წელი(ათასი ლარი):  $5\,333 > 1\,263$ ;  $800 < 6\,266$ ;  $8\,576 > 8\,627$ ;  $13\,730 < 30\,712$

2017 წელი(ათასი ლარი):  $245 < 2\,959$ ;  $1\,404 < 2\,816$ ;  $17\,738 < 6\,262$ ;  $15\,157 < 41\,702$

2018 წელი(ათასი ლარი):  $6\,193 > 7\,437$ ;  $2\,756 < 17\,408$ ;  $25\,977 > 25\,266$ ;  $18\,203 < 48\,690$

ამ მაჩვენებლების შედარებისას დგინდება, რომ 2017 და 2018 წლებში, 2016 წელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა და ლიკვიდურობაც უფრო მაღალია, თუმცა აფსოლიტური ლიკვიდურობა არც ერთ წელს არ არის.

გადახდისუნარიანობის შესაფასებლად გამოიყენება ფარდობითი მაჩვენებლები, რომლებიც ლიკვიდურობის კოეფიციენტს წარმოადგენენ. ლიკვიდურობა გვიჩვენებს, რა სიჩქარით იბრუნებს საწარმო ავანსირებულ ფულად საშუალებებს უკან და ვალდებულებებს ფარვას. ამრიგად, მას დაფარვის კოეფიციენტსაც უწოდებენ. გადახდისუნარიანობის განსაზღვრისთვის, პირველი ჯგუფის ლიკვიდური საშუალებები ეფარდება პირველი ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებს. თუ ეს კოეფიციენტი იქნება ერთი ან ერთზე მეტი იდეალური ვარიანტია.

გადახდისუნარიანობის ბალანსი (დიაგრამა N1):

აქტივები		ვალდებულებები და კაპიტალი	
<i>მიმდინარე აქტივები:</i>		<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>	
ნაღდი ფული	0	კრედიტორული დავალიანება	0
საბანკო ანგარიში	0	დარიცხული გადასახადები	0
დებიტორული დავალიანება	0	დარიცხული ხელფასები	0
საექვო ვალების რეზერვი	0	ავანსად მიღებული შემოსავლები	0
სულ დებიტორული დავალიანება	0	მოკლევადიანი სესხები	0



სასაქონლო მარაგები	0		
ნედლეული	0		
წინასწარ გაწეული ხარჯები	0		
სხვა მისაღები თანხები	0		
<b>მთლიანი მიმდინარე აქტივები</b>	<b>0</b>	<b>მთლიანი</b>	<b>მიმდინარე</b> 0
		<b>ვალდებულებები</b>	

საბალანსო ტოლობა: აქტივი = საკუთარი კაპიტალი + ვალდებულებები

საბალანსო ტოლობის საფუძველზე სხვა ტოლობებიც შეიძლება შედგეს:

მიმდინარე აქტივები + გრძელვადიანი აქტივები = საკუთარი კაპიტალი + მიმდინარე

ვალდებულებები + გრძელვადიანი ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი = აქტივები – ვალდებულებები

ბალანსში მოცემულია ინფორმაცია წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის, ეს საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ საწარმოს გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის ცვლილება წლის განმავლობაში. ასევე, დგინდება რამდენად შეუძლია საწარმოს დაფაროს თავისი ვალდებულებები, რამდენად აქტიურია ბიზნესი, რამდენად არის იგი დამოკიდებული სხვაზე (კრედიტორებზე), რა რესურსები გააჩნია მოცემულ მომენტში და როგორია მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სამი მიმართულება არსებობს, ვერტიკალური, ჰორიზონტალური და კოეფიციენტების ანალიზი, რომელშიც გამოიყოფა ანგარიშგების კერძო (ანუ ინდივიდუალური) და კომბინირებული კოეფიციენტები.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ბუღალტრული ბალანსის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები შეიძლება იყოს კერძო (ანუ საკუთარი) ან კომბინირებული.

I. ბალანსის მაჩვენებლები ისეთი მაჩვენებლებია, რომელთა გამოსათვლელად საკმარისია მხოლოდ ბალანსის ინფორმაცია. მათ აგრეთვე ბალანსის კერძო

(ინდივიდუალური ან ავტონომიურად) მაჩვენებლებს უწოდებენ. ესენია: ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მაჩვენებლები.

- ბალანსის ვერტიკალური მაჩვენებლებია: სტრუქტურული კოეფიციენტები, ლიკვიდურობის კოეფიციენტები, ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები, საკუთარი საბრუნავი კაპიტალით (სახსრებით) უზრუნველყოფის კოეფიციენტები.
- ბალანსის ჰორიზონტალური მაჩვენებლებია: დინამიკური კოეფიციენტები, საკუთარი საბრუნავი კაპიტალის და ფინანსური სტაბილურობის მოცულობითი მაჩვენებლები.

II. კომბინირებული მაჩვენებლების გამოთვლა მხოლოდ ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია. ესენია: აქტივების მომგებიანობა, მარაგების ბრუნვადობა, მოთხოვნების ინკასაციის და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი და ნებისმიერი სხვა კოეფიციენტი, რომლის გამოთვლა ანგარიშგების სხვადასხვა კომპონენტის ინფორმაციას საჭიროებს.

ბალანსის ვერტიკალური ანალიზი შეისწავლის საწარმოს ქონებისა და მისი დაფინანსების წყაროების სტრუქტურას. სტრუქტურა ნიშნავს ნაწილის ხვედრით წილს მთელში. თუ ბუღალტრული ბალანსის მუხლები უცვლელი არაა, ისინი წინა პერიოდებთან შედარებით შეიძლება შეიცვალონ. ხოლო, ამ ცვლილებების (გადახრების) შესწავლა უკვე იძლევა ინფორმაციას, თუ როგორი იქნება საწარმოს ფინანსური შედეგები და მისი გადახდისუნარიანობა.

ბალანსი ითვლება აბსოლუტურად შემდეგი პირობების დაცვის დროს:  
ფული და მისი ეკვივალენტები  $\geq$  ვადადამდგარი ვალდებულებები;  
ფულის, მისი ეკვივ. და დებიტ დავ. ჯამი  $\geq$  მოკლევადიანი ვალდებულებები;  
მატერიალური მარაგები  $\geq$  ვალდებულება მოწოდებიდან;  
გრძელვადიანი აქტივები  $\geq$  პრემენენტული კაპიტალი (გრძელვად. ვალდ. და საკუთ. კაპ. ჯამი).

ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზის შეისწავლი მისი მუხლების ცვლილების ტენდენციებს რამდენიმე წლიანი პერიოდისათვის, ასევე, გამოითვლის და შეისწავლის

აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის დინამიკური კოეფიციენტებს პროცენტულად, საბაზისო წელთან შედარებით, წმინდა მიმდინარე აქტივების და საკუთარი საბრუნავი სახსრების დინამიკას, ფინანსური სტაბილურობის მოცულობითი მაჩვენებლების დინამიკა. დინამიკის მაჩვენებლები ახასიათებენ, თუ რამდენი პროცენტით შეიცვალა ესა თუ ის მაჩვენებელი წინა საბაზისო წელთან შედარებით.

ბალანსის ინდივიდუალური მაჩვენებლები ისეთი აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლებია, რომელთა გამოთვლა მხოლოდ ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზეა შესაძლებელი. ესენია:

- I. ბალანსის სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები;
- II. ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მათ მიეკუთვნება აბსოლუტური, სწრაფი და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები და აჩვენებენ, რამდენად შეუძლია საწარმოს არსებული და მისაღები ფულით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ლიკვიდურობის კოეფიციენტები გამოითვლება მიმდინარე აქტივების შემადგენელი ჯგუფების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან;
- III. ფინანსური სტაბილურობის აბსოლუტური მაჩვენებლები ახასიათებენ რამდენად ფარავს საკუთარი საბრუნავი საშუალებები და დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები მატერიალურ მარაგებს;
- IV. ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლებია ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტები და სხვა;
- V. წმინდა მიმდინარე აქტივები და საკუთარი საბრუნავი საშუალებები. ეს უკანსკნელი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც დაბანდებულია მიმდინარე აქტივებში;
- VI. ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი კოეფიციენტი, როგორცაა აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან. აგრეთვე, ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან. თუ ეს კოეფიციენტები ერთზე მეტია, მაშასადამე ფინანსური რისკები არსებობს.

ბუღალტრული ბალანსის კომბინირებული მაჩვენებლებია:

1. აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლები, რომელთა გამოანგარიშებას ჭირდება ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია;
2. საკუთარი კაპიტალის უკუგების მაჩვენებლები, რომელთა გაანგარიშებას ჭირდება ბალანსისა, საკუთარი კაპიტალის და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია;
3. საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლები, რომლის გამოთვლას ჭირდება ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი კერძო და კომბინირებული მაჩვენებლების ანალიზის დროს შეისწავლება ამ მაჩვენებლების დინამიკა, გამოვლინდება გადახრები, ჩატარდება მათი ფაქტორული და კორელაციური ანალიზი. მაშასადამე, ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის ანალიზი პასუხობს შემდეგ კითხვებზე: აქვს თუ არ საწარმოს საკმარისი საკუთარი კაპიტალი, მოცემულ მომენტში შეუძლია თუ არა დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები. შენარჩუნებულია თუ არა კაპიტალი და იზრდება თუ არა ბიზნესი. თუ ბალანსი პოზიტიურია, მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი წინ უსწრებს გრძელვადიანი აქტივების ზრდის ტემს, სკაუთარი კაპიტალის ზრდის ტემპი წინ უსწრებს ვალდებულებებს ზრდის ტემპს და ბალანსში არაა ზარალი.

ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზის მეშვეობით შეისწავლება საწარმოს ქონებისა და მისი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა, რომელიც ხვედრითი წილის მაჩვენებლებით ხასიათდება. სტრუქტურა ნიშნავს ნაწილის ხვედრით წილს მთელში. საწარმოს აქტივების დაფინანსების წყაროებში სასურველია საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი ვალდებულებების წილს აღემატებოდეს, რაც ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

კომპანია „ჯი არ სი“-ს აქტივებისა და დაფინანსების წყაროების ზოგადი სტრუქტურა (%-ად) 2016-2018 წლის მაჩვენებლები(ათასი ლარი), ცხრილი N1.1:

მაჩვენებლები	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სულ გრძელვადიანი აქტივები	(13 73/39 33)*100=35	(15 157/47 964)*100=32	(18 203/73 956)*100=35

სულ მიმდინარე აქტივები	$(25\ 609/39\ 330)*100=65$	$(32\ 807/47\ 964)*100=68$	$(55\ 753/73\ 956)*100=75$
ჯამი (%)	100	100	100
სულ კაპიტალი	$(30\ 712/39\ 339)*100=78$	$(41\ 702/47\ 964)*100=87$	$(48\ 69/73\ 956)*100=66$
სულ ვალდებულებები	$(8\ 627/39\ 339)*100=22$	$(6\ 262/47\ 965)*100=13$	$(25\ 266/73\ 956)*100=34$
ჯამი(%)	100	100	100

ცხრილი N1.1 მომზადებულია ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე.

ცხრილი N1.1 ჩანს, საანალიზო საწარმოს აქტივების 50%-ზე მეტი დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალით, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს, თუმცა 2018 წელს საკუთარი კაპიტალის წილი შემცირდა. ბუღალტრული ბალანსის პასივის ანუ დაფინანსების წყაროების სტრუქტურული კოეფიციენტები იმავდროულად ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლებს წარმოადგენენ.

ბუღალტრული ბალანსის ელემენტების სტრუქტურა (%-ად) 2016-2018 წელის მაჩვენებლები (ათასი ლარი) ცხრილი N1.2:

	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	$(13\ 695/13\ 730)*100=99,7$	99,7	99,6
არამატერიალური აქტივები	$(35\ 000 /13\ 730)*100=0,3$	0,3	0,4
<b>ჯამი</b>	100	100	100
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	$(8\ 576/25\ 609)*100=33,49$	54,07	46,59
გადახდილი ავანსები	21,1	26,64	15,63

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,21	4,28	4,94
დეპოზიტები	21,4	14,27	21,72
ფული და ფულის ექვივალენტები	20,8	0,74	11,12
სულ მიმდინარე აქტივები	100	100	100
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	(2 000/30 712)*100=0,07	0,005	0,006
გაუნაწილებელი მოგება	99,93	99,995	99,994
სულ კაპიტალი	100	41,702	100
<b>ვალდებულებები</b>			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1 263/8 627)*100=14,64	47,25	29,43
სესხები	72,63	44,97	68,9
მიღებული ავანსები	2,98	6,64	1,65
მიმდინარე მოგების გადასახადი	9,75	1,14	0,02
<b>ჯამი</b>	100	100	100

ცხრილი N1.2 მომზადებულია ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე.

ცხრილი N1.2 აჩვენებს საანალიზო საწარმოს ბუღალტრული ბალანსის მთლიან (ვერტიკალურ) სტრუქტურას, რაც იმას ნიშნავს, რომ აქტივის თითოეული მუხლის წილი შეისწავლება მთლიანი აქტივების მიმართ. კერძოდ, 2018 წლის ბოლოსთვის, ფულადი თანხები მთელი აქტივები გაიზარდა და შეადგენს 11,12%-ს. მოთხოვნა მიწოდებადან მთელი აქტივის 4,94%-ია. აქტივებში ყველაზე მაღალი წილი უჭირავს გრძელვადიან აქტივებს, შენობებისა და დანადგარების მუხლებს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან საანალიზო საწარმო სამრეწველო ტიპის კომპანიაა და ბუნებრივია გრძელვადიანი აქტივები მთავარ როლს ასრულებენ. დაფინანსების წყაროების

თითოეული მუხლის წილი მთლიანი ჯამის მიმართ აჩვენებს, რომ ძალიან მაღალი იყო გრძელვადიანი სესხების წილი 2016 წელს შეადგენდა 72,63%-ს, 2017 წელს 44,97%-ამდე დაიწია, თუმცა 2018 წელს 68,9% შეადგინა.

ასეთი სურათი შეიძლება სტრუქტურული შეფასების შეზღუდულობის მიზეზიც იყოს, რადგან, ერთი მუხლის პროცენტული წილის ცვლილება იწვევს სხვა მუხლის ცვლილებას, თუნდაც, მოცულობით საერთოდ არ შეიცვალოს. ასეთ შეზღუდულობას დინამიკური ანალიზი ავსებს.

ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურული ანალიზის დროს უარყოფით მოვლენად ითვლება ფულადი თანხების წილის შემცირება, მარაგებისა და მოთხოვნების წილის ზრდა, ვალდებულებების ზრდა 2017-2018 წლებში 13%-იდან 34%-ამდე და საკუთარი კაპიტალის წილის შემცირება 87%-დან 66%-ამდე, იმაზე მეტყველებს, რომ ავანსირებული ღირებულების ბრუნვა ნელდება, იზრდება კრედიტორებზე საწარმოს დამოკიდებულების ხარისხი და ფინანსური მდგომარეობა იძაბება. მართალია, 2018 წელს 11,12%-ამდე შემცირდა ფულადი თანხების წილი, თუმცა სასაქონლო მატერიალური მარაგების წილი 54,07%-იდან 46,59%-ამდე შემცირდა 2018 წელს, ამასთანავე, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წილი 2017-2018 წლებში მცირედით, 4,28%-იდან 4,94%-ამდე გაიზარდა, რაც არ არის საგანგაშო მაჩვენებელი, მაგრამ მაინც სიფრთხილით და ყურადღებით უნდა მოეკიდოს მენეჯერი აღნიშნულ მაჩვენებლებს. სტრუქტურული ანალიზის შეზღუდულობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ აქტივის ან პასივის ერთი რომელიმე მუხლი შესაძლოა თანხობრივად უცვლელი იყოს, მაგრამ ხვედრითი წილის კოეფიციენტი, სხვა მუხლების ცვლილების ზეგავლენით შეიძლება შეიცვალოს.

საწარმოს ბუღალტრული ბალანსი ითვლება აბსოლუტურად ლიკვიდურად, ანუ არ არსებობს ვალდებულებების დაფარვის რაიმე საფრთხე, როცა დაცულია შემდეგი პირობები:

ფული და მისი ეკვივალენტები  $\geq$  ვადადამდგარი ვალდებულებები;

2016 წელი(ათასი ლარი): 5 333 > 1 263

2017 წელი(ათასი ლარი): 245 < 2 959

2018 წელი(ათასი ლარი): 6 193 < 7 437

როგორც ვხედავთ 2016 წელს სტაბილური მდგომარეობა იყო, ხოლო 2017-2018 წლებში მდგომარეობა უარყოფითად შეიცვალა.

ფულის, მისი ეკვივ. და დებიტ დავ. ჯამი  $\geq$  მოკლევადიანი ვალდებულებები

2016 წელი(ათასი ლარი): 6 133 < 8 627

2017 წელი(ათასი ლარი): 1 649 < 6 262

2018 წელი(ათასი ლარი): 8 949 < 25 266

2016-2018 წლებში მდგომარეობა უარყოფითია, რადგან კომპანიას არაქვს საკმარისი ფულადი სახსრები მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად.

მატერიალური მარაგები  $\geq$  ვალდებულება მოწოდებიდან

2016 წელი(ათასი ლარი): 8 576 < 8 627

2017 წელი(ათასი ლარი): 17 738 > 6 262

2018 წელი(ათასი ლარი): 25 977 > 25 266

მოცემული მაჩვენებლების შედარების შედეგად 2016-2018 წლებში დადებითი მდგომარეობა ჰქონდა კომპანას.

გრძელვადიანი აქტივები  $\geq$  პრემენენტული კაპიტალი (გრძელვად. ვალდ. და საკუთ. კაპ. ჯამი)

2016 წელი(ათასი ლარი): 13 730 < 39 339

2017 წელი(ათასი ლარი): 15 157 < 47 964

2018 წელი(ათასი ლარი): 18 203 < 73 956

2016-2018 წლებში აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვითაც არ არის სახარბიერო მდგომარეობა.

სტრუქტურული ანალიზის ამ შეზღუდულობას ავსებს დინამიკური ანალიზი, რომელსაც ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალურ ანალიზს უწოდებენ. ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი შეისწავლის მისი მუხლების ცვლილების ტენდენციებს. ამ დროს გამოითვლება აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის დინამიკური კოეფიციენტები პროცენტულად, საბაზისო წელთან შედარებით.



ბალანსის მთავარი ელემენტების პროცენტული ცვლილება 2016 წლთან შედარებით(ათას ლარებში), ცხრილი N1.3:

	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის ცვლილება(%)	2018 წლის ცვლილება(%)
სულ გრძელვადიანი აქტივები	13 730	15 157	18 203	10,39	32,58
სულ მიმდინარე აქტივები	25 609	32 807	55 753	28,11	117,71
სულ აქტივები	39 339	47 964	73 956	21,92	88,00
სულ კაპიტალი	30 712	41 702	48 69	35,78	58,54
სულ ვალდებულებები	8 627	6 262	25 266	-27,41	192,87

ცხრილი N1.3 მომზადებულია ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე.

ცხრილი N1.3\_ის მაჩვენებლებიდან ჩანს, შემდეგი დადებითი ტენდენციები: აქტივების მოცულობა 2016 წლთან შედარებით გაზრდილია. საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპი ჩამორჩება ვალდებულებების ზრდის ტემპს, რაც შეეხება ვალდებულებებს 2017 წელს დაფიქსირდა 27,41%-ით შემცირება, თუმცა 2018 წელს საკმაოდ დიდი ზრდა 192,87%-იანი აჩვენა, რაც აღემატება აქტივების ზრდის ტემპს და არასასურველი მოვლენაა კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის.

ბუღალტრული ბალანსის მუხლების დინამიკა (%-ად) 2016 წელთან (ათას ლარებში), ცხრილი N1.4:

	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის ცვლილება(%)	2018 წლის ცვლილება(%)
<b>აქტივები</b>					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	13 695	15 117	18 133	10,38	32,41
არამატერიალური აქტივები	35	40	70	14,29	100,00

<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	13 730	15 157	18 203	10,39	32,58
<b>მიმდინარე აქტივები</b>					
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8 576	17 738	25 977	106,83	202,90
გადახდილი ავანსები	5 411	8 740	8 715	61,52	61,06
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	800	1 404	2 756	-99,82	-99,66
დეპოზიტები	5 489	4 68	12 112	-14,74	120,66
ფული და ფულის ექვივალენტები	5 333	245	6 193	-95,41	16,13
სულ მიმდინარე აქტივები	25 609	32 807	55 753	28,11	117,71
<b>სულ აქტივები</b>	<b>39 339</b>	<b>47 964</b>	<b>73 956</b>	<b>21,92</b>	<b>88,00</b>
<b>კაპიტალი</b>					
საწესდებო კაპიტალი	2	2	2	0	0
გაუნაწილებელი მოგება	30 710	41 700	48 688	35,79	58,54
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>30 712</b>	<b>41 702</b>	<b>48 690</b>	<b>35,78</b>	<b>58,54</b>
<b>ვალდებულებები</b>					
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 263	2 959	7 437	134,28	488,84
სესხები	6 266	2 816	17 408	-55,06	177,82
მიღებული ავანსები	257	416	417	61,87	62,26

მიმდინარე მოგების გადასახადი	841	71	4	-91,56	-99,52
სულ მიმდინარე ვალდებულებები	8 627	6 262	25 266	-27,41	192,87
სულ ვალდებულებები	8 627	6 262	25 266	-27,41	192,87
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	39 339	47 964	73 956	21,92	88,00

ცხრილი N1.4 მომზადებულია ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე.

ცხრილი N1.4 ბუღალტრული ბალანსის ყველა მუხლის დინამიკას უჩვენებს 2016 წელთან მიმართებაში, ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ აქტივები ზრდის ტემპით ხასიათდება, თუმცა, მიმდინარე აქტივები უფრო მეტ ზრდის ტემპს აფიქსირებს გრძელვადიან აქტივებთან შედარებით. აღნიშნული, წესით კომპანიის ლიკვიდურობასა და მოქნილობაზე უნდა მიუთითებდეს, მაგრამ თუ დავაკვირდებით მიმდინარე აქტივების მუხლს მარაგები მნიშვნელოვნად მაღალი ზრდის ტემპი ფიქსირდება 106,83% და 202,90%, ხოლო, ყველაზე ლიკვიდური მუხლების, სავაჭრო მოთხოვნები - 99,82% და -99,66%, ფული და ფულადი ექვივალენტები -95,41 % და 16,13%, უარყოფითი ზრდის ტემპებით ხასიათდება, რაც საბოლოო ჯამში ნაკლებ პოზიტიურ გავლენას ახდენს კომპანიაზე. რაც შეეხება კაპიტალს, მაღალ ზრდის ტემპებს, 35,78 % და 58,54%, უჩვენებს, ხოლო ვალდებულებები, ჯერ მცირდება -27,41%-ით, შემდეგ კი მნიშვნელოვან, 192,87%-იან ზრდას აფიქსირებს. აღნიშნული არასასურველ გავლენას ახდენს კომპანიაზე, თუმცა თუ ვალდებულების მუხლების დინამიკას დავაკვირდებით, სავაჭრო ვალდებულებები 134,28% და 488,84%, სესხები -55,06% და 177,82%, მნიშვნელოვან ზრდას აფიქსირებს. აღნიშნული დინამიკა, შესაძლოა იმის მაჩვენებელია, რომ კომპანიის საქმიანობა იზრდება, კომპანია ვალდებულებების დაფარვას არ ჩქარობს,

ამასთანავე დამატებით სახსრებს მოიძიებს სესხების სახით, რომ საქმიანობის მაშტაბები გაზარდოს და გრძელვადიან პერიოდში შედარებით მაღალი მოგება უზღვევოს.

ბალანსის ზოგადი ანალიზით შეიძლება დავადგინოთ არის თუ არა საწარმო გადახდისუნარიანი, გააჩნია თუ არა საკუთარი საბრუნავი სახსრები და ფინანსური სტაბილურობის როგორი პოზიცია უკავია მას. დადებითი ფინანსური პოზიციის მქონე ბალანსი კი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ექვს ძირითად პირობას:

1. ბალანსის ჯამი წლის ბოლოსათვის უნდა იზრდებოდეს წინა წელთან შედარებით, ხოლო, მისი ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს ინფლაციის ზრდის ტემპს, მაგრამ არ უნდა უსწრებდეს რეალიზაციის ზრდის ტემპს. 2017 და 2018 წლებში აღნიშნული მაკვენებლის მიხედვით ფიქსირდება 21,92% და 88% ზრდა წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, რაც დადებითი მოვლენაა კომპანიისთვის.

2. მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი წინ უნდა უსწრებდეს ძირითადი საშუალებებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპს. 2017 – 2018 წლებში მიმდინარე აქტივების ზრდა 28,11% და 117,71%, ძირითადი საშუალებების - 10,38% და 32,41%, ხოლო, მიმდინარე ვალდებულებების - (21,41)% და 192,87%, რაც ცოტა უჩვეულო სურათს იძლევა, მაგრამ საბოლოო ჯამში დადებითად აისახება კომპანიაზე.

3. საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი და ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს გრძელვადიანი აქტივების მოცულობას და ზრდის ტემპს. 2017-2018 წელს საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი 47 964 ათასი ლარი და 73 956 ათასი ლარი, ზრდის ტემპი კი 21,92% და 88 %, ხოლო გრძელვადიანი აქტივები, 15 150 ათასი ლარი და 18 200 ათასი ლარი , ზრდის ტემპი კი 10,39% და 32,58%. მოცემული კრიტერიუმითაც კარგი ფინანსური მდგომარეობაა.

4. საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში არ უნდა იყოს 50%-ზე დაბალი. 2016-2018 წლებში შემდეგი მდგომარეობაა, 5%, 4,1% და 2,3%, რაც კარგია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის.

5. სავაჭრო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მოცულობა, ტემპი და წილი დაახლოებით ერთნაირი უნდა იყოს. 2016-2018 წლებში სავაჭრო დებიტორული დავალიანებება 800 ათასი ლარი , 1 404 ათასი ლარი და 2 756 ათასი

ლარი, ხოლო, კრედიტორული დავალიანებებ 1 263 ათასი ლარი, 2 969 ათასი ლარი და 7 437 ათასი ლარი. მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ ფიქსირდება, რაც კარგია კომპანიისთვის.

6. ბალანსში არ უნდა არსებობდეს დაუფარავი ზარალი, რაც არ ფიქსირდება 2016-2018 წლის კომპანიის ბალანსში.

ლიკვიდურობის ანალიზის პროცესში გაანგარიშება შემდეგი სახის მაჩვენებლები:

1. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
2. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
3. საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
4. საბრუნავი სახსრების (სსს) მანევრირების კოეფიციენტი;

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, მოცემულ მონეტში არსებული ფულადი თანხებით, მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი. გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

**აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი = ( ფულადი თანხები / მიმდინარე ვალდებულებები ) \* 100%.**

2016 წელი(ათასი ლარში) : ( 5 333 / 8 627 ) \*100 = 61,8 %

2017 წელი(ათასი ლარში) : ( 245 / 6 262 ) \*100 = 3,9 %

2018 წელი(ათასი ლარში) : ( 6 193 / 25 266 ) \*100 = 2,7 %

იდეალურ შემთხვევაში, ეს კოეფიციენტი 0,2 –ზე ანუ 20%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, 2016 წელს საკმაოდ კარგი მაჩვენებელი დაფიქსირდა, თუმცა, 2017-2018 წლებში ძალიან დაბალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოცემულ მონეტში არსებული ფულადი თანხებით, მიმდინარე ვალდებულებების ძალიან მცირე ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი, გვიჩვენებს არსებული და მისაღები ფულადი თანხები მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილს ფარავს. გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

✓ **სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (ფულადი თანხები + მოკლევადიანი მოთხოვნები) / მიმდინარე ვალდებულებები.**

2016 წელი(ათასი ლარში) :  $5\,333 + 800 / 8\,627 = 0,71$

2017 წელი(ათასი ლარში) :  $245 + 1\,404 / 6\,262 = 0,263$

2018 წელი(ათასი ლარში) :  $6\,193 + 2\,756 / 25\,266 = 0,354$

ეს კოეფიციენტი ერთსა და ორს შორის უნდა მერყეობდეს და მინიმალური ფარდობაა 1:1. თუმცა, კომპანია „ჯი არ სი“-ს შემთხვევაში 2016-2018 წლებში ერთზე დაბალია. კომპანიას არ შეუძლია არსებული ფულადი თანხებით და მოკლევადიანი მოთხოვნებით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა, რაც ნაკლებლიკვიდურს ხდის მას.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, მიმდინარე აქტივები რამდენჯერ აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს. შეიძლება ასეც განიმარტოს: მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების რა რაოდენობა მოდის ყოველ ერთი ლარის ვალდებულებებზე. ეს კოეფიციენტი ორზე ნაკლები და სამზე მეტი არ უნდა იყოს. მისი ძალიან მაღალი დონე სასურველი არაა, რადგან მიმდინარე აქტივები ძალიან მაღალი ტემპით იზრდება. ეს იმაზე მტყველლებს, რომ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესები შეფერხდა, ავანსირებული ღირებულების ბრუნვა ეცემა და ფინანსური მდგომარეობა უარესდება. გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

✓ **საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები.**

2016 წელი(ათას ლარში) :  $25\,609 / 8\,627 = 2,96$

2017 წელი(ათას ლარში) :  $32\,807 / 6\,262 = 5,24$

2018 წელი(ათას ლარში) :  $55\,753 / 25\,266 = 2,2$

2016 და 2018 წლებში კომპანიის აღნიშნული მაჩვენებელი კარგია. მისი ძალიან მაღალი დონე სასურველი არაა, რადგან მიმდინარე აქტივები ძალიან მაღალი ტემპით იზრდება.

2017 წელს 5,24 კოეფიციენტი შეადგინა, ეს იმაზე მტყველლებს, რომ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესები შეფერხდა, ავანსირებული ღირებულების ბრუნვა ეცემა და ფინანსური მდგომარეობა უარესდება.

ასევე, მნიშვნელოვანია საბრუნავი სახსრების (სსს) მანევრირებისა და ფულადი უსაფრთხოების მაჩვენებლები. იგი გვიჩვენებს, საკუთარ საბრუნავ სახსრებში რა წილი

უჭირავს ყველაზე ლიკვიდურ საშუალებებს. იგი ნულიდან ერთამდე მერყეობს. მისი ზრდა დადებით მოვლენაა.

✓ (სსს) მანევრირების კოეფიციენტი = ფულადი საშუალებები / საკუთარი საბრუნავი სახსრები.

2016 წელი(ათას ლარში) : 5 333 / (25 609 – 8 627) = 0,31

2017 წელი(ათას ლარში) : 245 / (32 807- 6 262 ) = 0,01

2018 წელი(ათას ლარში) : 6 193 / ( 55 753 – 25 266 ) = 0,2

იგი გვიჩვენებს, საკუთარ საბრუნავ სახსრებში რა წილი უჭირავს ყველაზე ლიკვიდურ საშუალებებს და ნულიდან ერთამდე მერყეობს. 2016-2018 წლებში მისი შემცირება დაფიქსირდა, რაც უარყოფითი მოვლენაა კომპანიისთვის და დარგის თავისებურებიდან გამომდინარეობს.

ანალიზის დროს, ასევე, შეისწავლება სხვა სახის მაჩვენებლებიც, როგორცაა ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი, საშუალო დღიური ხარჯი, მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი, პერსპექტიული ლიკვიდურობა, კრიტიკული ლიკვიდურობა.

✓ ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი = (ფული + ფასიანი ქაღალდები + დებიტორები) / საშუალო დღიური ხარჯები.

მოცემული მაჩვენებელია განსაზღვრავს, რამდენი დღის ფულადი აქტივის მარაგი არსებობს.

საშუალო დღიური ხარჯი გამოითვლება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მოცემული ხარჯების გაყოფით წელიწადის დღეთა რიცხვზე.

✓ მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი = ფულადი თანხები / ( მიმდ. ვალდ. -მიმდ. მოთხოვნები).

✓ პერსპექტიული ლიკვიდურობა = ( წმინდა მოგება - ამორტიზაცია ) / შემოსავალი რეალიზაციიდან.

✓ კრიტიკული ლიკვიდურობა = ( ფულადი თანხები + დებიტ. დაგ.) / (ვადადამდგარი ვალდ. + მოკლევად. ვალდებ).

აღნიშნული კოეფიციენტი 0,7-0,8 დიაპაზონში უნდა მოძრაობდეს.

მაშასადამე, ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა ერთი და იმავე შინაარსის მატარებელია, გადახდისუნარიანობის დონე კი ლიკვიდურობის კოეფიციენტებით

იზომება. მათი ანალიზის მიზანია შესწავლილ იქნეს ამ კოეფიციენტების დინამიკური ცვლილების ტემპები; დახასიათდეს მათი მერყეობის ხარისხი აღებულ საკვლევ პერიოდში; გამოითვალოს გადახრები წინა წლის მაჩვენებლებიდან; დადგინდეს მათი ცვლილების მიზეზები და შემუშავებულ იქნეს ლიკვიდურობის ანუ გადახდისუნარიანობის ამალღების წინადადებები. საწარმოს ლიკვიდურობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი: ფულადი თანხების, მოთხოვნების, მატერიალური მარაგების, მიმდინარე დავალიანებების, ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის, საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები და სხვ. იმისათვის, რომ დავადგინოთ, მთელი საანალიზო პერიოდის განმავლობაში, რომელიმე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ცვლილებაზე, როგორ გავლენას ახდენდა ერთ-ერთი ფაქტორი, მაგალითად, ფულადი აქტივების ცვლილების ტემპები, უნდა გამოითვალოს კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტები.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ფინანსური სტაბილურობა, რომელიც გულისხმობს საწარმოს მყარ ფინანსურ დამოუკიდებლობას. საწარმოს საერთო ფინანსურ სტრუქტურას შემდეგი სახე აქვს: საკუთარი კაპიტალი – ნასესხები სახსრები. ნასესხები კაპიტალის წილი, თუ გადააჭარბებს საკუთარი კაპიტალის წილს, საწარმო ვალდებულებების დაფარვას ვერ შეძლებს და საწარმო შეიძლება გაკოტრდეს. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის დასახასიათებლად გამოიყენება აბსოლიტური და ფარდობითი მაჩვენებლები.

ფინანსური სტაბილურობის მთავარ ფარდობით მაჩვენებლებს მიეკუთვნება: საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი, საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი, საკუთარი კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან, საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა, ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი, მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი, საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი, გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი, მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი, პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი, მარაგების დაფარვის



კოეფიციენტი, მარაგების დაფარვის კოეფიციენტი და მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით.

საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი საწარმოს ზოგად ფინანსურ სტრუქტურას ახასიათებს და მისი ზრდა დადებით მოვლენაა, მინიმალური ზღვარი კი ერთის ტოლია.

✓ საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი / მოზიდული კაპიტალი;

2016 წელი(ათას ლარში) :  $30\ 712 / 8\ 627 = 3,55$

2017 წელი(ათას ლარში) :  $41\ 702 / 6\ 262 = 6,65$

2018 წელი(ათას ლარში):  $48\ 690 / 25\ 266 = 1,92$

საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი საწარმოს ზოგად ფინანსურ სტრუქტურას ახასიათებს და მისი ზრდა დადებით მოვლენაა, რომელიც დაფიქსირდა 2016-2017 წლებში, თუმცა 2018 წელს ეს მაჩვენებელი 1,92\_ამდე დაეცა, მაგრამ მინიმალური ზღვარს, ერთის არ ჩამოსცდენია.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში. მისაღებია ეს კოეფიციენტი 0,5-ს აღემატებოდეს. დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებით, ამ მაჩვენებლის ოპტიმალური სიდიდე 60%-ია, ხოლო იაპონიის მრავალ კომპანიაში 20%.

✓ საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი / აქტივების ჯამი;

2016 წელი(ათას ლარში):  $30\ 712 / 39\ 339 = 0,78$

2017 წელი(ათას ლარში):  $41\ 702 / 47\ 964 = 0,87$

2018 წელი(ათას ლარში):  $48\ 690 / 73\ 956 = 0,68$

2016-2018 წლებში ეს კოეფიციენტი 0,5-ს აღემატება, კომპანიისთვის ძალიან კარგი მდგომარეობის მაჩვენებელია. მართალია 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 0,68\_ამდე შემცირდა, მაგრამ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებით, ამ მაჩვენებლის ოპტიმალური სიდიდე 60% და იაპონიის მრავალ 20% კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

საკუთარი კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან ბიზნესის რისკის ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება. საწარმო, რომელსაც უფრო მეტი ნასესხები სახსრები აქვს, ვიდრე საკუთარი კაპიტალი, უფრო მეტ რისკს ეწევა.

✓ საკუთარი კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან = (საკუთარი კაპიტალი - პრივილეგ.სააქციო კაპიტალი)/ (აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები)(ან, საკუთარ კაპიტალს + გრძლევადიანი ვალდებულებები);

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოისახება:

✓ საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა = ( საკ.კაპიტ. +გრძლევად.ვალდებ. - გრძლევად.აქტივები ) / მიმდინარე აქტივები;

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებულ მაჩვენებელს საწარმოს ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტს უწოდებენ და აჩვენებს, აქტივი რამდენჯერ აღემატება საკუთარ კაპიტალს. კარგია თუ ის ერთს უტოლდება. იგი ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელიცაა, ვინაიდან მისი ზრდა რისკის ზრდას მოასწავებს.

✓ ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი = აქტივის ჯამი /საკუთარი კაპიტალი;

2016 წელი(ათას ლარში): 39 339 / 30 712 = 1,28

2017 წელი(ათას ლარში): 47 964 /41 702 = 1,15

2018 წელი(ათას ლარში): 73 956 / 48 690 = 1,52

2016-2018 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი ერთს უახლოვდება, რაც ძალიან კარგი ფაქტია. იგი ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელიცაა, ვინაიდან მისი ზრდა რისკის ზრდას მოასწავებს. თუმცა, მცირე მერყეობა ფიქსირდება 2016-2017 წლებში შემცირდა, ხოლო, 2017-2018 წელს გაიზარდა, საბოლოოდ კი სტაბილური მდგომარეობით ხასიათდება.

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გამოსახავს, ვალდებულებებით ყოველი ერთი ლარი აქტივის დატვირთვის ხარისხს. ამ

კოეფიციენტისა და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ჯამი ერთის ტოლია.

✓ მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = ვალდებულებები / აქტივები;

2016 წელი(ათას ლარში):  $8\ 627 / 39\ 339 = 0,22$

2017 წელი(ათას ლარში):  $6\ 262 / 47\ 964 = 0,13$

2018 წელი(ათას ლარში):  $25\ 266 / 73\ 956 = 0,34$

2017 წელს აღნიშნული კოეფიციენტი 0,13\_ამდე შემცირდა, ხოლო, 2018 წელს 0,34\_ამდე გაიზარდა ვალდებულებებით ყოველი ერთი ლარი აქტივის დატვირთვის ხარისხი.

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დაფინანსებისათვის გამოყენებული საკუთარი კაპიტალის წილს. მისი ნორმალური სიდიდე დარგის თავისებურებებზეა დამოკიდებული.

✓ საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი = სსს / საკუთარი კაპიტალი;

გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი უჩვენებს, გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გარეშე ინვესტორების მიერ და რა ეკუთვნის საწარმოს მესაკუთრეებს, როცა გრძელვადიანი ვალდებულებები მხოლოდ გრძელვადიანი აქტივების დასაფინანსებლად არის გამოიყენებული.

✓ გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი = გრძელვადიანი ვალდებულებები / გრძელვადიანი აქტივები ;

მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი ახასიათებს გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრით წილს ვალდებულებებში. მისი ნორმალური დონე დარგის თავისებურებებზეა დამოკიდებული.

✓ მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი = გრძელვ. ვალდებულებები / ვალდებულებები;

პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი პროცენტის უზრუნველყოფის ხარისხს ახასიათებს. იგი რაც უფრო მაღალი იქნება ერთზე, საწარმოს მით უფრო არ ექნება პრობლემები პროცენტის გადახდასთან დაკავშირებით.

- ✓ პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი = მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე / საპროცენტო თანხა ;

აგრეთვე შეისწავლება მარაგების დაფარვის კოეფიციენტები, მარაგების დაფარვის საერთო კოეფიციენტი და საკუთარი საბრუნავი სახსრებით მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტი. მარაგების დაფარვის კოეფიციენტი კოეფიციენტი ერთზე ნაკლები აღმოჩნდა ფინანსური მდგომარეობა გართულებურია.

- ✓ მარაგების დაფარვის კოეფიციენტი = დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები / მატერიალური მარაგები ;

2016 წელი(ათას ლარში):  $25\ 609 / 8\ 576 = 2,97$

2017 წელი(ათას ლარში):  $32\ 807 / 17\ 738 = 1,85$

2018 წელი(ათას ლარში):  $55\ 753 / 25\ 977 = 2,15$

2016-2018 წლებში ფინანსური მდგომარეობა არ გართულებურა, ვინაიდან, მარაგების დაფარვის კოეფიციენტი ერთზე ნაკლები არ ყოფილა.

მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით აჩვენებს მატერიალური მარაგების რა ნაწილი იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით.

- ✓ მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით = საკუთარი საბრუნავი სახსრები / მატერიალური მარაგები;

2016 წელი(ათას ლარში):  $(25\ 609 - 8\ 627) / 8\ 576 = 1,98$

2017 წელი(ათას ლარში):  $(32\ 807 - 6\ 262) / 17\ 738 = 1,5$

2018 წელი(ათას ლარში):  $(55\ 753 - 25\ 266) / 25\ 977 = 1,17$

კომპანიამ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2016 წელს 1,98 კოეფიციენტი დააფიქსირა, მას შემდეგ კი შემცირდა, რაც არასახარბიელოა ფინანსური მდგომარეობისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანი სხვაობა არ ფიქსირდება.

საწარმოს ფინანსურ სტაბილურობა, ასევე, ხასიათდება აბსოლუტური მაჩვენებლებითაც. გამოყოფენ საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ოთხ ტიპს: აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა, ნორმალური ფინანსური სტაბილურობა, არასტაბილური (არამყარი) ფინანსური მდგომარეობა და კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა გამოიხატება შემდეგი უტოლობით:

✓ მატერიალური მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები ;

2016 წელი : წელი(ათას ლარში): 8 576 < 16 982

2017 წელი(ათას ლარში): 17 738 < 26 545

2018 წელი(ათას ლარში): 25 977 < 30 487

საწარმოს მატერიალური მარაგები მთლიანად საკუთარი საბრუნავი სახსრებით იფარება. იგი იდეალური სიტუაციაშია.

მატერიალური მარაგები მთლიანად საკუთარი საბრუნავი სახსრებით იფარება. იგი იდეალური სიტუაციაა. ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოში საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მატერიალურ მარაგებში 50%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ნორმალური ფინანსური სტაბილურობის დროს გვაქვს შემდეგ უტოლობა:

✓ საკუთარი საბრ. სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგის ფორმირების

„ნორმალური“ წყაროები.

არასტაბილური (არამყარი) ფინანსური მდგომარეობაა:

✓ მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები.

კრიტიკული ფინანსური მდგომარეობის შემთხვევაში მესამე ტიპის უტოლობასთან ერთად, საწარმოს გააჩნია გადაუხდელი ვალდებულებები და სესხები, ვადაგადაცილებილი დებიტორული დავალიანებები.

საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ფარდობა არის კაპიტალის მნიშვნელოვანი სტრუქტურის კოეფიციენტი, იგი საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მთავარი მაჩვენებელია და საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის დროს, საინტერესო იქნება ამ მაჩვენებლის ანალიზის ჩატარება შემდეგი მრავალფაქტორიანი მოდელის საფუძველზე:

საკ. კაპიტალი	=	საკ. კაპიტალი	*	შემოსავალი	*	მოგება	*	აქტივები
ვალდებულებები		შემოსავალი		მოგება		აქტივები		ვალდებულებები

2016-2018 წლის კომპანიის ფინანსური სტაბილურობა( ათასი ლარებში) ცხრილი N1.5 :

	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სულ კაპიტალი	30 712	41 702	48 69
სულ ვალდებულებები	8 627	6 262	25 266
სულ აქტივები	39 339	47 964	7 ,956
შემოსავალი	48 781	80 232	130 865
საერთო მოგება	13 938	16 255	18 145
საკ.კაპიტალი/შემოსავალი	0,63	0,52	0,37
შემოსავალი/მოგება	3,50	4,94	7,21
მოგება/აქტივი	0,35	0,34	0,25
აქტივი/ვალდებულებები	4,56	7,66	2,93
საკ.კაპიტალი/ვალდებულება	3,56	6,66	1,93

ცხრილი N1.5 მომზადებულია ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე.

2016-2018 წლებში, საკ.კაპიტალი/შემოსავლის მიხედვით, ყოველი ერთი ლარის შემოსავალში საკუთარ სახსრებს წილი 0,63\_დან 0,37\_ამდე შემცირდა. შემოსავალი/მოგება – ახასიათებს თუ რამდენი ლარის შემოსავალი დააჭირდა ყოველი ერთი ლარის მოგების მიღებას და ეს მაჩვენებელი 3,5\_დან 7,21\_ამდე გაიზარდა, რაც დადებითი მოვლენაა. მოგება/აქტივი – აჩვენებს, რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე, რომელიც 0,35\_დან 0,25\_ამდე შემცირდა. ხოლო, აქტივი/ვალდებულებები – აჩვენებს რამდენი ლარის რესურსი არსებობს, ყოველ ერთ ლარ მოზიდულ კაპიტალზე და ის 4,56\_დან 2,93\_ამდე შემცირდა.

### 3. მიმდინარე აქტივების ბრუნვადობის ანალიზი

საწარმოს საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების (მატერიალური აქტივების) ბრუნვადობის მაჩვენებელი, რომლითაც დგინდება, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს საწარმო ავანსირებულ კაპიტალს. ფინანსური სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია ავანსირებული ღირებულებების შეუფერხებელი მოძრაობა.

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ცნება გულისხმობს საწარმოში არსებულ რესურსებში წინასწარ გაღებული, ანუ ავანსირებული, ანუ წინასწარ დაბანდებული სახსრების გამოყენების ტემპს, სიჩქარეს.

კომპანიის შეუფერხებელი მუშაობისათვის აუცილებელია მომარაგების, წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების უწყვეტად განხორციელება. ამისთვის აუცილებელია, რომ მასალის საწყობში ყოველთვის იმყოფება მასალის მარაგი, მზა პროდუქციის საწყობში ყოველთვის იმყოფება რაღაც რაოდენობის პროდუქტი, ანგარიშებზე ყოველთვის უნდა იყოს საჭირო ფულადი თანხები. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასაშვებ დროზე მეტად ხომ არ იმყოფება პროდუქტი საწყობში, ფულადი თანხები ანგარიშებზე უძრავად ხომ არაა დიდი ხნით, მზა პროდუქცია რამდენხანს რჩება არარეალიზებული. ამრიგად, საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზი ორი მიმართულებებით განიხილება:

1. რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, აქტივების და კაპიტალის ბრუნვადობა;
2. მოგების, შემოსავლების და ავანსირებული კაპიტალის ტემპების თანაფარდობა.

აქტივების ბრუნვაში ყოფნის ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა შიგა და გარეგანი ფაქტორი. შიგა ფაქტორებია: ფასთა პოლიტიკა, აქტივების სტრუქტურა, მარაგების შეფასების მეთოდიკა. გარეგან ფაქტორებს მიეკუთვნება: საწარმოს საქმიანობის სფერო, დარგობრივი კუთვნილება, საწარმოს მაშტაბი, ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში და მასთან დაკავშირებული პირობები სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად.

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზის მიზანია გამოიკვლიოს დაბანდებული სახსრების ბრუნვადობის დაჩქარების გზები, საწარმოს ფინანსური სტაბილურობის გასამყარებლად. საწარმოს საქმიანი აქტიურობის ძირითადი მაჩვენებლებია საბრუნავი კაპიტალის ანუ მიმდინარე აქტივების ბრუნვადობის მაჩვენებლები:

1. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის საერთო მაჩვენებლები;
2. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები;
3. ფულის ბრუნვის მაჩვენებლები.

იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი (საქმიანობის მოცულობა) იზრდება, რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მოცულობა უფრო მეტად იზრდება ვიდრე ავანსირებული კაპიტალი, მოგება იზრდება უფრო მაღალი

ტემპით, ხარჯების შემცირების ტემპთან შედარებით, საქმიანი აქტიურობა ხასითდება დადებითად.

✓ წლიური (ან საოპერაციო) მოგების ტემპი > რეალიზაციის ტემპი > სულ ავანსირებული კაპიტალის ტემპი (ბალანსის ჯამი) > 100 %

ამ პირობებს „საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესს უწოდებენ“.

2016-2018 წლის საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი (ათასი ლარში) ნაჩვენებია ცხრილი N2:

	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის ცვლილება(%)	2018 წლის ცვლილება(%)
წლიური (ან საოპერაციო) მოგება	9 932	11 095	8 435	111,71	84,93
რეალიზაცია	229 563 449,90	359 004 577,41	598 912 833,86	156,39	260,89
ავანსირებული კაპიტალი (ბალანსის ჯამი)	39 339	47 964	73 956	21,92	88,00

2017 წელი:  $111,71 < 156,39 > 21,92 < 100$  % დარღვეულია „ოქროს წესი“

2018 წელი :  $84,93 < 260,89 > 88 < 100$  % აღნიშნულ წელსაც არ სრულდება „ოქროს წესი“, ვინაიდან რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მოცულობა უფრო ნელა იზრდება, ვიდრე ავანსირებული კაპიტალის, ხოლო მოგება უფრო ნაკლები ტემპით იზრდება ვიდრე ხარჯები მცირდება, რის შედეგადაც საქმიანი აქტიურობა უარყოფითად ფასდება.

მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერმე შემობრუნდება, გრძელვადიან აქტივებში ავანსირებული ღირებულება კი რამდენიმე წელიწადში ერთხელ. ამიტომ მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება, უფრო სწრაფად ბრუნავს, ვიდრე გრძელვადიან აქტივებში ავანსირებული ღირებულება, პირველს საბრუნავ ან მობილურ საშუალებებს, მეორეს კი ძირითად ან არამობილურ საშუალებებს უწოდებენ. გრძელვადიან აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას ძირითად კაპიტალს ან გრძელვადიან საშუალებებს, ხოლო მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას – საბრუნავ კაპიტალს ან საბრუნავ საშუალებებს უწოდებენ.




თავდაპირველად, მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ საოპერაციო და ფინანსურ ციკლებს.

- ✓ საოპერაციო ციკლის ხანგრძლიობა დღეებში = მატერ. მარაგების ბრუნვი პერიოდი + მოთხოვნების დაფარავის პერიოდი;
- ✓ ფინანსური ციკლი დღეებში = საოპერაციო ციკლის ხანგრძლიობა - კრედიტ. დავალ. დაფარვის პერიოდი.

ავანსირებული ღირებულების წრებრუნვა (მოძრაობა) შეიძლება შემდეგი დიაგრამის სახით იქნას წარმოდგენილი (იხ. დიაგრამ N2). დიაგრამა N2\_ზე მოცემულია ფულადი თანხების მოძრაობა, რომელიც იწყება მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების შეძენით. შემდეგ მოდის წარმოება, სარეალიზაციო მარაგების დასაწყობება და გაყიდვები, რომლის შემდეგ კვლავ ბრუნდება თავდაპირველად ავანსირებული ფულადი თანხები, რომელიც გაზრდილი იქმნება მოგების თანხით. რაც უფრო ხანმოკლე იქნება ამ წრებრუნვის პერიოდი, მით უფრო ნაკლები ინვესტიცია გახდება საჭირო ბიზნესში და პირიქით. თუმცა, თუ ინვესტიცია (ავანსირებული ღირებულება) ძალიან შემცირდა, ეს უკვე ნეგატიურ შედეგს გამოიწვევს.

დიაგრამა N2:



არსებობს ბრუნვადობის სამი ტიპის მაჩვენებელი:

1. ბრუნვის რიცხვი – იგი ახასიათებს, ავანსირებული ღირებულება რამდენჯერ შემობრუნდება წელიწადში;
2. ბრუნვის პერიოდი დღეებში – იგი ზომავს, რამდენი დღე ჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას;

3. დამაგრების (ანუ დაყოვნების) კოეფიციენტები – იგი ახასიათებს, თუ რამდენი ლარის ავანსირებული ღირებულება უნდა იყოს მუდმივად დაბანდებული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთი ლარი შემოსავლის მიღება.

ამასთან, გამოიყოფა ბრუნვადობის საერთო მაჩვენებლები და ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის ზოგადი მაჩვენებლებია:

1. ბრუნვის რიცხვი ჯერებში;
2. ბრუნვის პერიოდი დღეებში;
3. დამაგრების კოეფიციენტი.

ბრუნვის რიცხვი ჯერებში აჩვენებს, მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება რამდენჯერ შემობრუნდება წელიწადში. გამოითვლება შემდეგნაირად:

✓ ბრუნვის რიცხვი ჯერებში = წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან / მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი ან, 365 დღე / ერთი ბრუნვის პერიოდი დღეებში;

ბრუნვის პერიოდი დღეებში აჩვენებს რამდენი დღე ჰქირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას. გამოითვლება:

✓ ბრუნვის პერიოდი დღეებში = მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი \* 365 / წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან ან, 365 დღე / ბრუნვის რიცხვი;

დამაგრების კოეფიციენტი აჩვენებს, მიმდინარე აქტივებში მუდამ რამდენი ლარი იყო დაბანდებული ყოელი ერთი ლარის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ამ ფორმულებში, მიმდინარე აქტივებიდან უნდა გამოირიცხოს ფულადი თანხები, რადგან ფულს ბრუნვა უკვე დამთავრებული აქვს და თუკი ისიც გამოთვლებში გათვალისწინებული იქნება, ბრუნვადობის მაჩვენებელი ხელოვნურად შემცირდება.

✓ დამაგრების კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი / წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან.

ან

✓ დამაგრების კოეფიციენტი = (მასალის ნაშთი + დაუმთ. პროდ. ნაშთი + მზა პროდ. ნაშთი + დებიტ. დავ. ნაშთი) / წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან.

2016 წელი :  $25\ 609 / 22956344990 = 0,12$

2017 წელი:  $32\ 807 / 35900457741 = 0,91$

2018 წელი:  $55\ 753 / 59891283386 = 0,94$

აღნიშნული მაჩვენებელი 2016-2018 წლებში გაიზარდა, ანუ უფრო და უფრო მეტი ლარი იყო დაბანდებული მიმდინარე აქტივებში ყოელი ერთი ლარის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად რაც არასასურველი მოვლენაა კომპანია „ჯი არ სი“-სთვის და მის ეფექტიანობას ამცირებს.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვალობის კერძო მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

1. ნედლეულისა და მასალის ბრუნვის პერიოდი და მისი ბრუნვის რიცხვი;
2. დაუმთავრებელი წარმოების ბრუნვის პერიოდი და მისი ბრუნვის რიცხვი;
3. მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი და მისი ბრუნვის რიცხვი;
4. დებიტორული დავალიანებების ბრუნვის პერიოდი და მისი ბრუნვის რიცხვი;

ნედლეულისა და მასალის ბრუნვის პერიოდი აჩვენებს, მასალის მარაგში დაბანდებული ღირებულება, რამდენ დღეში გადავა დანახარჯებში. მატერიალურ დანახარჯებს გაყოფით მასალის საშუალო ნაშთზე, მიიღება მასალების მარაგში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი. გამოითვლება:

- ✓ **ნედლეულისა და მასალის ბრუნვის პერიოდი = მასალების საშუალო წლიური ნაშთი \* 365 / მატერიალური დანახარჯები.**

დაუმთავრებელი წარმოების ბრუნვის პერიოდი, აჩვენებს, რამდენი დღე ჭირდება დაუმთავრებელ პროდუქტს, მზა პროდუქტად გარდაქმნისათვის. მზა პროდუქციის თვითღირებულების გაყოფით დაუმთავრებელი პროდუქციის საშუალო წლიურ ნაშთზე, მიიღება მისი ბრუნვის რიცხვი ანუ წლის განმავლობაში რამდენჯერ გადადის დაუმთავრებელი პროდუქცია მზა პროდუქციის მარაგში. გამოითვლება:

- ✓ **დაუმთავრებელი წარმოების ბრუნვის პერიოდი = დაუმთ. წარმოების საშ. წლ. ნაშთი \* 365/ მზა პროდუქციის თვითღირებულება.**

მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი აჩვენებს, მზა პროდუქტის მარაგში ავანსირებული ღირებულება რამდენ დღეში გადაიქცევა ფულად. მზა პროდუქციის მიხედვითაც შეიძლება გამოითვალოს ბრუნვის რიცხვი, რომელიც რელიზებული

პროდუქციის თვითღირებულებისა და მზა პროდუქციის საშუალო ნაშთების ფარდობას წარმოადგენს. იგი აჩვენებს, წლის განმავლობაში რამდენჯერ გადაიქცევა მზა პროდუქტის მარაგში ავანსირებული ღირებულება ფულადი სახით.

✓ **მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი = მზა პროდუქციის საშუალო ნაშთი \* 365 / რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.**

დებიტორული დავალიანებების ბრუნვის პერიოდი აჩვენებს, რამდენი დღე ჭირდება საწარმოს დებიტორებისაგან კუთვნილი თანხების ამოსაღებად, მათი დავალიანებების წარმოშობის მომენტიდან. ამ მაჩვენებლის მიხედვითაც გამოითვლება დებიტორული დავალიანებების ინკასაციის (დაფარვის) რიცხვი: შემოსავალი (კრედიტით გაყიდვები) შეფარდებული დებიტორული დავალიანებების საშუალო ნაშთთან.

✓ **დებიტორული დავალიანებების ბრუნვის პერიოდი = დებიტ. დავ. საშ. ნაშთი \* 365 / შემოსავალი რეალიზაციიდან.**

კერძო მაჩვენებლების შესწავლა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები. ისინი განსაზღვრავენ ბრუნვადობის ზოგად მაჩვენებლებს.

საინტერესოა დამაგრების (დაყოვნების) კოეფიციენტის განხილვა. დამაგრების კოეფიციენტი გაშლილი სახით შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

✓ **დამაგრების კოეფიციენტი = (მასალის ნაშთი + დაუმთ. პროდ. ნაშთი + მზა პროდ. ნაშთი + დებიტ. დავ. ნაშთი) / წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან.**

იგი აჩვენებს, რამდენი ლარის მიმდინარე აქტივი იყო მუდმივად ბრუნვაში, ერთი ლარი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. კოეფიციენტის ზრდა უარყოფით მოვლენას წარმოადგენს, რადგან იზრდება ბრუნვაში უძრავად მყოფი სახსრების და მცირდება ბიზნესის აქტიურობა.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მიმდინარე აქტივების ბრუნვადობაზე მოქმედი ფაქტორებს:

1. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის კოეფიციენტები;
2. წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების ორგანიზაციული მართვა;
3. მასალისა და მზა პროდუქციის ხარისხიანობა;

#### 4. მზა პროდუქციის საბაზრო პოზიციები.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარების (ან შენელების) შედეგად გამოთავისუფლებული (ან დამატებით მოზიდული) სახსრების სიდიდე გამოითვლება ბრუნვადობის ხანგრძლიობის გადახრის გამრავლებით დღიურ ხარჯზე.

ორგანიზაციას ექმნება ფინანსური სირთულეები, თუ ფულადი საშუალებების წილი მიმდინარე აქტივებში შემცირებულია მაშინ, როცა მიმდინარე ვალდებულებები არის გაზრდილი. აღნიშნული პრობლემის გადაჭრას უზრუნველყოფს ფულადი საშუალებების ანალიზი, რომლიც განსაზღვრავს ფულის მისაღებ მოცულობას საწარმოსათვის, ფულადი საშუალებების გამომუშავების უნარს და ფულადი ნაკადების შემოდინებისა და გადინების შეფასება. არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მენეჯმენტის შესაძლებლობები უზრუნველყოს მათი გამოყენებიდან დადებითი ფულადი ნაკადების მიღება. ფულადი საშუალებების აუცილებელი მარაგის არარსებობა საწარმოს ხარჯების დაფარვის რისკის წინაშე აყენებს. ფულადი სახსრების ზედმეტობა კი მიანიშნებს მათი სარგებლით განთავსების ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობაზე.

ფულად საშუალებებს (სახსრებს) მიეკუთვნება ნაღდი ფული და ფულის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხები, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. ფულად თანხებს აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებს უწოდებენ, ვინაიდან მათი ლიკვიდურობა ძალიან მაღალია და გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება. ფულადი თანხების ეკვივალენტებია მაღალლიკვიდური ფინანსური ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები), რომელთა დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ისინი დაუბრკოლებლად შეიძლება გადაიცვალოს ნაღდ ფულზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულად ეკვივალენტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ოვერდრაფტის უფლება.

ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზის ძირითად მიზანს წარმოადგენს, როგორც უკმარისობის (სიჭარბის) მიზეზების, ისე მათი შემოდინების წყაროებისა და გამოყენების მიმართულებების დადგენა. ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზის ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

მისი დახმარებით კონტროლირდება საწარმოს მიმდინარე გადახდისუნარიანობა, ფულადი სახსრების მართვასთან დაკავშირებული ოპერატიული გადაწყვეტილების მიღება და იმის განმარტება, თუ რატომ არ ემთხვევა ერთმანეთს ფინანსური შედეგები და ფულადი სახსრების ცვლილებანი

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, საწარმომ ფულადი ნაკადები ანგარიშგებაში უნდა ასახოს საქმიანობის სფეროების მიხედვით. ფულადი ნაკადების ანგარიშგება სამი ნაწილისაგან შედგება: საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობა.

## II თავი - კომპანიის განვითარების სტრატეგიის ანალიზი

### 1. შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტის ანალიზი

ცნება ბიუჯეტი ძველი ნორმანდიულიდან მომდინარეობს, „ბუდგეტ“ საფულეს ნიშნავს. იგი განსაზღვრული პირის, ოჯახის, ბიზნესის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს შემოსავლებისა და გასავლების ჩამონათვალია, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დროის პერიოდით, ჩვეულებრივ ერთი წლით. ბიუჯეტი ეს არის უმნიშვნელოვანესი, როგორც მიკროეკონომიკაში, ასევე მაკროეკონომიკაში. ბიუჯეტის შესწავლით დაკავებულია ეკონომიკური მეცნიერება, კერძოდ, ფინანსები. ბიუჯეტი ფინანსების სფეროს უმნიშვნელოვანესი ცნებაა. ფინანსები დაიყვანება ბიუჯეტის დაგეგმვაზე. ბიუჯეტის დაგეგმვის გავრცელებული მეთოდი ითვალისწინებს: საბიუჯეტო პერიოდის ყველა საგულისხმო შემოსავლების შეტანას შემოსავლით ნაწილში და შემდეგ ვადგენთ ბიუჯეტის გასავლის ნაწილს.

ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილში მთავარია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს შემოსავლის არც ერთი, შესაძლო წყარო. მთავარი პრინციპია, კაპიტალმა შექმნას კაპიტალი. თუ არსებობს წარმოების თავისუფალი საშუალებები, ეს რესურსი უნდა მუშაობდეს. თუ არსებობს უმოქმედო საკუთრება, ის უნდა გაიცეს იჯარით ან არენდით. თუ რომელიმე თავისუფალ რესურსს არ შეუძლია შემოსავლის მოტანა და არ წარმოადგენს მომგებიან დაბანდებას, მაშინ იგი უნდა გაიყიდოს, ფული კი უნდა გაეშვას

ინვესტიციებში. არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად, შემოსავლით ნაწილში არ შეიტანება ის "მოსალოდნელი" შემოსავლები რომელთა მიღების ალბათობა 90%-ზე ნაკლებია. თუ დაუგეგმავი შემოსავალი მაინც გამოჩნდება, მაშინ უნდა დაიგეგმოს მისი ოპერატიული "უტილიზაცია".

ბასს 18 თანახმად, შემოსავალი არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის ზრდას, მაგრამ არ მოითხოვს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებს. შემოსავლების ორ სახეს გამოყოფენ: ამონაგები და შემოსულობა. ამონაგები წარმოიქმნება საოპერაციო და არასაოპერაციო საქმიანობის შედეგად და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსულობა ფინანსურ ანგარიშგებაში ფასდება მათ მისაღებად გაწეული დანახარჯების გამოკლებით, ანუ ნეტო თანხით. ამონაგებს მიეკუთვნება: საქონლის რელიზაციიდან, მომსახურების გაწევიდან, მისაღები დივიდენდები, მისაღები პროცენტები, მისაღები საიჯარო ქირა, როიალტი. ხოლო, შემოსულობას, ყველა დანარჩენი შემოსავალი.

ბიუჯეტის დაგეგმვისას გვიწევს უფრო რთული ფინანსური გადაწყვეტების დაგეგმვა, ეს განასაკუთრებით ეხება ბიუჯეტის გასავლის ნაწილს. სტანდარტის თანახმად, ხარჯები არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების შემცირების ან ვალდებულებების ზრდის გზით, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის შემცირებას, მაგრამ არ მოითხოვს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებს.

მომგებიანი ბიზნესი არის მისი მფლობელების, მასში დასაქმებული პერსონალის, მომხმარებლების და თვით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური ძლიერების წყარო. ვინაიდან, რესურსები ბუნებაში ამოწურვადია და მათი რაციონალური გამოყენება მთელი საზოგადოების ინტერესებშიც შედის. ნებისმიერი კომპანიის ხალმძღვანელობა დაინტერესებულია, მის ხელთ არსებული რესურსები მაღალ დონეზე მართოს და აკონტროლოს. ამ მიზნით, მმართველები მუდამ უნდა ფლობდნენ ინფორმაციას დანახარჯების შესახებ, რომელსაც მმართველობითი აღრიცხვა ამზადებს. დანახარჯების

აღრიცხვის მოწესრიგებისა, დაგეგმვისა და მართვისათვის, ხდება დანახარჯების კლასიფიკაცია. დანახარჯების კლასიფიკაცია ნიშნავს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ერთგვაროვანი ხარჯების ლოგიკურ დაჯგუფებას.

თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებულია დანახარჯთა კლასიფიკაცია შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. ხარჯვის მიმართულების მიხედვით;
2. საქმიანობის სფეროების მიხედვით;
3. ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;
4. ეკონომიკური ელემენტების მიხედვით;
5. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით;
6. პროდუქციის თვითღირებულებისადმი დამოკიდებულების მიხედვით;
7. ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულებაზე მიკუთვნების წესის

მიხედვით;

8. პროდუქციის მოცულობაზე დამოკიდებულების მიხედვით;
9. გადაწყვეტილებების მიღებაზე დამოკიდებულების მიხედვით;
10. საქმიანობის შეცვლაზე დამოკიდებულების მიხედვით;
11. პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით;
12. პერიოდულობის მიხედვით.

ხარჯვის მიმართულების მიხედვით, საწარმოს გააჩნია შემავალი და გამავალი ხარჯები. შემავალი ხარჯები ის დანახარჯებია, რომლებიც რესურსების მომარაგება-შესყიდვაზე იქნა გაწეული. გამავალი ხარჯები ის დანახარჯებია, რომლებიც პროდუქციის დამზადებაზე დაიხარჯა, მზა პროდუქციაში “განივთდა” და მეორედ წარმოებაში ვეღარ შევა. მათ ამოწურულ ხარჯებსაც უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ფულად შემოსავლებში, გამოყენებული რესურსების ღირებულების წილიც არის და მეწარმეს უკან კვლავ ფულის სახით უბრუნდება.

საქმიანობის სფეროს მიხედვით, ხარჯები ჯგუფდება საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებად. საოპერაციო დანახარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც



საწარმოთა ძირითადი ანუ მაპროფილებელი საქმიანობის განხორციელებაზე იხარჯება. არასაოპერაციო ხარჯები ისეთი დანახარჯებია, რომლებიც მოცემული საწარმოსათვის დამხმარე ხასიათის საქმიანობაზე გაიწევა.

საოპერაციო ხარჯებში შედის:

1. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (სამრეწველო საწარმოებში);
2. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (სავაჭრო საწარმოებში);
3. მიწოდების ანუ კომერციული ხარჯები;
4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

არასაოპერაციო ხარჯებში შედის:

1. ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან;
2. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისები და ზენორმატიული დანაკარგები;
3. საპროცენტო ხარჯები და ა.შ.

სტანდარტი ასევე ითხოვს ხარჯების კლასიფიკაციას ეკონომიკური შინაარსისა და ფუნქციური ნიშნის მიხედვით. ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაცია იძლევა პასუხს შეკითხვაზე: „რა დაიხარჯა და რამდენი“? ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაცია იძლევა პასუხს შეკითხვაზე „სად რა დაიხარჯა და რამდენი?“

საოპერაციო ხარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ძირითად და ზედნადებ ხარჯებად იყოფა. ძირითადია ისეთი ხარჯები, რომლებიც პროდუქციის დამზადების ან მომსახურების გაწევის პროცესში უშუალოდ მონაწილეობენ. ძირითადი ხარჯები ყოველთვის რომელიმე ერთი კონკრეტული სახის პროდუქციასთანაა მიბმული. მათ მიეკუთვნება იმ ნედლეულისა და მასალის ხარჯი, რომელიც უშუალოდ პროდუქციის დამზადებაზე იხარჯება. ასევე, იმ მუშების ხელფასის ხარჯი, რომლებიც პროდუქციის დამზადებაზე მუშაობენ.

ზედნადები ხარჯები წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯებია. ისინი ორ ჯგუფად იყოფიან:

1. საწარმოო ზედნადები ხარჯები
2. არასაწარმოო ზედნადები ხარჯები

საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებიც უშუალოდ პროდუქციის დამზადების პროცესის მომსახურებასა და მართვაზე იხარჯება. ასეთია: ძირითადი მანქანა-დანადგარების ცვეთისა და მოვლის ხარჯები, ძირითადი განყოფილებების მმართველი პერსონალის ხელფასი, საწარმოო დანიშნულების შენობის ცვეთისა და ექსპლოატაციის ხარჯები.

არასაწარმოო ზედნადები ხარჯები საწარმოს საერთო მმართველობითი ხარჯებია, როგორცაა მარკეტინგის და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები.

წარმოების დანახარჯები მრავალი სახისა და დანიშნულების ხარჯებისაგან შედგება. ეკონომიკური ელემენტების მიხედვით გამოიყოფა ერთგვაროვანი სახის ხარჯები: მასალის ხარჯი, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებელი ნაწარმის ხარჯი, შრომითი ხარჯები, ცვეთის ხარჯი დანარჩენი ფულადი ხარჯები.

დანახარჯთა ეკონომიკური ელემენტი პასუხობს კითხვაზე, თუ საწარმოში მოცემული სახის ხარჯი სულ რა რაოდენობითაა დახარჯეული.

კომპანია „ჯი არ სი“-ს საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები 2013-2018 წელის მდგომარეობით(ლარში) ცხრილი N3.1:

პერიოდი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
საოპერაციო ხარჯები	22 645 477,30	27 956 899,82	34 557 613,96	39 435 616,27	69 142 526,93	121 576649,58
არასაოპერაციო ხარჯები	545 543,65	2 881 104,30	4 182 483,63	4 410 048,81	4 493 765,57	6 022 028,33

ცხრილიდან N3.1 ჩანს, რომ 2013-2018 წლებში როგორც საოპერაციო, ისე, არასაოპერაციო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გამოწვეულია კომპანიის საქმიანობის ზრდით.

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით დანახარჯების კლასიფიცირება პასუხობს კითხვაზე: რა მიზნითაა გაწეული ხარჯი. ამ ნიშნით, გამოიყოფა შემდეგი ფუნქციური მუხლები: საწარმოო, მარკეტინგის, ადმინისტრაციული.

ხარჯების კლასიფიცირება შეიძლება მოხდეს საანგარიშგებო პერიოდთან დამოკიდებულების მიხედვით:

1. მიმდინარე პერიოდის ხარჯები-პირდაპირი მასალის ხარჯი, პირდაპირი ხელფასის ხარჯი, ზედნადები დანახარჯები და სხვა;

2. წინასწარ გაწეული ხარჯები-წინასწარ გადახდილი იჯარა, დაზღვევა და სხვა;

3. მოსალოდნელი ხარჯები-ანარიცხები საგარანტიო მომსახურებაზე და სხვა.

პროდუქციის (ან მომსახურების) თვითღირებულებაზე მიკუთვნების წესის მიხედვით გამოიყოფა პირდაპირი და არაპირდაპირი (ანუ ირიბი) ხარჯები. პირდაპირია ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწევის მომენტიდანვე ცნობილია რომელი სახის პროდუქციის თვითღირებულებას მიეკუთვნოს. პირდაპირი დანახარჯები უშუალოდ დაკავშირებულია კონკრეტულ დანახარჯთა ერთეულთან ან დანახარჯთა ცენტრთან. პირდაპირი დანახარჯებია:

1. ძირითადი მასალის ხარჯი

2. ძირითადი შრომითი ხარჯი

არაპირდაპირია (ანუ ირიბია) ისეთი დანახარჯები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე სახის პროდუქციაზე იხარჯება, ამიტომ გაწევის მომენტში ცნობილი არაა რომელი სახის პროდუქციის თვითღირებულებას მიეკუთვნოს და მხოლოდ განაწილების გზით (ანუ არაპირდაპირი გზით) შეიტანება პროდუქციის თვითღირებულებაში.

მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება = პირდაპირი მასალის ხარჯი + პირდაპირი შრომითი ხარჯი + საწარმოო ზედნადები დანახარჯები (ცვალდი და მუდმივი ნორმატივის ფარგლებში) ± დაუმთავრებელი წარმოების ნაშთების ცვლილება

ეს მაჩვენებელი არის მზა პროდუქციის ერთეულის საწარმოო თვითღირებულების გაანგარიშების საფუძველი (თვითღირებულების კალკულაცია)

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება = მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება ± მზა პროდუქციის ნაშთების ცვლილება

კომერციული და ადმინისტრაციული ხარჯები კი პერიოდის ხარჯებად იწოდება და მათი ჩამოწერა ხდება მოგება/ზარალის ანგარიშზე. გარდა ამ ხარჯებისა, მოგება/ზარალის ანგარიშზე ჩამოიწერება მუდმივი საწარმოო ზედნადები

დანახარჯების ფაქტიურ და ნორმატიულ სიდიდეებს შორის სხვაობა. შესაბამისად ეს დანახარჯები რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება.

წარმოების მოცულობის ცვლილებაზე დამოკიდებულების მიხედვით არსებობს შემდეგი სახის ხარჯები:

1. ცვლადი ხარჯები
2. მუდმივი ხარჯები
3. ნახევრადცვლადი ხარჯები
4. საფეხურებრივად ცვლადი დანახარჯები

ცვლადია დანახარჯები, რომელთა საერთო სიდიდე, წარმოების ცვლილების პირდაპირ პროპორციულად იცვლება. ესენია:

1. პირდაპირი (ძირითადი) მასალის ხარჯი
2. პირდაპირი (ძირითადი) შრომითი ხარჯი

მუდმივია ისეთი დანახარჯები, რომელთა საერთო სიდიდე არ იცვლება პროდუქციის წარმოების ზრდის პროპორციულად. ნახევრადცვლადი დანახარჯები ისეთ ხარჯებს ეწოდება, რომელიც მუდმივ და ცვლად ხარჯებს შეიცავენ. ხოლო, საფეხურებრივად ცვლადი დანახარჯები ეწოდება ისეთ ხარჯებს, რომლებიც მუდმივი რჩებიან წარმოების ერთ დიაპაზონში, შემდეგ ნახტომისებურად იცვლება და მუდმივია წარმოების ახალ დიაპაზონში.

გადაწყვეტილებების მიღებაზე დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ რელევანტურ და არარელევანტურ ხარჯებს. რელევანტურია დანახარჯი, რომელიც იცვლება გადაწყვეტილების მიღების შედეგად, არარელევანტურია ხარჯი, რომელიც არ იცვლება გადაწყვეტილების მიღების შედეგად.

საქმიანობის შეცვლაზე დამოკიდებულების მიხედვით ხარჯები აგრეთვე აღმოფხვრად და არააღმოფხვრად ხარჯებად იყოფა. აღმოფხვრადია ხარჯი რომელიც გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღარ იარსებებს. არააღმოფხვრადია ხარჯი, რომელიც გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად მაინც იარსებებს, ამიტომ გადაწყვეტილების მიღების დროს იგი არა არსებითია.

პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით დანახარჯები-რეგულირებად და არარეგულირებად დანახარჯებად იყოფა. რეგულირებადია დანახარჯი, რომელიც კონტროლდება მოცემული განყოფილების მენეჯერის მიერ მოცემულ დროში. არარეგულირებადია დანახარჯი, რომელიც არ წარმოადგენს მოცემული განყოფილების კონტროლის სფეროს და ამიტომ არ რეგულირდება მის მიერ.

საქმიანობის სფეროს მიხედვით, შემოსავლებიც ჯგუფდება საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად. საოპერაციო შემოსავლები, ისეთი შემოსავლებია, რომლებიც საწარმოთა ძირითადი ანუ მაპროფილებელი საქმიანობიდან მიიღება. არასაოპერაციო შემოსავლები, ისეთი შემოსავლებია, რომლებიც მოცემული საწარმოსათვის დამხმარე ხასიათის საქმიანობიდან მიიღება.

კომპანიის საოპერაციო შემოსავალი 2013-2018 წლის მდგომარეობით (ათასი ლარში) ცხრილი N3.2:

პერიოდი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
6110 შემოსავალი რეალიზიციიდან	118221758,85	153472176,04	197828572,95	229563449,90	359004577,41	598912833,86
6120 გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	245139,76	238460,65	554 930,72	637 529,41	1751962,28	3972800,37


კომპანიის საოპერაციო შემოსავალი 2013-2018 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც განაპირობა კომპანიის გაყიდვების ზრდამ და შესაბამისად, გაიზარდა შემოსავალი რეალიზაციიდან.

ზემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ავაგოთ შემაჯამებელი კომპანიის 2013-2018 წლის შემოსავალი-ხარჯები(ათასი ლარში) ცხრილი N3.3:

პერიოდი	2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
საოპერაციო შემოსავალი	118466898,1	153710636,9	198383503,7	230200979,31	360756539,69	602885634,23

არასაოპერაციო შემოსავლები	732 531,80	871 184,18	5 190 057,41	5 605 483,86	4 215 639,23	4 311 814,01
საოპერაციო ხარჯები	22645348,50	27956899,82	34557613,96	39 434868,98	69 143763,52	121577177,49
არასაოპერაციო ხარჯები	545543,65	2885798,97	4177788,95	4410048,81	4493765,57	6022028,33

ასევე, შეგვიძლია თვალსაჩინოებისთვის, შევხედოთ წლების მიხედვით შემოსავლები-ხარჯების დინამიკას 2013-2018 წლის მდგომარეობით გრაფიკი N1:



როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2013-2018 წლებში კომპანია „ჯი არ სის“ შემოსავალს და ხარჯებზე იზრდება, არასაოპერაციო შემოსავლები და არასაოპერაციო ხარჯები თითქმის ერთ დონეზე მოძრაობს და ერთმანეთს აბათილებს, ხოლო საოპერაციო შემოსავლები საკმაოდ სწრაფად იზრდება, მართალია, მის პარალელურად იზრდება საოპერაციო ხარჯების მოცულობაც, თუმცა საოპერაციო შემოსავლების ზრდა ბევრად აჭარბებს და საბოლოო ჯამში საკმაოდ შთამბეჭდავ სურათს ვიღებთ.

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2016-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათასი ლარი) და დინამიკა %\_ად 2016 წელთან შედარებით ცხრილი N3.4:

პერიოდი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2017 წლის ცვლილება(%)	2018 წლის ცვლილება(%)
შემოსავალი	48 781	80 232	130 865	$((80,232/48,781)*100)-100=64,47$	$((130,865/48,781)*100)-100=168,27$
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	-34843	-63977	-112720	83,62	223,51
საერთო მოგება	13 938	16 255	18 145	16,62	30,18
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-5 164	-4 591	-7 477	-11,10	44,79
საოპერაციო ხარჯები	1	-189	-368	-189	-368
საოპერაციო მოგება	8 774	11 475	10 300	30,78	17,39
ფინანსური ხარჯები	-403	-347	-1 120	-13,90	177,92
(ზარალი)/მოგება საკუროსო სხვაობიდან	1 021	-268	-1 503	-126,25	-247,21
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	540	235	758	-56,48	40,37
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე	9 932	11 095	8 435	11,71	-15,07
მოგების გადასახადი	-	-	-		
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	9 932	11 095	8 435	11,71	-15,07

მოგებ/ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე დგება მოგების მაჩვენებლების დინამიკის ცხრილი და მოგების მაჩვენებლების დინამიკის ურთიერთშედარებითი დახასიათება. რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპი არ უნდა აღემატებოდეს საოპერაციო მოგების ზრდის ტემპს, რადგან, ადგილი ექნება არასაწარმოო (მარკეტინგისა და ადმინისტრაციული) ხარჯების გამოყენების არაეფექტიანობას. 2017 წელს აღნიშნულმა მოგების ზრდის ტემპმა 16,62% დააფიქსირა, რაც დაბალია ამავე წლის საოპერაციო მოგებაზე, 30,78%-ზე. მაგრამ, 2018 წელს მდგომარეობა შეიცვალა, საერთო მოგების ზრდის ტემპი 30,18%-ია, რაც აღემატება საოპერაციო მოგების ზრდის ტემპს 17,39%-ს და ადგილი აქვს არასაწარმოო ხარჯების

გამოყენების არაეფექტიანობას. ვინაიდან, დასაბეგრი მოგების ზრდის ტემპი 2017-2018 წლებში 11,71% და -15,07%, არ არის მეტი რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპზე, 16,62% და 30,18%, საწარმოში არ გაზრდილა სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და არ მიღწეულა ეკონომია პერიოდის ხარჯებში.

წმინდა მოგების ზრდის ტემპმა 2017-2018 წელს შეადგინა 11,71% და -15,07%, რომელიც თუ არ აღემატება გაუნაწილებელი მოგების ზრდის ტემპებს, 37,78% და 58,54%, ეს ნიშნავს, რომ წმინდა მოგების დიდი ნაწილი დივიდენდების გასაცემად და რეზერვების შესაქმნელად არ იქნა გამოყენებული.

ფუნქციურ ქვედანაყოფებს შორის რესურსების გადანაწილებისთვის აუცილებელია ორგანიზაციის ბიუჯეტის გულდასმით შედგენა, რადგან რესურსების უკმარისობა ართულებს და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის კომპანიის სტრატეგიის რეალიზებას. ბიუჯეტი წარმოადგენს რაოდენობრივად აღწერილი რესურსების განაწილების მეთოდს, ასევე, რაოდენობრივად ჩამოყალიბებული მიზნების შესრულებისთვის. კომპანიის რესურსების ოპტიმალური განაწილება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია და მას დიდი ყურადღება ეთმობა ნებისმიერ ორგანიზაციაში. მისი შედგენის დროს გათვალისწინება ორგანიზაციის სხვადასხვა განყოფილების ინტერესები, რომელთაც თავიანთი წილი პასუხისმგებლობა და ამოცანები ეკისრებათ სტრატეგიის რეალიზების საქმეში. კონკურენტული უპირატესობების და კომპეტენციების შექმნა და შენარჩუნება აგრეთვე საჭიროებს დაფინანსებას.

მენეჯერებმა, რომლებიც პასუხს აგებენ ბიუჯეტის შედგენაზე, უნდა შეისწავლონ განყოფილებების მოთხოვნილებები შრომით რესურსებთან, ფინანსებთან, დანადგარებთან და სხვა იმ კომპონენტებთან დაკავშირებით, რაც მათ სტრატეგიის რეალიზებისთვის დასჭირდებათ. რაც შეეხება სტრატეგიის რეალიზებაზე პასუხისმგებელ მენეჯერებს, მათ წერილობითი სახით უნდა ჩამოაყალიბონ ბიუჯეტის მიმართ ახალი სტრატეგიის რეალიზების საჭიროებიდან გამომდინარე მოთხოვნები, რადგან ახალი სტრატეგიები, როგორც წესი, ბიუჯეტის გადახედვას მოითხოვს. ამ დროს აუცილებელია საჭირო სახსრების რაც შეიძლება მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრა,



რადგან არასაკმარისი დაფინანსება აფერხებს სტრატეგიის რეალიზებას, ჭარბი დანახარჯები კი ამცირებს სტრატეგიის ფინანსურ ეფექტიანობას. თანდათანობით სრულყოფის და განახლებადი სტრატეგიები თითქმის ყოველთვის მოითხოვს ბიუჯეტის გადანაწილებას, რადგან იმ ქვედანაყოფების როლი, რომლებიც ადრინდელი სტრატეგიის განხორციელების დროს საკვანძო როლს ასრულებდნენ, ახალ პირობებში შეიძლება შემცირდეს ან სულაც დაკარგონ მნიშვნელობა, სხვა ქვედანაყოფების როლი კი პირიქით, გაიზარდოს. ეს განაპირობებს დაფინანსების შემცირებას ერთი და გაზრდას სხვა მიმართულებით. რაც შეეხება ინოვაციურ სტრატეგიებს, მათთვის დგება სრულიად ახალი ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კარდინალური ორგანიზაციული ცვლილებები.

ახალ და ძველ სტრატეგიებს შორის განსხვავებების ზრდის შესაბამისი უნდა იყოს საბიუჯეტო სახსრების გადანაწილების ცვლილება, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს გარდაქმნების სერიოზულობაზე და ხშირად დამატებით იმპულსს აძლევს სტრატეგიის რეალიზების პროცესს. კომპანიებს მიზნობრივი ბაზრის ან სასაქონლო რიგის შეცვლის ყოველი შემთხვევის დროს ესაჭიროებათ რესურსების გადანაწილება, ამიტომ ხშირად ხდება ისე, რომ ტრადიციული საბიუჯეტო პრაქტიკა, რაც წელიწადში მის ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ შედგენას გულისხმობს, იცვლება და ორგანიზაციის მთავარი საფინანსო დოკუმენტის გადახედვა უფრო ხშირად ხორციელდება. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ კომპანიის არსებული სტრატეგიის კორექტირება იშვიათად საჭიროებს ქვედანაყოფებს შორის პერსონალის და რესურსების მნიშვნელოვან გადანაწილებას. იმ სტრუქტურული ერთეულების დაფინანსების გაუმჯობესება, რომლებიც ახალ ინიციატივებს ახორციელებენ, შესაძლებელია სხვა განყოფილებების დაფინანსების მცირედი შემცირების ხარჯზე, რაც არ გამოიწვევს მნიშვნელოვან კონფლიქტებს. თუმცა სტრატეგიული მიზნების მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს შესაძლებელია შედგეს ოპერატიული ბიუჯეტი, რის ხარჯზეც კომპანია ახალ სპეციალისტებს მოიწვევს და დამატებითი რესურსების მობილიზებას მოახდენს.

კომპანიის მოგება წარმოადგენს სხვაობას მის მთლიან შემოსავლასა და მთლიან ხარჯს შორის. საწარმო რაც მეტ მომგებიან პროდუქტს ყიდის, მით მეტი მოგებას

ღებულობს და მით უკეთესია მისი ფინანსური მდგომარეობა. მოგების მიღების მიზნით მეწარმე ცდილობს რაციონალურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული მატერიალური, ფინანსური, შრომითი რესურსები. წარმოება უნდა ფარავდეს ხარჯებს და დამატებით იღებდეს მოგებას. წარმოების ეფექტიანობა არ უარყოფს ხარჯების გაწევას. ხარჯის გაწევა აუცილებელია, იმასათვის, რომ მომავალში მიღოს ეკონომიკური წარმატებები. მაშასადამე, წარმოების ეფექტიანობის მიღწევა გულისხმობს არა იმას, რომ ადგილი არ ჰქონდეს დანახარჯებს, არამედ შემოსავლები აღემატებოდეს ხარჯებს. მოგებისა და მომგებიანობის ანალიზის მიზანია საწარმოს მომგებიანობის დონის შეფასება და მისი შემდგომი ამაღლების რეზერვების გამოვლენა.

ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანებია:

1. მოგების პროგნოზირების სრულყოფა;
2. დანახარჯების შემცირების გზების დადგენა;
3. შემოსავლების ზრდის გზების გამოვლენა;
4. მოგებისა და მომგებიანობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;
5. მომგებიანობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებების შემუშავება.

საწარმოს ფინანსური შედეგების მაჩვენებლები ორ ჯგუფად: აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებად იყოფა. აბსოლუტური მაჩვენებლები საწარმოს საბოლოო ფინანსური შედეგის საერთო მოცულობას გამოხატავენ, როგორცაა: მოგება ან ზარალი. მოგება არის სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. მოგება არის ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი. გამოიყოფა მოგების შემდეგი მაჩვენებლები:

1. მოგება რეალიზაციიდან;
2. საოპერაციო მოგება;
3. მოგება დაბეგვრამდე (წლიური მოგება);
4. წმინდა მოგება;
5. განაწილებული და რეინვესტირებული მოგება

მოგება არის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი, იგი წინა წლებთან შედარების დროს, ეფექტიანობის რეალურ ზრდას ვერ ახასიათებს. ამიტომ, გამოიყენება ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებელი

მომგებიანობა ანუ რენტაბელობა. იგი ახასიათებს მომგებიანობის დონეს პროცენტულად და ხარისხობრივი მაჩვენებელია. მოგებისა და მომგებიანობის შედარებითი დახასიათების დროს, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ მომგებიანობა არის ფაქტორი და მოგება შედეგი.

მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;
2. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები;
3. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები.

მოგებ/ზარალის ანგარიშების ინფორმაციის საფუძველზე დგება მოგების მაჩვენებლების დინამიკის ცხრილი და მოგების მაჩვენებლების დინამიკის ურთიერთშედარებითი დახასიათება. რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპი არ უნდა აღემატებოდეს საოპერაციო მოგების ზრდის ტემპს, რადგან, ადგილი ექნება არასაწარმოო (მარკეტინგისა და ადმინისტრაციული) ხარჯების გამოყენების არაეფექტიანობას. იმ შემთხვევაში, თუ დასაბეგრი მოგების ზრდის ტემპი მეტია რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპზე, საწარმოში გაიზარდა სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და მიღწეულია ეკონომია პერიოდის ხარჯებში. წმინდა მოგების ზრდის ტემპი თუ აღემატება გაუნაწილებელი მოგების ზრდის ტემპებს, ეს ნიშნავს, რომ წმინდა მოდების დიდი ნაწილი დივიდენდების გასაცემად და რეზერვების შესაქმნელად იქნა გამოყენებული. გაუნაწილებელი მოგების ზრდის მაღალი ტემპები იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმოში არსებობს დივიდენდების გაცემის, წარმოების გაფართოების, მუშახელის დამატებითი დასაქმებისა და არსებული მუშახელის მატერიალური წახალისების ზრდის რეზერვები.

ანალიზის შემდეგ საფეხურზე ხდება წმინდა მოგების ელემენტების: შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურული შესწავლა. შემოსავლების ზრდა იმავე თანხით ზრდის მოსალოდნელ მოგებას. ხოლო, ხარჯების ზრდა, იმავე თანხით ამცირებს მას. შეგვიძლია გავანალიზოთ დანახარჯები მოგების ერთ ლარზე, რის შედეგადაც გამოვავლენთ რომელი სახის რესურსის გამოყენება ზრდის ან ამცირებს

მოგებას წინა წელთან ან გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით. ამ კოეფიციენტს შეიძლება მოგების ხარჯტევადობა ვუწოდოთ.

მოგების ხარჯტევადობა = წლიური ხარჯები / მოგება დაბეგვრამდე =

(მატერიალური ხარჯი + შრომითი ხარჯი + ცვეთის ხარჯი) / მოგება დაბეგვრამდე

2016-2018 წლის მოგების ხარჯტევადობა (ათასი ლარი) ცხრილი 3.5:

პერიოდი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
საოპერაციო ხარჯები	39 430	69 140	121 580
არასაოპერაციო ხარჯები	4 410	4 494	6 022
სულ ხარჯები	43 840	73 640	127 600
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	9 932	11 095	8 435
მოგების ხარჯტევადობა = წლიური ხარჯები / მოგება დაბეგვრამდე	4,415	6,637	15,127

ცხრილი N3.5 მომზადებულია კომპანიის დანახარჯების ინფორმაციის საფუძველზე.

კოეფიციენტი აჩვენებს, საშუალოდ, რამდენი ლარის ხარჯი იყო გაწეული ყოველი ერთი ლარი წლიური მოგების მისაღებად. წილადის მრიცხველი შეიძლება დანაწევრებულ იქნეს ხარჯების ნებისმიერი დეტალიზაციით და გაკეთდეს დასკვნები, კონკრეტულად რომელი სახის დანახარჯების უკეთ გამოყენებაა საჭირო მოგების შემდგომი ზრდისთვის, რაც მოსახერხებელს ხდის მოგების ამალგების კონკრეტული ღონისძიებები შემუშავდეს. 2016-2018 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 15127 ლარამდე, რაც არცთუ ისე კარგია კომპანიისთვის და აუცილებელია დანახარჯების უკეთ გამოყენება საჭირო მოგების შემდგომი ზრდისთვის.

## 2. ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი

ორგანიზაციას ექმნება ფინანსური სირთულეები, თუ ფულადი საშუალებების წილი მიმდინარე აქტივებში შემცირებულია მაშინ, როცა მიმდინარე ვალდებულებები

არის გაზრდილი. აღნიშნული პრობლემის გადაჭრას უზრუნველყოფს ფულადი საშუალებების ანალიზი, რომლიც განსაზღვრავს ფულის მისაღებ მოცულობას საწარმოსათვის, ფულადი საშუალებების გამომუშავების უნარს და ფულადი ნაკადების შემოდინებისა და გადინების შეფასება. არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მენეჯმენტის შესაძლებლობები უზრუნველყოს მათი გამოყენებიდან დადებითი ფულადი ნაკადების მიღება. ფულადი საშუალებების აუცილებელი მარაგის არარსებობა საწარმოს ხარჯების დაფარვის რისკის წინაშე აყენებს. ფულადი სახსრების ზედმეტობა კი მიანიშნებს მათი სარგებლით განთავსების ხელიდან გაშვებულ შესაძლებელობაზე.

ფულად საშუალებებს (სახსრებს) მიეკუთვნება ნაღდი ფული და ფულის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხები, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. ფულად თანხებს აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებს უწოდებენ, ვინაიდან მათი ლიკვიდურობა ძალიან მაღალია და გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება. ფულადი თანხების ეკვივალენტებია მაღალლიკვიდური ფინანსური ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები), რომელთა დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ისინი დაუბრკოლებლად შეიძლება გადაიცვალოს ნაღდ ფულზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულად ეკვივალენტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ოვერდრაფტის უფლება.

ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზის ძირითად მიზანს წარმოადგენს, როგორც უკმარისობის (სიჭარბის) მიზეზების, ისე მათი შემოდინების წყაროებისა და გამოყენების მიმართულებების დადგენა. ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზის ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ. მისი დახმარებით კონტროლირდება საწარმოს მიმდინარე გადახდისუნარიანობა, ფულადი სახსრების მართვასთან დაკავშირებული ოპერატიული გადაწყვეტილების მიღება და იმის განმარტება, თუ რატომ არ ემთხვევა ერთმანეთს ფინანსური შედეგები და ფულადი სახსრების ცვლილებანი

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, საწარმომ ფულადი ნაკადები ანგარიშგებაში უნდა ასახოს საქმიანობის სფეროების მიხედვით. ფულადი

ნაკადების ანგარიშგება სამი ნაწილისაგან შედგება: საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობა.

პირველ ნაწილში, ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, მოცემულია საწარმოს ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. მას მიეკუთვნება მყიდველებიდან მიღებული თანხები, მომწოდებლებზე, საწარმოს პერსონალზე და პარტნიორებზე გაცემული თანხები, სამეწარმეო ან სავაჭრო მიზნით დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით მიღებული და გაცემული ფულადი თანხები, გადახდილი პროცენტები, მოგების გადასახადი და დივიდენდი, რადგან ითვლება, რომ საწარმოს ნორმალური ფინანსური მდგომარეობის დროს, ეს ხარჯები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხებით უნდა იფარებოდეს. ხოლო, ფულადი ხარჯები, რომელიც არასაწარმოო მიზნით დაიხარჯა, როგორცაა: რეკლამის, კომუნიკაციის, საკანცელარიო, ქირის, დაზღვევის, საბანკო მომსახურების, საკონსულტაციო, საგარანტიო მომსახურების, საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები, მივლინების და სხვა მსგავსი ფულადი ხარჯები მიეთითება, როგორც „გაწეული არასაწარმოო ფულადი ხარჯები“. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან, აქედან ჩანს, საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან შემოვიდა თუ არა საკმარისი ფულადი სახსრები სესხებისა და სხვა ვალდებულებების დასაფარავად, საწარმოს სიმძლავრეების ასათვისებლად, დივიდენდების გასაცემად და ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად, გარედან მოზიდული ფულადი სახსრების გარეშე.

მეორე ნაწილში, ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან, ნაჩვენებია გრძელვადიანი აქტივების შექმნასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გაცემული და მიღებული ფულადი თანხები. იგი გვიჩვენებს თუ რა ფულადი დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისთვის, რომლებმაც უნდა შექმნან სამომავლო შემოსავლები და ფულადი ნაკადები. მას მიეკუთვნება: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შექმნაზე გადახდილი ფულადი თანხები; სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები და საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებები; წილი სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალში ან

სასესხო ინსტრუმენტების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები, თუ ისინი არ ითვლება ფულად ეკვივალენტებად ან არაა შეძენილი სამეწარმეო მიზნით; სხვა პირებზე ავანსად ან სესხად გაცემული ფულადი სახსრები (გარდა საკრედიტოსაფინანსო დაწესებულებებისა) და მათ დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები; ფიუჩერსული, ფორვარდული, საოპციო და სვოპ კონტრაქტებით გადახდილი ან მიღებული ფულადი სახსრები გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონტრაქტები შეეხება სამეწარმეო, სავაჭრო ან საფინანსო საქმიანობას.

მესამე ნაწილში, საფინანსო საქმიანობა ისეთი სფეროა, გვიჩვენებს რაოდენობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს საწარმოს საკუთარ კაპიტალსა და ნასესხებ საშუალებებში. ამ ხასიათის ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა სასარგებლოა იმ მიზნით, რომ შეფასდეს კაპიტალის მომწოდებლების მოსალოდნელი პრეტენზიები სამომავლო ფულადი სახსრების მიმართ.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით. აღრიცხვის სტანდარტებით საბაზისო მეთოდია – პირდაპირი მეთოდი, რადგან მას ძირითადი ანალიზური მნიშვნელობა აქვს.

პირდაპირი მეთოდი ეფუძნება კომპანიის ანგარიშებზე თანხების მოძრაობის ანალიზს. იგი გვიჩვენებს:

1. ფულადი სახსრების ძირითად წყაროებს და მათი გადინების მიმართულებებს;
2. საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ოპერატიული დასკვნები იმის შესახებ, საკმარისია თუ არა სახსრები მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად;
3. ადგენს ურთიერთკავშირს რეალიზაციასა და ფულად ამონაგებს შორის საანგარიშო პერიოდში.

არაპირდაპირი მეთოდი ეფუძნება ბალანსის მუხლების და ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების ანალიზს. იგი საშუალებას იძლევა დავინახოთ კავშირი კომპანიის სხვადასხვა საქმიანობას შორის, ადგენს ურთიერთკავშირს წმინდა მოგებასა და აქტივების ცვლილებებს შორის საანგარიშო პერიოდში. არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს იცვლება მხოლოდ ფულადი ნაკადების პირველი განაყოფის შევსების წესი. დანარჩენი ორი განაყოფი იგივეა, რაც პირდაპირი მეთოდის დროს.

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

საინტერესოა ფულადი ნაკადების ანგარიშგების კერძო კოეფიციენტების ანალიზი, რომელიც სხვადასხვა სტრუქტურულ და დინამიკური კოეფიციენტებს განსაზღვრავს.

2016-2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებ(ათასი ლარი) ცხრილი N4.1:

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>			
მოგება დაბეგვრამდე	9 932	11 095	8 435
ცვეთა და ამორტიზაცია	959	1 138	1 514
ზარალი/(მოგება) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	1 021	-268	1 503



საპროცენტო ხარჯი	366	245	987
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებება</b>			
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო მატერიალური ფასეულობაში	-586	-9 162	-8 239
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	407	-633	-2 109
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	-5 387	-3 324	25
ზრდა/(შემცირება) დეპოზიტებში	4 971	809	-7 432
(შემცირება)/ზრდა მიმდინარე მოგების გადასახადის	1 288	-770	-67
ზრდა/(შემცირება) მიღებულ ავანსებში	227	189	1
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1 452	1 492	4 231
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან	14 650	811	-394
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	14 650	811	-394
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შეძენა	-3 705	-2 558	-4 529
არამატერიალური აქტივების შეძენა	-30	-5	-31
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	-3 735	-2 563	-4 560
<b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>			
აღებული სესხი	26 543	64 400	180 914
გადახდილი სესხი	-26 86	-68 095	-168 223
გადახდილი დივიდენდი	-4 326	-105	-1 447
წმინდა ფულის (გასვლა)/შემოსვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	-4 643	-3 800	11 244

გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	-1 021	464	-342
წმინდა ფულის ზრდა	5 251	-5 088	5 948
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	82	5 333	245
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	5 333	245	6 193

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის ფორმატი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ინფორმაცია ესაჭიროება საწარმოს მართვისა და ანალიზისათვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს:

1. რამდენად ფარავს საწარმო ძირითად ვალდებულებებს სკუთარი აქტიურობით გამომუშავებული ფულით;
2. ჭირდება თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვა და რომელი გზებითაა ეს შესაძლებელი;
3. გააჩნია თუ არა ფულის დეფიციტი და რომელი მიმართულებით;
4. როგორია ფულის ბრუნვის სიჩქარე;
5. რამდენად იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის საფეხურებია:

1. ვერტიკალური ანალიზი
2. ჰორიზონტალური ანალიზი
3. ფულადი ნაკადების ანგარიშგების კოეფიციენტების დინამიკური, ფაქტორული და კორელაციური ანალიზი.

ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალურ ანალიზში პროცენტული ზომის ერთეულები გამოიყენება. იგი იწყება წმინდა ფულადი ნაკადების საერთო სტრუქტურის დახასიათებით. თუმცა ჯერ უნდა შემოწმდეს შემდეგი ტოლობა:

წმინდა ფულადი ნაკადი = ვალდებულებების ზრდა - არაფულადი მიმდინარე აქტივების ზრდა - გრძელვადიანი აქტივების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა.

ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი წამოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების ცვლილებების გამოკვლევის ხერხს, სულ მცირე ორი წლის პერიოდისათვის. კვლევის პერიოდი რაც უფრო ხანგრძლივი იქნება, მით უფრო რეალური სურათს გვიჩვენებს. შემოსავლების და აქტივების ზრდის, ასევე ხარჯებისა და ვალდებულებების ცვლილებები გამოიხატება პროცენტებში წინა პერიოდებთან შედარებით. თავდაპირველად, ცალკეული განყოფილების წმინდა ფულადი ნაკადების დინამიკის მიმოხილვა ხდება.

ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზში, როგორც ყოველთვის, ვიყენებთ სხვადასხვა სახის კოეფიციენტებს. ეს კოეფიციენტები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ფულადი ნაკადების ანგარიშგების კოეფიციენტები და კომბინირებული კოეფიციენტები.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების კერძო კოეფიციენტებია მხოლოდ მისი ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლილი კოეფიციენტები. ესენია სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები:

**ფულის ეფექტიანობის კოეფიციენტი = წმინდა ფულადი ნაკადი პერიოდში / ფულის გადინება პერიოდში**

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე კოეფიციენტის მნიშვნელობა: 2016 წ. - 0,177, 2017 წ. - 1,4, 2018 წ. - 0,22 არის.

აღნიშნული კოეფიციენტი ერთზე ნაკლები არ უნდა იყოს, ვინაიდან ფულის გადინება აჭარბებს არსებულ ფულად რესურსებს, რაც ფიქსირდება 2016 და 2018 წლებში.

**გადახდისუნარიანობის ბივერის კოეფიციენტი = (წმინდა მოგება+ ამორტიზაცია) / გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.**

2016-2018 წლის გადახდისუნარიანობის ანალიზი(ათასი ლარი) ცხრილი N4.2:

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
მოგება დაბეგვრამდე	9 932	11 095	8435
ცვეთა და ამორტიზაცია	959	1 138	1 514

სულ ვალდებულებები	8 627	6 262	25 266
გადახდისუნარიანობის ბივერის კოეფიციენტი	1,26	1,95	0,39

ვინაიდან ამ მაჩვენებლის ინტერვალი: 0,17-0,4, თუ იგი 0.17-ზე დაბალი აღმოჩნდა, მინიშნებს, რომ არსებობს გადახდისუნარიანობის დაკარგვის მაღალი რისკი, და 0,4-ის ზემოთ რისკის დაბალი დონეა, 2016-2018 წლებში საწარმოს გადახდისუნარიანობის დაკარგვის ძალიან დაბალი რისკი აქვს, რაც დადებითი ფაქტორია.

**პროცენტის დაფარვის დონე =საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული**

**ფული გადასახადების გადახდამდე / გადახდილი პროცენტი**

**დივიდენდის დაფარვის დონე = საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი / იგივე წმინდა ფულადი ნაკადი დივიდენდის გადახდამდე**

**წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი = წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან / წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან**

იგი ახასიათებს, საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი რა ხარისხით იფარება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულით.

**ფულის ეფექტიანობის საერთო კოეფიციენტი =საერთო წმინდა ფულადი ნაკადი / ფულის გადინება წელიწადში**

**საერთო გადახდისუნარიანობა =(ფულის საწყისი ნაშთი + ფულის შემოდინება) / ფულის გადინება სულ**

ფულადი ნაკადების ანგარიშგების კომბინირებული კოეფიციენტებია ისეთი კოეფიციენტები, რომელთა გაანგარიშებას ანგარიშგების ორი ან მეტი კომპონენტის ინფორმაცია ჭირდება. ესენია:

1. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა =წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან / შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან
2. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა =საინვესტ. საქმიანობიდან მიღებ. წმინდა ფულადი ნაკადი / შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან

3. საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა=საფინ. საქმ-დან მიღებული წმ. ფულადი ნაკადი / შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან
4. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი = (წმ.ფ.ნაკადი საოპ.საქმ. წლ.მოგ.გადსახადი) / წლ. საპროცენტო ხარჯი
5. რეინვესტირების კოეფიციენტი =(საერთო წმინდა ფულადი ნაკადი – დარიცხული დივიდენდი) / გრძელვადიანი აქტივების ზრდა
6. დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის რენტაბელობა =წმინდა მოგება / საერთო წმინდა ფულადი ნაკადი
7. ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი = საერთო წმინდა ფულადი ნაკადი / დღიური ხარჯები

აუცილებელია იმ ფაქტორების დადგენა, რომლებიც ფულის თავისუფალ შემოდინება-გადინებას ხელს უწყობდა ან აფერხებდა.

2016-2018 წლის საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზი (ათასი ლარი ) ცხრილი N4.3:

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
საპროცენტო ხარჯი	370	245 000	987 000
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	9 630	-503 040	-978 580
საპროცენტო ხარჯი	370	245 000	987 000
<b>პროცენტის დაფარვის დონე</b>	<b>26,31</b>	<b>-2,05</b>	<b>-0,99</b>
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	14 650	811	-394
წმინდა ფულადი ნაკადი პერიოდში	820	5 333	245
<b>დივიდენდის დაფარვის დონე</b>	<b>17,87</b>	<b>0,15</b>	<b>-1,61</b>
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან	-3 735	-2 563	-4 560
<b>წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი</b>	<b>-3,92</b>	<b>-0,32</b>	<b>0,09</b>

მაჩვენებლების ანალიზისას დგინდება, რომ კომპანიის პროცენტის დაფარვის დონე და დივიდენდის დაფარვის დონე 2016-2018 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი, რაც დადებით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ფულადი ნაკადების ანალიზის ამოცანებზე, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

1. დამატებითი ინფორმაცია მოიპოვოს საწარმოს მიმდინარე ლიკვიდურობის შეფასებისათვის;
2. ფინანსური ციკლის ხანგრძლიობის გამოკვლევა;
3. ფულადი თანხების დენადობის შეფასება საქმიანობის სფეროების მიხედვით;
4. მსგავსი საწარმოების ფულადი სახსრების მოძრაობის მაჩვენებელთა შედარებითი დახასიათება;
5. ნაღდი ფულის სიჭარბის ან დეფიციტის შეფასება;
6. დაადგინოს, სად შეიძლება დაბანდების შემცირება და რომელი მიმართულებით შეიძლება ფულის დაბანდების გაზრდა;
7. მომავალი პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზირება.

ფულადი ნაკადების მართვა ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჯ.კეინსის აზრით, ფულადი აქტივების მნიშვნელობა სამი ძირითადი მიზეზითაა განპირობებული:

1. რუტინულობა – ფულადი საშუალებები გამოიყენება რა მიმდინარე ოპერაციების შესრულებისათვის, შემოსულ და გასულ ფულად ნაკადებს შორის კი ყოველთვის არსებობს დროითი წყვეტები, ამიტომ, საწარმო იძულებულია ანგარიშზე ყოველთვის ჰქონდეს ნაღდი ფული;
2. სიფრთხილე – ვინაიდან საწარმოს საქმიანობა წინასწარ მკაცრად განსაზღვრულ ხასიათს არ ატარებს, ამიტომ ფული გაუთვალისწინებელი გადასახადებისთვისაც საჭიროა;
3. სპეკულირება – ფულადი საშუალებები სპეკულაციური თვალსაზრისითაც საჭიროა, რადგან მოულოდნელად ხელსაყრელი ინვესტირების შესაძლებლობა წარმოიშვას. ამასთან, რაიმე საინვესტიციო პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით ყოველთვის ადგილი აქვს ფულად დანაკარგებს. ამიტომ, ნებისმიერმა საწარმომ ორი ურთიერთგამომრიცხავი მოვლენა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს: მიმდინარე

გადახდისუნარიანობის შენარჩუნება და დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობა თავისუფალი ფულადი სახსრების ინვესტირებიდან.

ამრიგად, საწარმოს ფინანსური მართვის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ფულადი სახსრების მიმდინარე საშუალო ნაშთების ოპტიმიზაცია.

ფულადი სახსრების დენადობის ანალიზის საფეხურებია:

1. საჭირო ინფორმაციის მოგროვება;
2. ინფორმაციის დამუშავება და ანალიზური ცხრილების შედგენა;
3. საოპერაციო და საფინანსო ციკლის მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა;
4. ფულადი ნაკადების და ფული ბრუნვის ანალიზი
5. საჭირო ფულის მოზიდვის გზების შემუშავება.

ანალიზის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ საწარმო წლიური ანგარიშგების ინფორმაციით მომგებიანი იყოს, მაგრამ იმავდროულად, შეიძლება სიძნელეები გააჩნდეს საბრუნავ სახსრებში, რამაც წარმოშვას კონფლიქტები პარტნიორებთან და გაკოტრებაც კი გამოიწვიოს. ფულადი თანხების წრებრუნვის მოდელის საფუძველზე შეისწავლება, რამდენი დღე ჭირდება აქტივებში დაბანდებულ ფულად სახსრებს, კვლავ ფულის სახით რომ დაბრუნდეს უკან. ამრიგად, განისაზღვრება ფინანსური ციკლის ხანგრძლიობა, რომელიც საოპერაციო ციკლსა და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდს შორის სხვაობის ტოლია.

ყოველივე ამის შემდეგ, შეისწავლება წმინდა ფულადი ნაკადების დინამიკა რამდენიმეწლიანი პერიოდისთვის. ფასდება საწარმოს ფინანსური ტრადიციები და კეთდება შესაბამისი პროგნოზი. ეს ბიზნეს-გეგმის შედგენისათვის მნიშვნელოვანია. ანალიზის დროს შეისწავლება აგრეთვე ფულადი ტოლობის შემდეგი მაჩვენებლები:

საწარმოს თავისუფალი ფულადი ნაკადი = მოგება რეალიზაციიდან + არაფულადი ხარჯი + [საპროცენტო ხარჯი \* (1 - გადასახადის ნორმა)] - ძირითადი კაპიტალი - საკუთარი საბრუნავი კაპიტალი;

ან,

თავისუფალი ფულადი ნაკადი = ფული საოპერაციო საქმიანობიდან + [საპროცენტო ხარჯი \* (1 - გადასახადის ნორმა)] - ძირითად საშუალებებში ავანსირებული ღირებულება.

ან,

თავისუფალი ფულადი ნაკადი = ფული საოპერაციო საქმიანობიდან - ძირითადი საშუალებები + წმინდა სესხები

ანალიზის დროს ფინანსური მენეჯმენტი აგრეთვე შეისწავლის ფულის ბრუნვის კოეფიციენტებს, როგორცაა:

ფულადი თანხების დამაგრების კოეფიციენტი, აჩვენებს იგი აჩვენებს თავისუფალი ფულადი თანხების ნაშთის რა რაოდენობა იყო საჭირო ყოველი ერთი ლარის შემოსავლის მისაღებად. ამ კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელი ახასიათებს ფულის ბრუნვის რიცხვს წელიწადში.

ფულადი თანხების დამაგრების კოეფიციენტი = ფულადი თანხების საშ. ნაშთი/ შემოსავალი რეალიზაციიდან.

საწარმოებს ყოველთვის აქვს მოთხოვნა ფულადი თანხების მინიმალურ ნაშთებზე, რათა შექმნან მიმდინარე მარაგები, დააფინანსონ სხვადასხვა პროექტები, დროულად დაფარონ მიმდინარე ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. საჭიროა თავისუფალი ფულადი თანხების ოპტიმალური მოცულობის დადგენა, რათა ზედმეტი ფული კონვერტირებულ იქნეს ფასიან ქაღალდებში დამატებითი შემოსავლების მისაღებად. დასავლეთის ქვეყნებში, თავისუფალი ფულადი თანხების ნაშთების ოპტიმალური მოცულობის დასადგენად, ბაუმოლის და მილერის ფორმულები გამოიყენება.

ბაუმოლის ფორმულით, საწარმოსათვის საჭირო ფულის ნაშთების ოპტიმალური მოცულობა შემდეგი ფორმულით გაიანგარიშებ:

$$Q = \frac{2 * V * C}{r}$$

V - არის წლიური მოთხოვნა ფულად თანხებზე ანუ წლიური ფულადი ხარჯები;

C - ფასიან ქაღალდებში ფულადი სახსრების კონვერტაციის ხარჯები;



r - არის მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციის საპროცენტო განაკვეთი;

Q - აჩვენებს ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულადი თანხის არსებობის მაქსიმალურ შესაძლო სიდიდეს. ხოლო, საშუალო მინიმალური დონე მისი ნახევრის ტოლია.

საწარმოს წლიური მოთხოვნა ფულად თანხებზე, მარტივად გამოითვლება შემდეგი ფორმულით:  $\Sigma P = \Sigma (p_i + c_k)$

$p_i$  - არის ფულადი თანხების,  $i$  - ანგარიშების საკრედიტო ბრუნვა საგეგმო პერიოდში;

$c_k$  - არის ფულადი სახსრების ანგარიშების საკრედიტო ნაშთები პერიოდის დასაწყისში,

მილერის მოდელით ფულადი თანხების ნაშთების საზღვრები გამოითვლება შემდეგი ფორმულით:  $S = 3 * [(3Pt * v)/(4 * Px)]^{1/3}$

S- არის ფულის ნაშთის ოპტიმალური სიდიდე;

Pt - არის ფასიან ქაღალდებში ფულის ტრანსფორმაციის (გადაცვლის) ხარჯები;

Px - არის საბანკო ანგარიშზე ფულის შენახვის ხარჯები;

V - არის ფულის საბანკო ანგარიშზე ფულის ნაშთის ვარიაციის კოეფიციენტი.

მილერის მოდელის გამოყენების დროს, ექსპერტიზის გზით, წინასწარ განისაზღვრება ანგარიშზე ფულის მინიმალური ნაშთის სიდიდე და შემდეგ, ფულის ნაშთის მაქსიმალური საზღვარი, რომელიც მინიმალური ნაშთისა და ფულის ოპტიმალური სიდიდის ჯამის ტოლია.

### 3. საინვესტიციო გადაწყვეტილებების ანალიზი

სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (ინვესტირე - შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. არსებობს ინვესტიციების მრავალი განმარტება, კერძოდ, უილიამ შარპისა და მისი თანაავტორების აზრით, ინვესტიცია არის „ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით“. ხოლო რუსი მეცნიერის, ა.ს. სელიშევის განმარტებით ინვესტიციები არის დანაზოგის გამოყენება ძველის აღსადგენად და ახლი საწარმოო სიმძლავრეების და სხვა კაპიტალური აქტივების შექმნის მიზნით. ინვესტიციები ხელს

უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით, ინვესტიცია არ ნიშნავს საწარმოს მიერ საკუთარი მატერიალური და სხვა სახის რესურსების შექმნაზე დაბანდებულ სახსრებს. ინვესტიცია არის აქტივი, რომელსაც საწარმო ფლობს საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად და შემოსავლის – პროცენტების, როიალტების, დივიდენდებისა და საიჯარო ქირის მიღების გზით. საინვესტიციო ქონების შესაძენად საწარმო გარკვეულ მოცულობის ფულად თანხებს გაიღებს. ამდენად, ინვესტიცია შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად, იგი არის თანხა, რომელიც ჩადებულია ანუ დაბანდებულია სხვადასხვა ფასიან ქაღალდებში, გაცემულია სესხის სახით ან გაცემულია იჯარით.

ინვესტიციების ეფექტი დამოკიდებულია საინვესტიციო ინსტრუმენტების სწორად შერჩევაზე. ანალიზის ამოცანები განისაზღვრება იმის შესაბამისად, თუ რომელი მხარე აკეთებს ანალიზს: ინვესტორი თუ საწარმოს ხელმძღვანელობა. საწარმო ახდენს საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ანალიზს, რამდენად ეფექტიანად გამოიყენა მან ეს წყაროები. ნებისმიერი სახის ინვესტირების, მთავარი მოქმედი პირი ინვესტორია. იგი არის პირი ან კომპანია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ბიზნესის რომელ სფეროში რა სახის ინვესტირება განახორციელოს. ინვესტორებს განსხვავებული შეხედულებები აქვს ბიზნეს სტრატეგიებზე და ამის გამო ინვესტირების მრავალი სახე არსებობს.

ინვესტიციების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ინვესტიციის სახეები საინვესტიციო ობიექტების მიხედვით :

1. რეალური ინვესტირება -გრძელვადიანი დაბანდება რეალურ სექტორში (მიწათმფლობელობა, უძრავი ქონება, მანქანა-დანადგარები, ნედლეული, მარაგები);
2. ფინანსური ინვესტიციები - ეს არის ფასიანი ქაღალდების შექმნა ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირება. ინვესტირების ეს ფორმა ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს - მოგების მიღებას.

ინვესტიციების სახეები- საინვესტიციო პროცესში მონაწილეობის მიხედვით:

1. პირდაპირი ინვესტირება - ეს ნიშნავს იმას, რომ ინვესტორი დამოუკიდებლად ირჩევს ინვესტირების ობიექტს, აფასებს რისკებს და არსებულ ყველა მასზე დაკისრებულ გადაწყვეტილებას.

ინვესტიციების სახეები - საინვესტიციო პროცესში მონაწილე ობიექტების მიხედვით:

2. შიდა ინვესტირება ეს არის საკუთარი აქტივებით საკუთარ ბიზნესში ინვესტირება.

3. გარე ინვესტირება ეს არის მესამე მხრის მიერ ფინანსების თქვენს ბიზნესში ინვესტირება.

ინვესტიციების სახეები - დროის კრიტერიუმების მიხედვით:

1. მოკლევადიანი ინვესტიცია - ხასიათდება ინვესტირების მოკლევადიანი პერიოდით, ჩვეულებრივ, ერთი წლით.

2. გრძელვადიანი ინვესტიცია - ხასიათდება ინვესტირებით, რომელიც გრძელდება ერთ წელზე მეტი.

ინვესტიციების სახეები - შემოსავლის დონის მიხედვით:

1. უშემოსავლო ინვესტიცია - ინვესტიციის ეს სახე არ გულისხმობს შემოსავლის მიღებას, მისი მიზანია მიიღოს დადებითი სოციალური, ეკოლოგიური ან სხვა ეფექტი.

2. დაბალშემოსავლიანი ინვესტირება - ინვესტირება ისეთ ობიექტებში რომელთა სავარაუდო შემოსავლის დონე - საშუალო საინვესტიციო მოგებაზე ნაკლებია.

3. საშუალო შემოსავლიანი ინვესტირება - ინვესტირება ისეთ ობიექტებში რომელთა სავარაუდო შემოსავლის დონე - საშუალო საინვესტიციო მოგების ტოლია.

4. მაღალშემოსავლიანი ინვესტირება - ინვესტირება ისეთ ობიექტებში რომელთა სავარაუდო შემოსავლის დონე - საშუალო საინვესტიციო მოგებაზე გაცილებით მაღალია.

ინვესტიციების სახეები - რისკის დონის მიხედვით:

1. ინვესტიციები რისკის გარეშე - ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომელშიც არ არსებობს ჩადებული სახსრების დაკარგვის რისკი.

2. დაბალ რისკიანი ინვესტიცია - ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომელშიც ჩადებული სახსრების დაკარგვის რისკი დაბალია.

3. საშუალო რისკიანი ინვესტიცია - ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომლებშიც ჩადებული სახსრების დაკარგვის რისკი საშუალო დონეზეა.

4. მაღალ რისკიანი ინვესტიცია- ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომლებშიც რისკის დონე საშუალოზე ბევრად მაღალია, ესეთი ობიექტები როგორც წესი გამოირჩევიან შემოსავლების მაღალი დონით.

ინვესტიციების სახეები - ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით:

1. მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიცია - რომლის ობიექტიც ერთთვიან პერიოდში გარდაიქმნება ფულად, ყოველგვარი მნიშვნელოვანი ზარალის გარეშე.

2. საშუალო ლიკვიდურობის მქონე ინვესტიცია - რომლის ობიექტიც 1 ან 6 თვიან პერიოდში გარდაიქმნება ფულად, საკუთარი ღირებულების მნიშვნელოვანი დანაკარგის გარეშე.

3. დაბალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიცია - რომლის ობიექტსაც საკუთარი ღირებულების დანაკარგის გარეშე სარეალიზაციოდ დიდი დრო სჭირდება.

4. არალიკვიდური ინვესტიცია - რომლის რეალიზებასაც ინვესტორი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს.

ინვესტიციების სახეები - საკუთრების ფორმის მიხედვით:

1. კერძო ინვესტიცია- ფიზიკური ან იურიდიული (არასახელმწიფოებრივი) პირის მიერ განხორციელებული ინვესტიცია.

2. სახელმწიფო ინვესტიცია - სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ან სახელმწიფო ბიუჯეტით განხორციელებული ინვესტიცია.

3. შერეული ინვესტიცია - სახელმწიფო და კერძო პირის მიერ ერთობლივად განხორციელებული ინვესტიცია.

ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ორი გარემოება, როდესაც საწარმო წყვეტს სად განახორციელოს ინვესტიცია და როცა სურს, სხვისგან მიიღოს საინვესტიციო სახსრები.

ამ ეტაპისთვის, განვიხილოთ საწარმოს გადაწყვეტილება თავისი სახსრების სხვაგან დაბანდების. ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები:

1. ინვესტიციის სახე;

2. საინვესტიციო პროექტის ღირებულება;
3. პროექტის ალტერნატიული ვარიანტების არსებობა;
4. ინვესტიციებისათვის საჭირო თავისუფალი ფულადი რესურსების შეზღუდულობა;
5. საინვესტიციო რისკი.

კომპანია „ჯი არ სი“ აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკამყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება; ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში; გ) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება; დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს რეალური კონტრაქტზე გაწეული ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

ინვესტორები დგებიან ერთი-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე, თავი აარიდონ რისკებს და ინვესტიცია განახორციელონ დაბალშემოსავლიან ფასიან ქაღალდებში, ან დააბანდონ ფული რისკიან ფასიან ქაღალდებში, რომ უფრო დიდი რისკისათვის, უფრო მაღალი შემოსავალი მიიღონ. ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციის მოგების ნორმა წარმოადგენს ინვესტიციის ალტერნატიულ ღირებულებას. იგი არის მოგების მინიმალური აუცილებელი ნორმა, კაპიტალის ღირებულება, სააღრიცხვო განაკვეთი ან პროცენტის განაკვეთი ან დისკონტის განაკვეთი. საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ინვესტიციებზე გასაცემი და მისაღები ფულადი თანხების მოცულობათა შეფასება და

შედარება. ვინაიდან, ფულადი თანხები სხვადასხვა პერიოდებს ასახავენ, მათი შესადარისობა არის პრობლემა. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ფულის დროითი ღირებულება უნდა გავითვალისწინოთ.

ფულს ორი სახის დროითი ღირებულება გააჩნია: ახლანდელი ანუ დისკონტირებული და მომავალი ღირებულება.

ფულის დროითი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$FV_n = p * (1 + r)^n$$

FV<sub>n</sub>- არის ფულის მომავალი ღირებულება – n – წლის შემდეგ;

P - არის თავდაპირველად ავანსირებული ფული;

R - არის საპროცენტო განაკვეთის კოეფიციენტი;

n - არის წელთა რიცხვი.

(1 + r)<sup>n</sup> - არის გადაყვანის კოეფიციენტი, რომელიც სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთზე სხვადასხვაა.

ფულის ახლანდელი (ანუ დისკონტირებული) ღირებულების ფორმულა:

$$pv = F * (1 / (1 + r)^n)$$

pv - არის n წლის შემდეგ მისაღები ფულის ახლანდელ ანუ დისკონტირებული ღირებულება.

დროის თანაბარ პერიოდში თანაბარი სიდიდით მოძრავ ფულს, ანუიტეტი ეწოდება.

ანუიტეტის მომავალი და დისკონტირებული ღირებულებაც შესაბამისი ფორმულებით გამოითვლება. ანუიტეტის მომავალი ღირებულების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:  $FVA = (1 + r)^n - 1 / r$

დისკონტირების კოეფიციენტი აჩვენებს ყოველწლიურად რამდენი პროცენტის დაბრუნება შეუძლია ინვესტორს მის მიერ ინვესტირებულ კაპიტალზე.

საინვესტიციო კაპიტალი = აქტივები - უპროცენტო მიმდინარე ვალდებულებები

საინვესტიციო პროექტების შეფასების რამდენიმე ხერხი არსებობს:

1. წმინდა დისკონტირებული ღირებულება;
2. ინვესტიციების უკუგების შიდა ნორმა;

3. ინვესტიციების რენტაბელობის ინდექსი (ანუ უკუგების სააღრიცხვო კოეფიციენტი);

4. ინვესტიციების გამოსყიდვის პერიოდი.

წმინდა დისკონტირებული ღირებულება (წდლ) მიიღება, საინვესტიციო პროექტიდან მისაღები თანხების დისკონტირებულ ღირებულებასა და გასაცემი თანხების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობით. ის პროექტია მისაღები, რომლის წმინდა დისკონტირებული ღირებულება ყველაზე მაღალია. თუ იგი უარყოფითია, მაშინ პროექტი ზარალიანია. თუ ნულის ტოლია, არც მოგებას იძლევა და არც ზარალს. საინვესტიციო პროექტის შეფასებისათვის აგრევე შეიძლება გამოვიყენოთ ინვესტიციების რენტაბელობის ინდექსი.

$$RI = M / p$$

M - არის ინვესტიციიდან მისაღები შემოსავლების დისკონტირებული ღირებულება;

P - არის ინვესტიციის ამოსავალი (საწყისი) მოცულობა.

თუ ინვესტიციის რენტაბელობის ინდექსი ერთზე მეტია, პროექტი მისაღებია. თუ ერთზე ნაკლებია, პროექტი მიუღებელია. თუ ერთის ტოლი აღმოჩნდა, არც მოგება მიიღება და არც ზარალი.

საინვესტიციო პროექტების შეფასების დისკონტირების კიდევ ერთი მეთოდია ინვესტიციის რენტაბელობის შიდა ნორმა. იგი აჩვენებს ხარჯების დასაშვებ მაქსიმალურ დონეს, რომელიც შეიძლება მოცემულ პროექტზე დაიხარჯოს:

$$IRR = A + ( N / (NA - NB) ) * ( B - A )$$

A - არის დისკონტირების დაბალი საპროცენტო განაკვეთი;

B - არის დისკონტირების მაღალი საპროცენტო განაკვეთი;

NA - არის წმინდა დისკონტირებული ღირებულება A პროცენტის დროს;

NB - არის წმინდა დისკონტირებული ღირებულება B პროცენტის დროს;

წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას (NPV), ინვესტიციის რენტაბელობის შიდა ნორმას (IRR), რენტაბელობის ინდექს (RI) და კაპიტალის ინდექს (CC) შორის შემდეგი კავშირი არსებობს:

თუ  $NPV > 0$ , მაშინ  $IRR > CC$  და  $RI > 1$  პროექტი მისაღებია

თუ NPV < 0, მაშინ, IRR < CC და RI < 1 პროექტი მიუღებელია

თუ NPV = 0, მაშინ, IRR = CC და RI = 1; პროექტი მიუღებელია, არც მოგებას იძლევა და არც ზარალს.

საინვესტიციო პროექტების შეფასების სააღრიცხვო მეთოდს მიეკუთვნება ინვესტიციის გამოსყიდვის ვადის განსაზღვრისა და ინვესტიციის ეფექტიანობის კოეფიციენტის გამოთვლის ხერხები.

ინვესტიციის გამოსყიდვის ვადის (იგვ) გამოთვლის ხერხი ფართოდაა გავრცელებული, თუმცა იგი ფულადი ნაკადების დროითი ღირებულების ცვლილებებს არ ითვალისწინებს. იგი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{იგვ} = \text{საინვესტიციო ხარჯები} / \text{საშაულო წლიური მოგება}$$

მისი გამოთვლა ადვილია, თუმცა, პროექტმა შეიძლება თავი ორ წელიწადში გამოსყიდოს, არ ითვალისწინებს ფულის ღირებულების ცვლილებას დროში. ამიტომ არ ახდენს განსხვავებას იმ პროექტებს შორის, რომელთაც ერთნაირი საერთო შემოსავალი აქვთ, მაგრამ წლების მიხედვით სხვადასხვაგვარადაა განაწილებული.

ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა 2016-2018 წლის მდგომარეობით (ათასი ლარი) ცხრილი N5:

პერიოდი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
საინვესტიციო ხარჯები	3 735	2 563	4 560
საშაულო წლიური მოგება	9 932	11 095	8 435
ინვესტიციის გამოსყიდვის ვადის (იგვ) = საინვესტიციო ხარჯები / საშაულო წლიური მოგება	0,376	0,231	0,541

2016-2018 წლებში ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა ჯერ შემცირდა 0,376 კოეფიციენტიდან 0,231-მდე და შემდეგ გაიზარდა 0,541 მაჩვენებლამდე, რაც, არცთუ ისე კარგია კომპანიისთვის, ვინაიდან რაც უფრო მცირეა აღნიშნული ვადა მით დაბალია საინვესტიციო რისკი და უკეთესია კომპანიის ფინანსური სტაბილურობისთვის. მისი



გამოთვლა ადვილია, თუმცა, პროექტმა შეიძლება თავი მცირე პერიოდში გამოისყიდოს, არ ითვალისწინებს ფულის ღირებულების ცვლილებას დროში. ამიტომ არ ახდენს განსხვავებას იმ პროექტებს შორის, რომელთაც ერთნაირი საერთო შემოსავალი აქვთ, მაგრამ წლების მიხედვით სხვადასხვაგვარადაა განაწილებული.

უკუგების პერიოდის გაანგარიშების მეთოდით რისკი დაკავშირებულია დროსთან, რაც უფრო მეტია დროის პერიოდი, მით უფრო მაღალია დანაკარგების ალბათობა. ვინაიდან, ნაღდი ფულის ნაკადებს გააჩნიათ დროში კორელაციისაკენ ტენდენცია. უკუგების პერიოდის გაანგარიშების მეთოდი ასევე ხშირად გამოიყენება წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდთან ან ინვესტიციების უკუგების შიდა განაკვეთის მეთოდთან ერთობლივად, პროექტების ანალიზისათვის. ასევე, იგი გასაგებია ყველა დონის მმართველისათვის და უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ჯამობრივ მაჩვენებელს – რამდენად სწრაფად იქნება ანაზღაურებული საწყისი დანახარჯები.

ინვესტიციის ეფექტიანობის (რენტაბელობის) კოეფიციენტი გვიჩვენებს საშუალო წლიური მოგების შეფარდებას ინვესტიციის ღირებულების საშუალო სიდიდესთან. თუ პროექტი სალიკვიდაციო (ნარჩენ) ღირებულებას ითვალისწინებს, მაშინ გაანგარიშებისას, ინვესტიციის საშუალო ღირებულებას მიემატება ნარჩენი ღირებულების ნახევარი პერიოდის ბოლოს. აღნიშნული მეთოდი, მისი სიმარტივის გამო, ფართოდაა გავრცელებული.

საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას, გარდა აღნიშნული მეთოდებისა, აუცილებელია სხვადასხვა ფარდობითი მაჩვენებლების ანალიზი, როგორცაა: შემოსავალი ერთ აქციაზე, დივიდენდი ერთ აქციაზე, ერთი აქციის ფასი, აქციის რენტაბელობა, შემოსავალი დივიდენდიდან, აქციის კოტირების კოეფიციენტი.

შემოსავალი ერთ აქციაზე გვიჩვენებს, მაქსიმუმ რა მოცულობის დივიდენდი შეიძლება იქნეს მიღებული ყოველი ერთი ჩვეულებრივი აქციიდან. იგი გავლენას ახდენს აქციის საბაზრო ფასზე. აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით ამ მაჩვენებელს ეწოდება საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე:

**შემოსავალი ერთ აქციაზე = (წმინდა მოგება - პრივილეგირებული აქციების დივიდენდი) / ჩვეულებრივი აქციების რიცხვი**

დივიდენდი ერთი აქციაზე უჩვენებს რამდენი ლარის დივიდენდი მოაქვს ყოველ ერთ აქციას. ეს მაჩვენებელი საწარმოთაშორისო ანალიზის დროსაც შეისწავლება, რათა გამოვლინდეს, რომელ კომპანიაშია ინვესტირება უფრო ხელსაყრელი.

**დივიდენდი ერთი აქციაზე = დივიდენდი ჩვეულებრივ აქციებში / ჩვეულებრივი აქციების რიცხვი**

ერთი აქციის ფასის კოეფიციენტი აქციებზე მოთხოვნის ინდიკატორს წარმოადგენს, რადგან აჩვენებს, ინვესტორი მოცემულ მომენტში, რამდენჯერ მეტს იხდის ერთი აქციიდან მისაღები მოგებისათვის. თუ აქციის ფასი მაღალია, ეს ნიშნავს რომ ინვესტორები მაღალი მოგების სწრაფად მიღებას ცდილობენ. იგი პოტენციური ინვესტორების მიერ სხვადასხვა საწარმოების მიხედვით შეისწავლება და შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ.

**ერთი აქციის ფასის კოეფიციენტი = ერთი აქციის საბაზრო ფასი / შემოსავალი ერთ აქციაზე**

ინვესტორები აგრეთვე შეისწავლიან აქციის რენტაბელობის (მომგებიანობის) მაჩვენებელს, იგი უჩვენებს, აქციაში დაბანდებული ყოველი ერთი ლარი რამდენ პროცენტ მოგებას უბრუნებს. იგი აქციის ფასის შებრუნებული მაჩვენებელია.:

**ერთი აქციის რენტაბელობა = ( შემოსავალი ერთ აქციაზე / ერთი აქციის საბაზრო ფასი ) \* 100%**

ინვესტორი ასევე ადასებს დივიდენდის მიღების ხარისხი, რომელიც დივიდენდის შემოსავლაინობით ხასიათდება:

**შემოსავალი დივიდენდიდან = დივიდენდი ერთ აქციაზე / ერთი აქციის საბაზრო ფასი**

ეს თანაფარდობა ახასიათებს ერთ აქციაზე მიღებული დივიდენდის პროცენტულ შეფარდებას აქციის საბაზრო ფასთან. ანუ მიღებული დივიდენდი საბაზრო ფასის რამდენ პროცენტს შეადგენს.

ფასიანი ქაღალდების შემენა ნებისმიერი საწარმოს ფინანსური საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ფასიანი ქაღალდები სამი ძირითადი მიზნის მისაღწევად გამოიყენება: საწარმოს აუცილებელი ლიკვიდურობის

უზრუნველსაყოფად, ხელსაყრელი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად და შემოსავლების გასაზრდელად.

საწარმოს დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო არის საკუთარი კაპიტალი, რომლის ფორმირება ხდება მესაკუთრეების (ან აქციონერების) მიერ საწარმოში განხორციელებული თავდაპირველი ინვესტირების დროს და შემდეგ, მოგების რეინვესტირების შედეგად. საწარმოს საკუთარი კაპიტალი არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. საკუთარი კაპიტალი ორი ნაწილისაგან შედგება: ავანსირებული (ინვესტირებული) და რეინვესტირებული კაპიტალისაგან. ავანსირებული კაპიტალი არის კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ თავდაპირველად ჩადებული ანუ დაბანდებული სახსრების სიდიდეს, ხოლო, რეინვესტირებული კაპიტალი არის კომპანიის ფუნქციონირების ფინანსური შედეგის ანუ დაბანდებული კაპიტალის გამომუშავებული სარგებლის კვლავ ავანსირება ბიზნესში.

ინვესტიციის განხორციელებისას შესაძლებელია სხვადასხვა მექანიზმების შერჩევა. დაფინანსება შესაძლებელია მთლიანად კაპიტალის ხარჯზე. კომპანიამ ანალიზისთვის იღებს მოთხოვნილ სარგებელს კაპიტალზე და უდარებს უკუგებას კაპიტალზე(ROE).

წმინდა მოგება

$$\text{სააქციო კაპიტალის უკუგება (ROE)} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{სააქციო კაპიტალი}} * 100$$

მოცემული კოეფიციენტი მიმზიდველია აქციონერებისათვის. იგი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება რჩება საწარმოში, მესაკუთრეების მიერ მასზე მინდობილი კაპიტალიდან. მათთვის, ასევე მნიშვნელოვანია სააქციო კაპიტალის ფასის მაჩვენებელი(WACC), რომელზეც დივიდენდების სიდიდე ახდენს გავლენას.

კომპანიები დაფინანსებისას იყენებენ სესხებს, პრივილეგირებული აქციებს და ჩვეულებრივი აქციებს, რომლის დროსაც სხვადასხვა განაკვეთების ერთი მაჩვენებელით გამოხატვა უნდა მოხდეს. ამ მიზნით გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) მაჩვენებელი. აღნიშნულ მაჩვენებელზეა დაფუძნებული კომპანიის მომავალი კეთილდღეობა.

ჩვეულებრივი აქციების მთლიანი დივიდენდი

$$\text{სააქციო კაპიტალის ფასი(WACC)} = \frac{\text{ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი}}$$

მოცემული კოეფიციენტიდან ჩანს, თუ აქციონერისათვის რამდენი ლარი შემოსავალი მოაქვს სააქციო კაპიტალში ავანსირებული ღირებულების ყოველი ერთ ლარს.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გამოითვლება საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული კაპიტალის (ვალდებულებების) შეწონილი ღირებულების საფუძველზე. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება შეიძლება გამოითვალოს როგორც საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით, ისე მისი გათვალისწინების გარეშე. საინვესტიციო პროექტების დასაბუთებისთვის საწარმოები კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებას გამოითვლიან საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით. ასევე, მარეგულირებელი ორგანოებისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებლად შეიძლება განისაზღვროს. ამრიგად, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების არითმეტიკული განგარიშების ფორმულა, როგორც დაბეგვრის გათვალისწინებით, ისე დაბეგვრის გათვალისწინების გარეშე, ასე გამოიყურება :

$$\text{დასაბეგრი WACC} = \text{დაბეგრილი WACC} / (1-T)$$

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება, როგორც ფინანსური მაჩვენებელი, ასახავს ინვესტორების მოლოდინებს, ხოლო ინფლაცია ასახავს შიდა წარმოების საქონლისა და მომსახურების ფასების ინდექსს. ამიტომ, ეს ორი მაჩვენებელი პირდაპირ ვერ შედარდება. მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას ახდენს კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების შეფასების პარამეტრებზე, უნდა მოხდეს კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების გადაანგარიშება გრძელვადიანი პერსპექტივით.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC – Weighted average cost capital), რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$\text{WACC} = \text{Re} * (\text{E}/\text{V}) + \text{Rd} * (\text{D}/\text{V}) * (1-t),$$

Re - არის სააქციო კაპიტალის მოთხოვნილი განაკვეთი

E - ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის სიდიდე

D - ნასესხები კაპიტალის სიდიდე

V - საკუთარი და ნასესხები კაპიტალის სიდიდე

Rd - ნასესხდები კაპიტალის მოზიდვის საპროცენტო განაკვეთი

t - მოგების გადასახადის განაკვეთი

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება რაც უფრ მაღალი იქნება ნულიდან და სტაბილური, ინვესტორისთვის კომპანიის აქციების შესყიდვა მეტად მიმზიდველი იქნება.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების გაანგარიშება ორ ეტაპებს მოიცავს:

1. ვალდებულებების კოეფიციენტისა ( $W_d$ ) და საკუთარი კაპიტალის კოეფიციენტის ( $W_e$ ) შეფასება;
2. ვალდებულებებისა ( $R_d$ ) და საკუთარი კაპიტალის ( $R_e$ ) ღირებულების განსაზღვრა.

საშუალო შეწონილი ღირებულების ( $WACC$ ) მაჩვენებლის ანალიზის დროს გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ინვესტორთა მოთხოვნილი უკუგება და რისკების დონე. მათი შეფასება და სწორად გამოყენება კაპიტალის ღირებულების დათვლისას იძლევა მაქსიმალურად ზუსტ შედეგს დღევანდელი სიტუაციის ან მომავალი პერსპექტივების ანალიზისას.

კაპიტალის ღირებულებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, მათგან ზოგიერთი კომპანიის მიერაა კონტროლირებადი, ზოგიერთი კი არაკონტროლირებადია.

ფაქტორები, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება არის საპროცენტო განაკვეთი და გადასახადის განაკვეთი. თუ საპროცენტო განაკვეთი მატულობს, ვალის ღირებულება იზრდება, ვინაიდან კომპანიის დანახარჯები იზრდება.

ასევე, გადასახადების დონე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის კაპიტალის ღირებულებაზე, რომლის გაკონტროლება შეუძლებელია. ის მონაწილეობს გადასახადით კორექტირებული ვალის ღირებულების დათვლისას. ამასთან ერთად

კაპიტალურ შემოსავლებზე პროცენტის დაწევა ჩვეულებრივ ვალთან შედარებით აქციებს უფრო მიმზიდველს ხდის.

ფაქტორები, რომლებიც კომპანიის კონტროლს ექვემდებარება არის კაპიტალის სტრუქტურა, საინვესტიციო და სადივიდენდო პოლიტიკა. კაპიტალის სწორი სტრუქტურის შემუშავებაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული.

კაპიტალის ზრდა შეიძლება ან გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე ან ჩვეულებრივი აქციების მეშვეობით. ახალი აქციების გამოშვება შედარებით ძვირი ჯდება და კომპანიები ცდილობენ ახალი აქციები მანამ არ გამოუშვან სანამ არ მოახდენენ მათ ხელთ არსებული გაუნაწილებელი მოგების სრულ ინვესტირებას. სადივიდენდო პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული კაპიტალის ღირებულებასთან, ვინაიდან გაუნაწილებელი მოგება არის თანხა, რომელსაც კომპანიები არ გასცემენ დივიდენდის სახით.

კაპიტალის ღირებულების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მოთხოვნილი სარგებელი კომპანიის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებსა და აქციებზე, რომლის ღირებულება განსაზღვრავს კომპანიის საკუთრებაში მყოფი აქტივების რისკიანობას. ახალი ინვესტიციები იგივე რისკიანობის მატარებელია, როგორც იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მსგავსი ტიპის აქტივებს დაფინანსებს. თუ კომპანია შედის სრულიად ახალ სეგმენტზე მაშინ მნიშვნელოვანია გაანალიზდეს პროექტის რისკის დონე, რომელიც დამოკიდებული კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკაზე. კაპიტალის ღირებულება რისკიანი პროექტებისთვის უფრო მეტია და რისკის სწორედ შეფასება ძალიან რთულია. არსებობს სხვადასხვა სახის რისკები, ესენია: Stand-alone, კორპორატიული, ბაზრის ანუ ბეტა რისკი.

Stand-alone, რისკი რომელიც განისაზღვრება, როცა კომპანიას მხოლოდ ერთი ტიპის აქტივი აქვს ან როცა ტიპიური ინვესტორის პორტფელში მხოლოდ ეს ერთი აქციაა. ეს რისკი ფასდება პროექტის უკუგების მიხედვით.

კორპორატიული რისკი ესაა პროექტის რისკი კომპანიისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროექტი მხოლოდ ერთი ნაწილია კომპანიის ხელთ არსებულ პორტფელში და

შესაბამისად ხდება რისკის დივერსიფიცირება. კორპორატიული რისკის შეფასება ხდება პროექტის გავლენის მიხედვით კომპანიის მომავალ სავარაუდო მოგებაზე.

ბაზრის ანუ ბეტა რისკი, ესაა კარგად დივერსიფიცირებული პორტფელის მფლობელის თვალთ დანახული, კომპანიის რომელიმე პროექტის რისკი, როცა ის კარგად აცნობიერებს, რომ ეს რისკი მხოლოდ ნაწილია პორტფელში შემავალი აქციების რისკებიდან. ეს რისკი მეტია პორტფელის ჯამურ რისკთან შედარებით, რადგან პორტფელის შექმნის მიზანია მოხდეს რისკის შემცირება.

კორპორატიული და Stand-alone, რისკების მაღალი დონე არ ნიშნავს, რომ კომპანიის ბეტაც მაღალი იქნება. ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად შესაფასებელი მაინც ბაზრის რისკია. ის პირდაპირ აისახება აქციების ფასზე. კომპანიები ითვალისწინებენ სამივე სახის რისკის დონეს და შემდეგ ახდენენ WACC-ის კორექტირებას, რათა მიიღონ რისკის შემცველი კაპიტალის ღირებულება.

არსებობს რისკის სამ დონე - დაბალი, საშუალო და მაღალი. თუ კომპანიის WACC არის 10.0% მაშინ ნაკლებ რისკიანი პროექტებისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება იქნება 8.0%, საშუალოსთვის 10.0%, მაღალ რისკიანისთვის 12.0%.

ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური მოგების (EP) ანალიზი, რომელიც არის სხვაობა გადასახადების გადახდის შემდეგ მიღებულ საოპერაციო მოგებასა (NOPAT) და მოსათხოვრ მოგებას შორის.

$EP = A (ROI - WACC)$  სადაც,

A – კომპანიის ან ბიზნეს-სეგმენტის აქტივებია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ  $ROI = NOPAT$ , მაშინ  $EP = NOPAT - A \times WACC$

NOPAT-ის მაჩვენებლის სიდიდე ასახავს ფაქტობრივად მიღებულ მოგებას,  $A \times WACC$ -ის ნამრავლის სიდიდე ახასიათებს მოგების თანხას, რომელიც კომპანიამ ან ბიზნეს-სეგმენტმა უნდა გამოიმუშაოს ფინანსური რესურსების ერთობლივი ღირებულების ამოქმედების შედეგად.

ზოგიერთ გაანგარიშებაში გამოიყენება ეკონომიკური შინაარსით მსგავსი მოდიფიკაცია:

$EP = IC (ROCE - WACC)$ , ანუ  $EP = NOPAT - IC \times WACC$ , სადაც,

IC – ინვესტირებული კაპიტალი.

განსხვავება ამ მაჩვენებლებს შორის დაკავშირებულია კომპანიის მიერ ინვესტირებული კაპიტალის გაანგარიშების მეთოდის შერჩევასთან. ფინანსური კოეფიციენტების ტრადიციული ანალიზისგან განსხვავებით, რომელიც ეყრდნობა მაჩვენებელთა ფაქტობრივ სიდიდეთა დინამიკის შეფასებას, აღნიშნული მიდგომა აგებულია რენტაბელობის ფაქტობრივ და მოსათხოვრ სიდიდეებს შორის შეპირისპირებაზე.

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძობიარობა საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან. სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო



კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს. მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანიის საქმიანობის რისკები დამოკიდებულია ქვეყანაში ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ლარის კურსის ზრდამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქონლის და მომსახურების ფასებზე, რაც თავის მხრივ შეიძლება უარყოფითად აისახოს რეალიზაციის მოცულობებზე.

კომპანიის საქმიანობა ნაწილობრივ დამოკიდებულია ბანკების მხრიდან მიღებულ სესხებზე. რეფინანსირების განაკვეთის შესაძლო ზრდამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სესხის ხელმისაწვდომობაზე, რამაც საბრუნავი სახსრების ნაკლებობა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიაში.

მყიდველების გადახდისუუნარობამ შესაძლოა გაზარდოს უიმედო ვალების ანარიცხები, რამაც ასევე უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს კომპანიის მოგებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო მასალების ბაზარზე კონკურენცია ძალიან მაღალია, კომპანია ცდილობს კლიენტებთან მომსახურების ხარისხის, ოპერატიულობის და მოქნილი სარეკლამო საქმიანობის ხარჯზე შეინარჩუნოს თავისი წილი ბაზარზე.

თითოეულ კლიენტთან ურთიერთობას ექცევა მაქსიმალური ყურადღება, ხდება ძველი და კარგი გადახდების მქონე კლიენტების წახალისება და ა.შ.

კომპანიაში პრობლემურ გადამხდელებთან მუშაობს განყოფილება. კლიენტებს, რომლებთან შეექმნათ გაუთვალისწინებელი ფინანსური პრობლემები სთავაზობენ დავალიანების რესტრუქტურირებას მათვის მისაღები გრაფიკით და ვადით. თითოეული კლიენტის ანალიზზე ხდება ვადაგადაცილების პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლოს პატიება. წარმატებით ვთანამშრომლობთ აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან გამარტივებული წესით.

კომპანიის ძირითად საქმიანობაა სამშენებლო მასალების იმპორტი, წარმოება და რეალიზაცია მცირე, საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, ასევე ინდივიდუალურ მეწარმეებზე. საოპერაციო შემოსავლების წილი მთლიან დასაბეგრ შემოსავლებში 99,7%-მდეა. რაც იმას ნიშნავს რომ კომპანიის შემოსავლების უდიდესი ნაწილი ძირითად საქმიანობაზე, სამშენებლო მასალების რეალიზაციაზე მოდის. ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები.

ცხრილინ:

ფინანსური კოეფიციენტები	2016	2017
წმინდა მოგება/ხარჯები	0,25	0,16
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	0,28	0,25
წმინდა მოგება/საშ.წლიურ კაპიტალთან	0,35	0,30
წმინდა მოგება/საშ.წლიურ მოზიდულ სახსრებთან	1,40	1,49

2016-2017 წლებში კომპანია „ჯი არ სი“-ს ყველა ფინანსური კოეფიციენტი შემცირებულია, გარდა წმინდა მოგება/საშ.წლიურ მოზიდულ სახსრებთან, ვინაიდან, წმინდა მოგება გაიზარდა. წმინდა მოგება 2016 წელს 9,932 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო, წმინდა მოგება 2017 წელს 11,095 ათასი ლარი.

კომპანიის უახლოეს მოკლევადიან გეგმაში შედის პროდუქციის რეალიზაციის მიზნით ახალი რეგიონების ათვისება, საამისოდ პირველ რიგში ქუთაისის ფილიალის სრული მამტაბით ამუშავება.

კომპანია აქტიურად არის ჩართული სამშენებლო საქმიანობაში მიმდინარე პროცესებში, რაც აგრეთვე გულისხმობს სამშენებლო ბაზარზე ახალი რეგულაციების დამკვიდრების შესაბამისად ახალი სტანდარტების დანერგვას. სამშენებლო ბაზრის ყოველდღიურ ანალიზზე დაყრდნობით აქტიურად ვეძებთ და ვფიქრობთ დავამატოთ ახალი პროდუქტები, რომლებიც შესაბამისი იქნება ახალ მოთხოვნებთან და იქნება კონკურენტუნარიანი.

მომავალი წლიდან კომპანია გეგმავს მოახდინოს არსებული მარაგების ოპტიმიზაცია. მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე ახალ მომწოდებელთან და იგეგმება მომავალი წლიდან გავზარდოთ და ნაწილობრივ ჩავანაცვლოთ არსებული პროდუქცია ახალი ასორტიმენტით.

კომპანიის განვითარების საშუალოვადიან გეგმებში შედის ახალი რეგიონების ათვისება, რაც დამატებით საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ გასაღების მიმართულების მაქსიმალური დივერსიფიკაცია და ახალი ბაზრების ათვისება.

## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში განვიხილეთ „ჯი არ სი“ საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზის თეორიული, მეთოდოლოგიური საკითხები და მათი გამოყენების შესაძლებლობები, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისიების შესამუშავებლად. ფირმის საქმიან აქტიურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბრუნავი კაპიტალის ანუ მიმდინარე აქტივების ბრუნვადობის მაჩვენებლები: ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის საერთო მაჩვენებლები, ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები, ფულის ბრუნვის მაჩვენებლები, რომელთა შესწავლა, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ საინტერესო დასკვნები.

საწარმოთა ფინანსური ანალიზის მიზანია ბიზნესის საქმიანობის შედეგები განზოგადებულად – ფულად ფორმაში დაახასიათოს. ფინანსური ანალიზი ყოველთვის იყენებს აზროვნების ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებს. მის გარეშე შეუძლებელია ფაქტორული ანალიზი ჩატარება და ამა თუ იმ ფაქტორის გავლენის გაზომვა ეკონომიკურ შედეგებზე. ნაშრომში განხილული საწარმოს საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის დაჯგუფება მოცემული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სრული და ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა. თუმცა, გარკვეული ნაკლოვანებანი გააჩნია, რადგან ამ კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდიკა დარგების მიხედვით განსხვავებული არ არის, თუმცა ამ კოეფიციენტების მნიშვნელობა დარგების მიხედვით განსხვავდება.

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია „ჯი არ სი“ შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები. კომპანია ბოლო სამი წელია მოგებაზეა და მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

ჩავატარეთ კომპანია „ჯი არ სის“ ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი. ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზის მეშვეობით შეისწავლება საწარმოს ქონებისა და მისი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა, რომელიც ხვედრითი წილის მაჩვენებლებით ხასიათდება. საანალიზო საწარმოს აქტივების 50%-ზე მეტი დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალით, რაც

დადებით მოვლენას წარმოადგენს. სტრუქტურული ანალიზის შეზღუდულობას ავსებს დინამიკური ანალიზი, რომელსაც ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალურ ანალიზს უწოდებენ. ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი შეისწავლის მისი მუხლების ცვლილების ტენდენციებს. აქტივების მოცულობა 2016 წლთან შედარებით გაზრდილია. საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპი ჩამორჩება ვალდებულებების ზრდის ტემპს, რაც შეეხება ვალდებულებებს 2017 წელს დაფიქსირდა 27,41%-ით შემცირება, თუმცა 2018 წელს საკმაოდ დიდი ზრდა 192,87%-იანი აჩვენა, რაც აღემატება აქტივების ზრდის ტემპს და არასასურველი მოვლენაა კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მნიშვნელოვან მაჩვენებლებს წარმოადგენს ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა. საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ანალიზის საფეხურების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ მათი ანალიზის მიზანია შესწავლილ იქნეს ამ კოეფიციენტების დინამიკური ცვლილების ტემპები, დახასიათდეს მათი მერყეობის ხარისხი ადებულ საკვლევ პერიოდში, გამოითვალოს გადახრები წინა წლის მაჩვენებლებიდან, დადგინდეს მათი ცვლილების მიზეზები და შემუშავებულ იქნეს ლიკვიდურობის ანუ გადახდისუნარიანობის ამაღლების წინადადებები. 2016-2018 წლებში საწარმოს გადახდისუნარიანობის დაკარგვის ძალიან დაბალი რისკი აქვს, ვინაიდან, აღნიშნული კოეფიციენტი 0,39 არ ჩამოცდენილა, რაც დადებითი ფაქტორია. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ფინანსური სტაბილურობა, რომელიც გულისხმობს საწარმოს მყარ ფინანსურ დამოუკიდებლობას და გაიანგარშება სხვადასხვა აბსოლიტური თუ შეფარდებითი კოეფიციენტებით. ამ მაჩვენებლების შედარებისას დგინდება, რომ 2017 და 2018 წლებში, 2016 წელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა და ლიკვიდურობაც უფრო მაღალია, თუმცა აბსოლიტური ლიკვიდურობა არც ერთ წელს არ არის, ვინაიდან, 2016-2018 წლებში ერთზე დაბალია. კომპანიას არ შეუძლია არსებული ფულადი თანხებით და მოკლევადიანი მოთხოვნებით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა, რაც ნაკლებლიკვიდურს ხდის მას.

საწარმოს საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების (მატერიალური აქტივების) ბრუნვადობის მაჩვენებელი, რომლითაც დგინდება, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს საწარმო ავანსირებულ კაპიტალს. 2016-2018 წლებში, საკ.კაპიტალი/შემოსავლის მიხედვით, ყოველი ერთი ლარის შემოსავალში საკუთარ სახსრებს წილი 0,63\_დან 0,37\_ამდე შემცირდა. შემოსავალი/მოგება – ახასიათებს თუ რამდენი ლარის შემოსავალი დაჭირდა ყოველი ერთი ლარის მოგების მიღებას და ეს მაჩვენებელი 3,5\_დან 7,21\_ამდე გაიზარდა, რაც დადებითი მოვლენაა. მოგება/აქტივი – აჩვენებს, რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე, რომელიც 0,35\_დან 0,25\_ამდე შემცირდა. ხოლო, აქტივი/ვალდებულებები – აჩვენებს რამდენი ლარის რესურსი არსებობს, ყოველ ერთ ლარ მოზიდულ კაპიტალზე და ის 4,56\_დან 2,93\_ამდე შემცირდა.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა პირდაპირპროპორციულად აისახება კომპანიის რეალიზაციებზე. 2016-2018 წლებში კომპანიამ აჩვენა ზრდა რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო ზოგადად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით, ნაწილობრივ კი ახალი პროდუქციის და ახალი რეგიონების ათვისებით. შესაბამისად, გაიზარდა დასაქმებულთა რიცხვიც. კომპანიას 2016 წლის დასაწყისში დასაქმებული ჰყავდა 124 ადამიანი, 2017 წლის დასაწყისში-138. 2018 წლის დასაწყისში-192, დღესდღეობით კი კომპანიას ჰყავს 279 თანამშრომელი.

“ჯი არ სი” მუდმივად ცდილობს ფეხი აუწყოს სამშენებლო მასალების ბაზარზე მომხდარ ცვლილებებს და შესაბამისად დაარეგულიროს პროდუქციის ხარისხი და ფასები, რაც თავის მხრივ მიზნულია საერთო სამშენებლო ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე. ფასების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს მომწოდებლის ქვეყნებში და საქართველოში არსებული ვალუტის გაცვლითი კურსები.

2016-2018 წლებში გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების და რეალიზაციის მოცულობის ზრდის შესაბამისად კომპანიის შემოსავლებიც იზრდება 48,781\_დან 130,865\_ამდე, რას საკმაოდ კარგი შედეგია და კომპანიის წარმატებული საქმიანობის მიმანიშნებელი.

კომპანიის განვითარების საშუალოვადიან გეგმებში შედის ახალი რეგიონების ათვისება, რაც დამატებით საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ გასაღების მიმართულების მაქსიმალური დივერსიფიკაცია და ახალი ბაზრების ათვისება.

ანალიზის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ საწარმო წლიური ანგარიშგების ინფორმაციით მომგებიანი იყოს, მაგრამ იმავდროულად, შეიძლება სიმძნელები გააჩნდეს საბრუნავ სახსრებში, რამაც წარმოშვას კონფლიქტები პარტნიორებთან და გაკოტრებაც კი გამოიწვიოს. ფირმის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შედეგები წარმოადგენს აღნიშნული საქმიანობის შედეგების ჯამს, სწარმოს შეუძლია გააუვნებელყოს თავისი განვითარებისთვის არასასურველი ფაქტორები და მოვლენები. ამ მიზნის მისაღწევად, ნაშრომში განხილულია ზოგიერთი ანალიტიკური მაჩვენებლები.

მათი განხილვისას შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეწარმეებმა არც ერთი წუთით არ უნდა მოადუნონ ყურადღება საქმის წარმატებით მსვლელობისთვის, სხვანაირად პირდაპირ ბანკროტობისაკენ ექნებათ აღებული გეზი.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასს 2 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, თბილისი 2018;
2. ბასს 7 ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018;
3. ბასს 16 ძირითადი საშუალებები, თბილისი 2018;
4. ბუღალტრული აღრიცხვა სტუდენტის სახელმძღვანელო, გამომცემლობა თბილისი 2015;
5. ბარბაქაძე ხ., „ლიკვიდობისა და რენტაბელობის მაჩვენებლების დაბალანსების შესახებ“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ 2012 წელი, #2; გვ. 155-165;
6. გრეგორი მენქიუ ეკონომიკის პრონციპები თავი 16, გამომცემლობა დიოგენე 2008;
7. დოლიაშვილი თ., ლილუაშვილი გ. ბუღალტრული აღრიცხვა სტუდენტის სახელმძღვანელო გამომცემლობა თბილისი 2015;
8. თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ი., ფინანსური მენეჯმენტი, გამომცემლობა გორი 2007, თავი 7 ფირმის ფინანსური მდგომარეობის და პერსპექტივების შეფასება. ფინანსური სტრატეგიის მატრიცები :  
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.1&d=HASH015eb8acb0f7cd63f351dee9.4.5.2>
9. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ. ფინანსური ანგარიშგება. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
10. კოვზაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თავი 8:  
<http://sabanko.com/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98/wigni/>
11. კომპანია „ჯი არ სი“\_ს ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2017 და 2018 წლის 31 დეკემბერი  
<https://reportal.ge/Forms.aspx?payerCode=205017578&SystemID=15223&show=1>
12. საქმიანობის შედეგების მართვა, ACCA. წიგნი 5, სახელმძღვანელო, საერთაშორისო პრაქტიკა, თარგმნილი ინგლ., თბილისი, 2017;
13. სადალაშვილი ლ., „საბრუნავი კაპიტალის, მიმდინარე და გრძელვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტების გამოთვლის მნიშვნელობა აღრიცხვაში“, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2009 წ;
14. ფასს 8 „საოპერაციო სეგმენტები“, 2018 წელი;
15. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“, 2018 წელი;



16. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის, ACCA. წიგნი 1.2. სახელმძღვანელო, საერთაშორისო პრაქტიკა, თარგმნილი ინგლ., თბილისი, 2003;
17. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები, თბილისი 2009;
18. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ. ეკონომიკური ანალიზი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010;
19. ჯიქია მ., ფინანსური ანალიზი, თბილისი 2018;
20. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2018;
21. ჭილაძე ი. მმართველობითი აღრიცხვა, თეორია და პრაქტიკა, თბილისი 2016;
22. ჭილაძე ი. დანახარჯების აღრიცხვის სისტემები გამომცემლობა „მერანი“ 2009;
23. <https://www.saras.gov.ge/>
24. <https://corporatefinanceinstitute.com/>
25. <https://investinganswers.com/>